პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიურად მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ. № 24, ტელეფონი № 8-81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ სათვის—1 მან., დანარჩენებსათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- ნანკინმა ახალი ნოტა გაუგზავნა საფრანგეთსა და ამერიკას ექსტერიტორიალობის გაუქმების მოთხოვნით
- გერმანიის პრესა გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ
- პოლიტპატიმართა წამება ლიტვის ციხეებში
- ავსტრიის მეტყავეთა გაფიცვა.
- ბალტიის ფლოტი დაბრუნდა ლ[illegible]
- სურსათ-სანოვაგის შეზიდვის გაძლიერება ჩაის კულტურის რაიონებში
- დაიხურა გამომგონებელთა საკავშირო თათბირი.

კვირა, 15 სექტემბერი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 213 (2559)

მუშკორთა მდევნელნი სასტიკად უნდა დაისაჯონ

თვითკრიტიკის უფართოესი გაშლა, ყოველი ნაკლის და ბოროტმოქმედების დაუზოგავი მხილება, საბჭოთა და სხვა აპარატებში მოკალათებულ საეჭვო პირების და მათი ბნელი საქმიანობის მზის სინათლეზე გამოტანა,—ყოველივე ეს ერთ-ერთი მთავარი პირობაა დაწესებულებათა პირადი შემადგენლობის და მათი მუშაობის გასაჯანსაღებლად, მთელი ჩვენი მშენებლობის წარსამატებლად. სწორედ აქეთკენაა მიქცეული პარტიის და ხელისუფლების ყურადღება.

თვითკრიტიკის ლოზუნგთან დაკავშირებით კერძოდ განსაკუთრებული როლი ეკისრებათ მუშა და გლეხ კორესპონდენტებს, რომელნიც მოვალენი არიან ფხიზლად ადევნონ თვალყური ჩვენი ცხოვრებისა და მშენებლობის მახინჯ მოვლენებს და შეუბრალებლად გამოამჟღავნონ ისინი ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, კედლის გაზეთებში, ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ. თუმცა მუშგლეხკორთა მოძრაობა ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოთ გაშლილი, მაგრამ ბოლო დროს მას მაინც საგრძნობი გამოცოცხლება ეტყობა მის წინაშე მდგარ ამოცანების შესრულებაში. მუშ-გლეხკორთა მამხილებელი კალმის წყალობით არა ერთი და ორი უმსგავსოებას ახდია ფარდა, არა ერთი და ორი დამნაშავე ყოფილა სამარცხვინო ბოძზე გაკრული და დასჯილი.

სწორედ ამ გარემოებას ვერ ინელებენ ის ელემენტები, რომელთაც სინათლის ყველაზე მეტი ეშინიათ და რომელნიც დაწესებულებათა კუნჭულებში ჩამძვრალნი ფარულად ათასგვარ კომბინაციას აჭახრაკებენ. ამიტომაა, რომ გაძლიერდა მუშგლეხკორთა ფარული თუ აშკარა დევნა. რა ზომებს მიმართავენ აპარატში შეპარული ბნელი და გახრწნილი ელემენტები, რომ მუშ-გლეხკორები ჩააჩუმონ, თვითკრიტიკა ჩაახშონ. სამუშაოდან მოხსნა, თანამდებობრივი დაქვეითება, სხვაგან უკეთეს ადგილზე გადაყვანაც კი, რომ მუშკორი თავიდან მოიშორონ, გაზეთებში გასაგზავნ წერილების მოპარვა, კედლის გაზეთების ჩამოხევა, ტერორისტული აქტები და სხ.—ასეთია მუშათა და გლეხთა კორესპონდენტების დევნის ფორმები.

აიღეთ, მაგალითად, ის შემთხვევა, რომელიც გამოქვეყნებულია ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში (იხ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი). ნატანების რკინისგზელთა კედლის გაზეთში ამხილეს ადგილობრივი კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის კავშირი სპეკულიანტებთან და მისი სხვა მრავალი ბნელი საქმე. „მაგრამ ამას მოჰყვა — გვწერს კორესპონდენტი — მთელი რედკოლეგიის სასტიკი ტერორის ქვეშ დაყენება. კატეგორიულად მოგვთხოვეს გაზეთის ჩამოხსნა. ამ საქმესთან დაკავშირებით მოხსნეს კანდიდატურა რედკოლეგიის წევრის ამხ. ნაკაიძისა, რომელიც სამუშაოდ წამოყენებული იყო ადგილობრივ ხე-ტყის ქარხანაში". თუმცა კედლის გაზეთში მოთავსებული ფაქტები სავსებით დადასტურდა, მაგრამ დამნაშავე დღესაც თავის „პოსტზე" დგას და „არხეინად გრძნობს თავს". ის იმდენათ გათავხედებულია, რომ უფრო ავიწროებს კედლის გაზეთის ხელმძღვანელებს.

ამას წინად შესდგა ქუთაისის ოლქის მუშკორთა საოლქო კონფერენცია. მისი ანგარიშები საკმაოდ ვრცლად მოვიყვანეთ ჩვენს გაზეთში, და ეს პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ კონფერენციაზე გამოაშკარავებულ იქნა მუშგლეხკორთა დევნის მრავალი აღმაშფოთებელი ფაქტი. კედლის გაზეთში მოთავსებულ წერილებს ზედ ქაღალდს აკრავენ, რომ მათი წაკითხვა შეუძლებელი გახდეს, მუშკორებს შენიშვნისათვის სამუშაოდან ხსნიან, დაინტერესებული პირები თავის აგენტებს იჩენენ, სადაც ამას მოახერხებენ, რომ მუშკორთა წერილები მოიპარონ მათ გამოქვეყნებამდე და მუშკორების ვინაობა გამოარკვიონ, მუშკორებს აშინებენ სხვადასხვა რეპრესიული ზომების მიღებით და სხ., — აი რას ჩიოდნენ კონფერენციის დელეგატები, და მათ მაგალითებიც მოჰყავდათ თავის ნათქვამის დასადასტურებლად. სხვათა შორის, ერთი ასეთი ფაქტი იყო დასახელებული: გორდის თემში დიდი ბოროტმოქმედება და უმსგავსოება იქნა აღმოჩენილი ადგილობრივ ორგანოების მუშაობაში. და აი, ამ თემის მესვეურები იქამდე მივიდნენ, რომ საგანგებო კრებაზე ისინი სიტყვა-სიტყვით შემდეგს ადგენენ: „მიეწეროს ყველა რედაქციას, რომ არც ერთი კორესპონდენცია არ მოთავსდეს თემიდან, რადგან ისინი სიმართლეს არ შეეფერებიან"-ო. ამ გზით უნდოდათ მათ თავიანთი ბოროტმოქმედების დამალვა!

ხაზგასმით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუშკორთა დევნაში ზოგიერთი პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკებიც დიდ „აქტივობას" იჩენენ, იმის მაგივრად, რომ ისინი მუშკორთა მდევნელებს სასტიკად ებრძოდენ და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი თვითკრიტიკის გაშლას.

შემდეგ საყურადღებოა, რომ მუშკორთა შენიშვნები ბევრ შემთხვევაში სრულიად უპასუხოდ რჩება. რედაქციებს დიდი მუშაობის გაწევა უხდებათ ამ შენიშვნებში აღნიშნულ ფაქტების გამოსარკვევად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. მაგრამ ეს მუშაობა ბევრჯერ მიზანს ვერ აღწევს, ვინაიდან ხშირად სასტიკ წინააღმდეგობას და საბოტაჟს ვაწყდებით დაინტერესებულ დაწესებულება - ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მხრით. უკანასკნელნი ყოველნაირად ცდილობენ საქმის მიფუჩეჩებას და შავის თეთრად გასაღებას.

ასეთ მდგომარეობას რკინის ხელით ერთხელ და სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო. მასების თვითკრიტიკის ჩამკვლელნი, მუშ-გლეხკორთა შემავიწროვებელნი უნდა დაისაჯონ რევოლიუციონური კანონიერების მთელი სიმკაცრით, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მტრები. ამასთან უნდა შევქმნათ ისეთი საზოგადოებრივი ატმოსფერა, როცა მსგავსი მოვლენების შესაძლებლობა აღკვეთილი იქნება. უფრო ხმამაღლა უნდა გაისმას მუშათა და გლეხ კორესპონდენტების მამხილებელი ხმა. პროლეტარიატის ხელისუფლებას საკმაო საშუალებები აქვს ალაგმოს ისინი, ვინც ამ ხმის გაჩუმებას მოინდომებენ. საამისო მაგალითები ცოტა არ არის. შემდეგში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს მუშაობა მუშ-გლეხკორთა დასაცავად ყოველგვარი თავდასხმებისაგან.

პასუხი ჟენევიდან

ნანკინმა უარჰყო ის მინიმალური შესწორებანი, რომელთა შეტანასაც საბჭოთა მთავრობა საჭიროდ სცნობს ჩინეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილ საერთო დეკლარაციის პროექტში. ამ შესწორებებს და დეტალიზაციას, როგორც ვიცით, მიზნად ჰქონდათ, ერთის მხრით, გამოერკვიათ, თუ რამდენად სურს ნანკინის მთავრობას, რომ მშვიდობიანად მოწესრიგდეს კონფლიქტი და, მეორეს მხრით, შეექმნათ ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ შემდგომ მოლაპარაკებათა წარმატებით მიმდინარეობას კონფერენციაზე. ნანკინის ბუნდოვან და მიკიბულ-მოკიბულ ფორმულებში სრული გარკვეულობის შეტანის საჭიროება მით უფრო ცხადი იყო, რომ ჩინეთის პოლიტიკანებს არაერთხელ გამოუჩენიათ აშკარა ორპირობა და უარუყვიათ ნაკისრი ვალდებულებანი.

ჟენევიდან მიღებულმა ნანკინის მთავრობის პასუხმა სავსებით გაამართლა საბჭოთა კავშირის მშრომელთა თავდაჭერილობა და უნდობლობა ნანკინის მთავრობის იმ წინადადებებისადმი, რომლებიც მან 28 აგვისტოს გადმოგვცა გერმანიის საელჩოს საშუალებით. ამ პასუხმა სრულის სიცხადით დაამტკიცა, რომ ეს ცრუ სამშვიდობო წინადადებანი წარმოადგენდნენ მხოლოდ მორიგ პროვოკაციულ მანევრს, რომელიც ამჟამად საბოლოოდ ფარდა-ახდილია.

მთელი კონფლიქტის განმავლობაში საბჭოთა მთავრობა იდგა და დგას მტკიცე გარკვეულ პოზიციაზე. ეს პოზიცია, ერთის მხრით, საშუალებას აძლევს ჩინეთის ხელისუფალთ,—თუ ისინი გონს მოვლენ და გამოფხიზლდებიან,—ხელი აიღონ ძალადობისა და პროვოკაციის ავანტიურისტულ მეთოდებზე, რომლებიც უმძიმეს შედეგებს გამოიწვევენ, და დაადგენენ კონფლიქტის მშვიდობიანი ლიკვიდაციის გზას; მეორეს მხრით, საბჭოთა მთავრობის პოზიცია შეუძლებლად ხდის ლეგალობის ნიშანწყალიც კი მიეცეს იმ ბანდიტურ რეჟიმს, რომელიც შეიქმნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. მისი ხელში ჩაგდების შემდეგ.

საბჭოთა მთავრობის ეს პოზიცია სრულიად ნათელი გახდა ჯერ კიდევ ივლისში, როდესაც მუკდენის ხელისუფალთ სცადეს მოლაპარაკების დაწყება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. 22 ივლისს, ხარბინის დიპლომატიური კომისრის ცაის საშუალებით მუკდენის ხელისუფალნი თანხმობას აცხადებდნენ, რომ საბჭოთა მთავრობამ დანიშნოს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველი და მისი თანაშემწე, განთავისუფლონ ჩინელებმა დაპატიმრებული საბჭოთა მუშები და მოსამსახურეები და აღიარონ დროებითი ხასიათი იმ მდგომარეობისა, რომელიც რკინის გზაზე შეიქმნა კონფლიქტის შემდეგ და რომელიც უნდა შეიცვალოს კონფერენციაზე.

საბჭოთა მთავრობამ მიიღო ეს წინადადებანი და შეიტანა მხოლოდ მცირე შესწორებანი, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ ჩვენი ინტერესები ჩინეთის დიპლომატიის ორპირობისაგან. კერძოდ, ჩვენ მოვითხოვდით, რომ ეს წინადადებანი მკაფიოდ ჩამოყალიბებიათ ნანკინის ან მუკდენის მთავრობის ოფიციალურ წერილობით წინადადებად.

ჩვენი შესწორებანი იმ გამოცდათ გადაიქცნენ, რომელმაც გამოამჟღავნა ჩინეთის ხელისუფალთა მთელი სიყალბე და ორპირობა. ჩჟან-სუე-ლიანი არ დაერიდა და აშკარად უარჰყო ამხ. კარახანის სახელზე გამოგზავნილ წერილში თავის მიერ მოცემული წინადადებანი და შემოიტანა სრულიად ახალი წინადადებანი, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ წინანდელებთან. კერძოდ, მუკდენმა უკან წაიღო თავის თანხმობა იმაზე, რომ ჩვენ დაგვენიშნა მმართველი და მისი თანაშემწე; ეს თანხმობა კი ცხადია, კონფლიქტის მოგვარების შესახებ გამართულ ყოველგვარი მოლაპარაკების წინასწარ პირობად მივაჩნდა.

ამის შემდეგ ნანკინის ავანტიურისტი პოლიტიკანები აშკარად თავს იწონებდნენ იმით, რომ მათ ჩაშალეს მოლაპარაკების შესაძლებლობა. ამის შემდეგ საჭირო გახდა მარცხით დამთავრებული პროვოკაციული ანტი-საბჭოთა გამოსვლების მთელი თვე, რომ ნანკინის მთავრობა, გამწვავებული შინაური პოლიტიკური კრიზისის ზეგავლენით, იძულებული გამხდარიყო ახალი წინადადებანი მიეცა საბჭოთა მთავრობისათვის; ეს წინადადებანი გარეგნულად აგებულია იმ დებულებათა საფუძველზე, რომელთა მიღება საბჭოთა მთავრობამ ჩან-სუე-ლიანის სახელზე გაგზავნილ ამხ. კარახანის წერილში კონფლიქტის მოწესრიგების წინასწარ პირობად წამოაყენა.

მაგრამ ნანკინის ახალ წინადადებათა წინასწარ განზრახულმა ბუნდოვანებამ საბჭოთა მთავრობა აიძულა, რომ მოეთხოვა ერთგვარ შესწორებათა და დეტალიზაციის შეტანა. კერძოდ, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა, რომ ნანკინს აშკარად გამოეთქვა თანხმობა მმართველისა და მისი თანაშემწის დაუყოვნებლივ დანიშვნაზე; რაც მხოლოდ იმ წინადადების დეტალიზაციას წარმოადგენს, რომელიც თვით ნანკინმა მოგვცა. საბჭოთა მთავრობის შენიშვნა კიდევ იმიტომ იყო საჭირო, რომ რკინის გზის მმართველისა და მისი თანაშემწის დაუყოვნებლივ დანიშვნას შეეძლო ჩვენი ინტერესების უზრუნველყოფა ჩინეთის იმ შინაური პოლიტიკური ბრძოლის შემთხვევითი მოვლენებისაგან, რომლის წყალობითაც მანჯურიის (მუკდენი) ფაქტიურ ბატონ-პატრონებს შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ საბჭოთა მთავრობის ამ კარდინალური მოთხოვნის განხორციელებისათვის. ნანკინის მთავრობის პასუხი შემდეგს ადასტურებს: ნანკინი ან ცდილობდა საბჭოთა მთავრობის მოტყუებას —ეს უბადრუკი ცდა გამომჟღავნებულია ჩვენი შესწორების წყალობით—ან (ესეც შესაძლებელია) ახალ პირობათა ზეგავლენით, რომელთა შორის მცირე როლს არ თამაშობს ჟენევა. ნანკინელებმა გადასწყვიტეს—გაამეორონ მუკდენის ხრიკი და ამიტომ ახლა უკან მიაქვთ თავისი პირვანდელი წინადადება.

ნანკინის მთავრობა აცხადებს: რკინის გზის მმართველისა და მისი თანაშემწის ფაქტიური დანიშვნა უნდა მოხდეს დეკლარაციის პროექტის მეორე პუნქტის თანახმად, ე. ი. თვით კონფერენციაზე. ეს გარემოება ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას უკარგავს რკინის გზის მმართველის დანიშვნის თანხმობას, რომელიც ნანკინმა განაცხადა საერთო დეკლარაციის პროექტში; იგი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ნანკინი ახდენს ახალს, წინდაწინვე განწირულ ცდას: ჩაგვითრიოს იმ მოლაპარაკებაში, რომელსაც საფუძვლად დაედება რკინის გზაზე შექმნილ თვითნებობის და ძალადობის შეუწყნარებელი მდგომარეობის თუნდაც დროებითი ლეგალიზაცია.

ნანკინის დიპლომატიის ყალბი მანევრების ბრწყინვალე ილიუსტრაციას წარმოადგენს ჩვენი პასუხის ის აშკარა, თაღლითობით სავსე დამახინჯება, რომელიც ნანკინმა იკადრა. მას როგორც სჩანს, დაავიწყდა, რომ ეს პასუხი, ისევე როგორც დეკლარაციის ნანკინის პროექტი, ჩვენ თავის დროზე გამოვაქვეყნეთ ყველას გასაცნობად. ყველამ იცის, რომ საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა საერთო დეკლარაციის მე-3 პუნქტის ჩამოყალიბება შემდეგნაირად: „საბჭოთა მთავრობა დაასახელებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველს და მის თანაშემწეს, რომლებსაც დაუყოვნებლივ დანიშნავს რკინის გზის გამგეობა". მიუხედავად ამისა, ნანკინის მთავრობა კადნიერად აცხადებს თავის პასუხში, რომ იგი წინააღმდეგი არ არის საბჭოთა მთავრობის წინადადებისა—ჩამატებულ იქნას სიტყვა „დაუყოვნებლივ" სიტყვის „დაასახელებს" წინ. საბჭოთა მთავრობას ასეთი წინადადება არასოდეს არ შეუტანია, არამედ, როგორც ზემონათქვამიდან სჩანს, მოითხოვდა დაუყოვნებლივ დანიშვნას.

უკეთეს მდგომარეობაში არაა საბჭოთა მთავრობის სხვა შესწორებანი დეკლარაციის იმ პროექტში შესატანად, რომელიც ნანკინს ეკუთვნის.

როგორც ვიცით, ნანკინი თავისი პროექტის იმავე მე-3 მუხლში წინადადებას იძლევა, რომ საბჭოთა მთავრობას დაეკისროს ვალდებულება—ინსტრუქციები მისცეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა მუშებსა და მოსამსახურეებს, რომ მათ სასტიკად დაიცვან პეკინის შეთანხმების მე-6 მუხლი. თუმცა არ არსებობს და არც შეიძლება დავასახელოთ არც ერთი ფაქტი, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა მუშებსა და მოსამსახურეებს დაერღვიოთ პეკინის შეთანხმების რომელიმე მუხლი, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ ეს წინადადება მაინც მიიღო იმ პირობით, თუ ამ პუნქტის რედაქცია მოხდებოდა იმავე ურთიერთი ვალდებულების თანახმად, რომლის მიხედვითაც შედგენილია მე-6 მუხლი, თუ ჩინეთის მთავრობაც იკისრებდა იმავე ვალდებულებას—ინსტრუქციები მიეცა თავის ადგილობრივ ხელისუფალთათვის, რომლებიც დაჟინებით ადგანან პროვოკაციისა და ძალდატანების გზას საბჭოთა მოქალაქეების მიმართ.

ეს შესწორება მით უფრო საჭირო და დროულია, რომ ჩინეთის ხელისუფალნი სისტემატიურად ეხმარებიან თეთრგვარდიელთა ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომელნიც აშკარად მისდევენ პოგრომულ ანტისაბჭოთა მუშაობას ჩინეთის ტერიტორიაზე. ჩინეთის ხელისუფალნი ფართოდ იყენებენ თეთრ ბანდებს, რომლებიც თავს ესხმიან ჩვენს ტერიტორიას. მაგრამ ნანკინი თავის პასუხში წინადადებას იძლევა, რომ საბჭოთა მთავრობის შესწორება გადაიქცეს კონფერენციის მსჯელობის საგნად; ამით მას სურს წინანდებურად მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებთან და ბანდებთან, რომლებმაც თავისი მოქმედებით რამდენიმე შეტაკება გამოიწვიეს საზღვარზე და უფრო სერიოზული გართულების საფრთხეს ჰქმნიან.

ჩვენ არ გამოუდგებით ჩინეთის პასუხის შემდგომს გარჩევას. მას ტყუილად არა აქვს ჟენევის შტამპი და ტყუილად არ ამჩნევია საბჭოთა კავშირის ცნობილი მტრის—იმპერიალისტების ტიპიური ლაქიის უ-ჩჟაო-ჩუს შემოქმედების კვალი.

ცხადზე უცხადესია, რომ ნანკინი ხელახლა ცდილობს გაამწვავოს ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობა მშვიდობიანობის ზოგიერთი ჟენეველი მოციქულისაგან დაპირებული დახმარებისა და საქმეში ჩარევის იმედით.

მაგრამ ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს ყალბი, უბადრუკი, ორპირი თამაში სამარცხვინოდ არის განწირული. ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი დღითი - დღე მწვავდება ჩინეთში. იზრდება მუკდენის უკმაყოფილება ნანკინისა და მისი დიპლომატების იმ როლის გამო, რომელსაც ისინი თამაშობენ საბჭოთა კავშირთან ჩამოვარდნილ კონფლიქტში. ბოლოს, ის დახმარება, რომლის მიღება ჩინეთის სამხედრო წრეებს ერთა ლიგისაგან შეუძლიათ, ეფემერულია. ასეთ ხასიათს იღებს რეალური მდგომარეობა და, თუ ნანკინის პოლიტიკანები მას არ გაითვალისწინებენ, თავის თავს უნდა დააბრალონ.

რაც უნდა გამომწვევი არ უნდა იყოს ნანკინის მოქმედება, საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები ერთსულოვნად უჭერენ მხარს, თავისი მთავრობის მტკიცე და ურყევ პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის მშრომელები მუდამ მზად არიან თავისი ძალების მობილიზაცია მოახდინონ, რათა გამანადგურებელი პასუხი გასცენ ჩინეთის გენერლებს და მათ ზურგს უკან ამოფარებულ იმპერიალისტებს.

„პრავდა".

მოსკოვი, 14 სექტემბერი.

ამხ. ლიტვინოვი ინგლისთან მოლაპარაკების შესახებ

ნანკინის მთავრობის პასუხი ამხ. ლიტვინოვის ნოტაზე

სრული არევ-დარევა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მუშაობაში

ინგლის-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ამხ. ლიტვინოვი ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ

მოსკოვი, 14 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენლის შეკითხვაზე — აქვს თუ არა განზრახვა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს დასვას საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობის აღდგენის საკითხი, თანახმად ბრიტანეთის მთავრობისათვის 31 ივლისს გადაცემულ ნოტისა, — ამხ. ლიტვინოვმა მისცა შემდეგი განმარტება:

„ყველა სახელმწიფოსთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენისა და დაცვის სურვილი საბჭოთა კავშირის მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რაც არა ერთხელ ყოფილა დადასტურებული საბჭოთა კავშირის ცაკისა და საბჭოთა სრულიად საკავშირო ყრილობების მიერ. დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობის აღდგენის დასაჩქარებლად საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა, საკავშირო მთავრობის დადგენილების თანახმად, თავისი 23 ივლისის ნოტით თანხმობა განაცხადა ჰენდერსონის წინადადებაზე იმ მოლაპარაკების საკითხებისა და პროცედურის წინასწარი განხილვის შესახებ, რომელიც, ნორმალური ურთიერთობის აღდგენის შემდეგ, უნდა გაიმართოს ორ ქვეყანას შორის არსებულ სადავო საკითხების ირგვლივ. რამდენადაც ჰენდერსონის უკანასკნელი განცხადებისა და ნოტის თანახმად, ამჟამად ისევ მხოლოდ პროცედურის განხილვის შესახებ ისმება კითხვა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს შესაძლებლად მიაჩნია ამ მიზნისათვის ლონდონს გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი საკავშირო მთავრობის ზემოხსენებული დადგენილების ძალით, ვინაიდან ამ საკითხის გადაწყვეტა არ მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დამატებით ინსტრუქციებს. (ადს).

„მანჩესტერ გარდიენ"-ის წერილი

ლონდონი, 13 სექტემბერი, „მანჩესტერ გარდიენ"-ი სწერს: **„რაც უფრო მალე იქნება აღდგენილი ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა (ე. ი. ისეთი ურთიერთობა ლონდონსა და მოსკოვს შორის, როგორიც უცხოეთის სხვა დედა-ქალაქებს შორის არსებობს), მით უფრო უკეთესია".** (ადს).

გერმანიის პრესა გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 13 სექტემბერი. „კელნიშე ცეიტუნგ"-ში მოთავსებულია, როგორც სჩანს, ზემოდან ნაკარნახევი წერილი გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ; წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ საბჭოთა მთავრობა, რომ ჟენევაში შუბერტსა და ჩინეთის წარმომადგენელს ერთმანეთისათვის ხელი არ ჩამოურთმევიათ. მაგრამ ეს რომ მომხდარიყო კიდეც, თავაზიანობის ასეთი უბრალო გამოხატულება არ უნდა ჩაითვალოს არა მეგობრულ აქტად მესამე მხარის მიმართ. თუ ჩინეთში საბჭოთა ინტერესების დაცვასთან ერთად ჩვენ ვიკისრეთ აგრეთვე ჩინეთის ინტერესების დაცვა საბჭოთა კავშირში, ეს იმიტომ ჩავიდინეთ, რომ იმედი გვქონდა ხელი შეგვეწყო შეთანხმებისათვის და საქმის წარმატებამ ამ მხრით გაგვიამართლა. გარდა ამისა, გერმანიის მთავრობას კეთილი ურთიერთობა აქვს ჩინეთის მთავრობასთან და კვლავაც სურს ასეთი ურთიერთობა ჰქონდეს (ადს).

ბერლინი, 13 სექტემბერი. „კენიგსბერგ ალგემეინე ცეიტუნგ"-ი სწერს: ჯერ კიდევ მცირე ხანს წინად გერმანიასა და საბჭოთა კავშირს ძალიან კარგი და შეიძლება ითქვას, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. მაგრამ უკანასკნელ დროს დაიწყო უსიამოვნება, რომლის პასუხისმგებლობა ეკისრება არა გერმანიას, არამედ იმ უფრო და უფრო გამწვავებულ პოლემიკას, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა მთავრობის გავლენის ქვეშ მოქცეული საბჭოთა პრესა.

გაზეთს სიმპტომატიურ მოვლენად მიაჩნია საბჭოთა პრესის პოზიცია ცეპელინის გაფრენის გამო, საბჭოთა პრესის მიერ ჰააგის კონფერენციის შეფასება და აგრეთვე საყვედური გერმანიის მიმართ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტთან დაკავშირებით.

„უეჭველია,—სწერს გაზეთი,—რომ დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოებში არსებობდა ასეთი ტენდენციები (ანტისაბჭოთა ბლოკი) და შეიძლება ახლაც არსებობდეს. მაგრამ გერმანია არასოდეს არ ერევა ასეთ კომბინაციებში".

გაზეთის სიტყვით, პოლონეთის პრესა ხელს უწყობს საბჭოთა ეჭვებს.

„ჟენევაში,—განაგრძობს გაზეთი,—პან-ევროპის საკითხის განხილვის დროს შტრეზემანმა გარკვევით აღნიშნა, რომ იგი უარჰყოფს ყოველგვარ პოლიტიკურ ტენდენციებს, რომლებიც მიმართულია ხმელეთის რომელიმე სხვა ნაწილის წინააღმდეგ; რაც მან ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატების მიმართ სთქვა, იგივე ითქმის საბჭოთა კავშირის შესახებაც. გერმანია უარყოფით შეხვდება ყოველგვარ გამოსვლებს, რომლებსაც მიზნად ექნებათ საბჭოთა კავშირის იზოლიაცია".

კომინტერნის აღმასკომის ღია წერილი

შვეციის კომპარტიას

მოსკოვი, 14 სექტემბერი. კომინტერნის აღმასკომმა შვეციის კომპარტიას მიმართა ღია წერილით, რომელშიაც კომპარტიის მიღწევებთან ერთად აღნიშნულია ხელმძღვანელობის სერიოზული ოპორტუნისტული შეცდომები.

მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრებთან გაბედულ ბრძოლის გარეშე,—ნათქვამია წერილში,—თქვენი პარტია ვერასოდეს ვერ გახდება ისეთ მებრძოლ პარტიად, რომელიც პროლეტარული დიქტატურისაკენ გაუძღვება მუშათა კლასს. ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში თქვენი პარტია ანხორციელებდა ისეთ კურსს, რომელიც არ ეთანხმება კომინტერნის ხაზს. შვეციის კომპარტიის დღევანდელმა უმრავლესობამ ვერ გაიგო ამ ხაზის შინაარსი, და იმის მაგივრად, რომ ბოლშევიკური სისწორით დაეგმო პარტიის ოპორტუნისტული რყევა, ც. კ.-ის უმრავლესობა ან აშკარად იცავდა ოპორტუნისტულ შეცდომებს ან კითხვებზე პირდაპირ პასუხს გაურბოდა. ეს გარემოება ჰქმნის უდიდეს საფრთხეს, რადგან ოპორტუნისტული შეცდომების დაცვას მოჰყვება ოპორტუნისტული გადახრა, რომელიც ხელს უშლის ბოლშევიკური პარტიის ზრდას. კომინტერნის აღმასკომი ურჩევს ც. კ.-ს მოიწვიოს არა უგვიანეს 4 თვისა პარტიის ყრილობა იმ მიზნით, რომ ჯამი გაუკეთდეს ხაზის გამოსასწორებლად წარმოებულ პოლიტიკურ მუშაობას".

დასასრულ, კომინტერნის აღმასკომი გამოსთქვამს რწმენას, რომ შვეციის კომპარტია დასძლევს ოპორტუნიზმსა და შემარიგებლობას თავის რიგებში და უახლოეს დროს განმავლობაში კომინტერნის ერთ-ერთ მოწინავე და ყველაზე უფრო მებრძოლ სექციად გადაიქცევა (ადს).

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტი

ნანკინის პასუხი საბჭოთა ნოტაზე

მოსკოვი, 14 სექტემბერი. 11 სექტემბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გერმანიის საელჩოსაგან (მოსკოვში) მიიღო ჩინეთის ბერლინელი ელჩის 9 სექტემბრის ვერბალური ნოტა, რომელიც გამოეგზავნა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრობს. ნოტა წარმოადგენს პასუხს საბჭოთა მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაზე.

ჩინეთის მთავრობის პასუხის ტექსტი:

„1. ჩინეთის ნაციონალურ მთავრობას არა ერთხელ განუცხადებია, რომ ის მზად არის შეუდგეს მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრობასთან, რათა მიღწეული იქნას ამასწინად ჩამოვარდნილი დავის სამართლიანი და მისაღები გადაჭრა. ამიტომ ნაციონალური მთავრობა მადლობას უცხადებს საბჭოთა მთავრობას იმისათვის. რომ თავის მხრით, ორ სახელმწიფოს შორის შეთანხმების მიღწევის შემდეგ, ის მზად არის ჩინეთთან ერთად ხელი მოაწეროს დეკლარაციას, და სავსებით თანახმაა იმის, რომ განზრახული კონფერენცია რაც შეიძლება ახლო მომავალში გაიხსნას, რათა ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლებმა შესძლონ ორივე ქვეყნის მიერ გადაუჭრელი ყველა საკითხის [illegible]

2. ნაციონალური მთავრობა არ არის წი[illegible]ბის. რომ საერთო დეკლარაციის მე-3 მუხლში სიტყვის შემდეგ — „ასახელებს" ჩაემატოს სიტყვა -- „დაუყოვნებლივ", მაგრამ, სამწუხაროდ, მას შესაძლებლად არ მიაჩნია დაეთანხმოს წინადადებას ახალი მმართველისა და მმართველის ახალი თანაშემწის დანიშვნის შესახებ, როგორც ხსენებული დეკლარაციის ხელმოწერისა ან კონფერენციის გახსნის წინასწარ პირობას, რამდენადაც ასეთი პროცედურა ეწინააღმდეგება დეკლარაციის პროექტის მე-2 მუხლში აღნიშნულ საერთო პრინციპს, რომელიც საბჭოთა მთავრობის მიერ უკვე მიღებულია.

3. რაც შეეხება საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ სხვა შენიშვნებს, ნაციონალური მთავრობა იმ აზრისაა, რომ სავსებით შესაძლებელია მათი დატოვება მომავალ კონფერენციაზე განსახილველად. თუ კონფერენცია დაეთანხმება წამოყენებულ შენიშვნებს, იმ შემთხვევაში ნაციონალური მთავრობა არ იქნება მათი მიღების წინააღმდეგი.

4. ნაციონალური მთავრობა წინადადებას იძლევა, რომ კონფერენცია მოწვეული იქნას ბერლინში, და არა მოსკოვში, როგორც ამას საბჭოთა მთავრობა მოითხოვს. მას აგრეთვე იმედი აქვს, რომ განზრახული საერთო დეკლარაციის ხელისმოწერაც ორივე მხარის წარმომადგენლების მიერ ბერლინში მოხდება".

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოსაგან

„საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობების მიხედვით, საბჭოთა კავშირის მთავრობის პასუხი ჩინეთის მთავრობას ეცნობება და პრესაში გამოქვეყნდება უახლოეს დღეებში. (ადს)

ჩინეთის ჯარების თავდასხმა გრძელდება

ჩინეთის ჯარისა და თეთრგვარდიელების თავდასხმა

ჩიტა, 14 სექტემბერი. 12 სექტემბერს ჩინეთის ჯარმა მანჯურიის სადგურის რაიონში სროლა აუტეხა ჩვენს სანაპირო ნაწილს. ჩინეთის ჯარი ამ რაიონში ყოველდღე ესვრის ჩვენს სანაპირო ნაწილს (ადს).

ბლაგოვეშჩენსკი, 10 სექტემბერი. 10 სექტემბერს სოფ. პოიარკოვოს რაიონში, ბლაგოვეშჩენსკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 100 კილომეტრის მანძილზე ჩინეთის ჯარმა ორჯერ აუტეხა სროლა ჩვენს სანაპირო ნავს.

ვლადივოსტოკი, 14 სექტემბერი. 11 სექტემბერს ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსულ თეთრგვარდიელთა ბანდა 13 აგვისტოს ოსიპოვკაში თავს დაესხა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას, მძიმედ დასჭრა ტელეგრაფის მორიგი თანამშრომელი, წაიღო ტელეგრაფის აპარატები და გადასჭრა მავთულები (ადს).

თეთრგვარდიელების მობილიზაცია

ვლადივოსტოკი, 14 სექტემბერი. უკანასკნელ ხანებში ჩინეთის ჯარები აწარმოებენ ჩინეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ თეთრგვარდიელების გაძლიერებულ მობილიზაციას და გზავნიან მათ ჩვენს ტერიტორიაზე თავდასხმებისა და ტერორისტული აქტების მოსაწყობად. თეთრგვარდიელთა ბანდა, 13 სექტემბერს, მოვიდა მიშანის რაიონში, ხანკოს ტბის ჩრდილო-დასავლეთით 20 კილომეტრის დაშორებით (ადს).

მდგომარეობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

ტოკიო, 13 სექტემბერი. სადგური პოგრანიჩნაია მთლად დაცალიერდა. სადგურის სალარო გაძარცულია. ელექტროსადგური და ტელეფონი არ მოქმედობს. პოგრანიჩნაიასა და მულინს შორის დადიან მხოლოდ სამხედრო მატარებლები. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ახალმა ადმინისტრაციამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მულინ-პოგრანიჩნაიას შორის მგზავრები სრულებით არ არიან.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სამმართველოს ყველა განყოფილებაში შემჩნეულია შტატის ძლიერი გაბერვა ახლად მიღებული ჩინელებით. წინანდელი ერთი მოსამსახურის ადგილზე ახლა 5-6 ჩინელი ზის. სამსახურში ღებულობენ არა სპეციალისტებს არამედ, უმთავრესად, პოლიციელებს, სახელმწიფო დაწესებულებათა ყოფილ მოსამსახურეებს, განსაკუთრებით ჯაშუშებს. ქალაქებში აკავებენ გლეხების ურმებს და ახდენენ მათ მობილიზაციას სამხედრო საჭიროებისათვის.

სადგურ მანჯურიაზე დააპატიმრეს საბჭოთა მოქალაქე—მასწავლებელთა ჯგუფი. (ადს).

დაბნეულობა ჩინ.-აღმ. რკინის გზის სამმართველოში

ტოკიო, 13 სექტემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობებით, გადამჭრელმა წინააღმდეგობამ, რომელიც საბჭოთა ნაწილებმა გაუწიეს საზღვარზე ჩინელთა და თეთრგვარდიელთა ბანდებს, თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ჩინეთის სამხედრო და მმართველ წრეებში და სრული დაბნეულობა გამოიწვია ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის სამმართველოში, გაცემულია ბრძანება სადგურ პოგრანიჩნაიას სრული ევაკუაციისა და გზის პოგრანიჩნაია—მულინის უბანზე მუშაობის ფაქტიური შეწყვეტის შესახებ. ხარბინის გაზეთები არაფერს სწერენ თავდაცვითი ოპერაციების შესახებ (ადს).

„ეცნობოს ერთა ლიგას"

შანხაი, 13 სექტემბერი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაავალა უ-ჩჟაო-ჩუს აცნობოს ერთა ლიგას „საბჭოთა ჯარების შეჭრა სადგურ პოგრანიჩნაიაში და მანჯურიაში" (ადს).

საბჭოთა მოქალაქეების ახალი დაპატიმრება

შანხაი, 13 სექტემბერი. ხარბინიდან იუწყებიან, რომ იქ კიდევ დააპატიმრეს ბევრი საბჭოთა მოქალაქე. რეიტერის სააგენტოს ცნობით, უკანასკნელ დღეებში დაპატიმრებულია 100 კაცამდე .(ადს).

საბჭოთა კავშირის მშრომელნი მზად არიან საბჭოთა საზღვრების დასაცავად

ლუგანსკი, 14 სექტემბერი. ოლქის მრავალ საწარმოში გაიმართა მიტინგები შორეულ აღმოსავლეთის ამბების გამო. ერთ-ერთი ქარხნის მუშები აცხადებენ: „მოვითხოვთ საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან, მიიღოს გადამჭრელი ზომები საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად. ყოველ მომენტში მზად ვართ მხარი დავუჭიროთ მთავრობის ყველა ღონისძიებას არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც" (ადს).

ოდესა, 14 სექტემბერი. სოფელ ანტონოხოტინსკოეს გლეხობის კრებამ დაადგინა ჩასთვალოს თავისი თავი მობილიზაციით გაწვეულად და მთავრობის პირველსავე დაძახებაზე შევიდეს წითელ არმიაში. გლეხებმა დაადგინეს გადასდონ თანხები აეროპლან „სელიანინ ოდესშჩინი"-ს ასაგებად.

სოფელ ტროიცკოეში მოჯამაგირეთა მრავალრიცხოვანმა კრებამ დაადგინა შექმნას მოჯამაგირეთა ათასეული. ბერეზანსკის რაიონის რამდენიმე სოფლის გლეხობამ საკუთარი ინიციატივით დაიწყო თანხების შეკრება ესკადრილიის შესაქმნელად (ადს).

კორეელ ქალის ლის შემოწირულება

ხაბაროვსკი, 14 სექტემბერი. კორეელმა ქალმა ლიმ, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე დაზარალებულთა სასარგებლოდ შესწირა თავისი სახლი. სახლი გაიყიდა 9.700 მანეთად. ფული გადაეცა დაზარალებულ საბჭოთა მოქალაქეების დამხმარე ფონდს (ადს).

ინდივიდუალური საჩუქრები შორეულ აღმოსავლეთის არმიის მებრძოლებს

მოსკოვი, 14 სექტემბერი. თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ ხუთი ათასი მანეთი გადასდო განსაკუთრებულ შორეულ-აღმოსავლეთის არმიის მებრძოლთა ინდივიდუალურად დასაჩუქრებისათვის. საკ. პროფსაბჭომ ამავე მიზნით გაიღო სამი ათასი მანეთი, „ავტოდორმა" ორი ათასი მანეთი და „ცენტროსოიუზმა" ხუთასი მანეთი (ადს)

ახალი ფიქცია

ტოკიო. 13 სექტემბერი. ხარბინიდან „გომინდანის ხარბინის ორგანიზაციის" ხელმოწერით ნანკინში გაგზავნილია დეპეშა, რომელიც მოითხოვს ყველა საბჭოთა მოქალაქების დაპატიმრებას მანჯურიაში, ნანკინის მთავრობის მიერ მტკიცე და გადამჭრელი პოზიციების დაცვას ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში და ჩინეთის მიერ ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის მთლიანად ხელში ჩაგდებას.

ხელმოწერა ამ დეპეშაზე ფიქტიურია, ვინაიდან მანჯურიაში გომინდანის არავითარი ორგანიზაცია არ არსებობს (ადს).

„ტაიმსი" ჩინეთ-საბჭოთა შეტაკების გარშემო

ლონდონი, 13 სექტემბერი. „ტაიმსმა" მოათავსა წერილი ჩინეთ-საბჭოთა შეტაკების საკითხზე, რომელშიც აღნიშნავს, რომ საეჭვოა ნანკინის მთავრობა დიდათ შეაწუხოს ჩჟან-სუე-ლიანის შევიწროებამ საბჭოთა ჯარების მიერ, ვინაიდან ჩჟან-სუე-ლიანის დამარცხებას შეუძლია სამხრეთელებს მისცეს საშუალება ხელთ იგდონ მანჯურია საბჭოთა კავშირის წინაშე დროებითი დათმობების გზით (ადს).

იმპერიალისტები უარს ეუბნებიან ჩინეთს პრივილეგიების გაუქმებაზე

ნანკინის ახალი ნოტა შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს

შანხაი, 13 სექტემბერი. გამოქვეყნდა ნანკინის მთავრობის ახალი ნოტა შეერთებულ შტატებისა და საფრანგეთისადმი, რომლებსაც ნანკინის მთავრობა განმეორებით სთხოვს უარჰყონ პრივილეგიები და ექსტერიტორიალობის უფლება და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოლაპარაკებას ჩინეთის წარმომადგენლებთან.

ნოტა თხოვნის კილოთია შედგენილი.

იმპერიალისტები არავითარ დათმობაზე არ მიდიან ჩინეთის მიმართ.

ჟენევა, 13 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმის დღის წესრიგის კომისიამ ერთხმად დაადგინა—ჩინეთის წინადადება სპეციალური კომიტეტის შექმნის შესახებ „ერთა ლიგის წესდების მე-19 მუხლის უკეთ გამოყენების მეთოდების შესასწავლად" (მე-19 მუხლი ითვალისწინებს უთანასწორო ხელშეკრულებათა გადასინჯვის შესაძლებლობას) განსახილველად გადაეცეს უფლებრივ საკითხების განმხილველ კომისიას.

ლიგის წრეებში აღნიშნავენ, რომ ლიგა იძულებულია ანგარიში გაუწიოს ჩინეთის მუქარას პლენუმის მიტოვების შესახებ, ვინაიდან „შეუძლებელია პირობების შექმნა ჩინეთის ამერიკასთან დაახლოებისათვისო". სინამდვილეში არავითარ დათმობაზე ჩინეთის მიმართ არაა ლაპარაკი, ჩინეთის წინადადება ადვილად ჩაიმარხება უფლებრივ საკითხების განმხილველ კომისიაში (ადს).

„ტან"-ი ჩინეთთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ

პარიზი, 13 სექტემბერი. ერთა ლიგის მუშაობის გამო „ტან"-ი სწერს:

„ჩინეთთან დადებული ხელშეკრულებები, რომელთა გადასინჯვასაც ნანკინის მთავრობა მოითხოვს შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ დაინტერესებულ სახელმწიფოებთან უშუალო მოლაპარაკების შედეგად. აი რატომ არის, რომ, მიუხედავად გერმანიის და ავსტრიის მხარის დაჭერისა, ჩინეთის წინადადება დამარცხდება (ადს).

ხანძარი ტიანძინ-პუკოუს რკინის გზის საწყობებში

შანხაი, 13 სექტემბერი. ნანკინში დაიწვა ტიანძინ-პუკოუს რკინის გზის უდიდესი საწყობები. ცოტა ხნის წინად აფეთქდა ამუნიციის საწყობები. პირობები, რამაც გამოიწვია საწყობების აფეთქება, გამოურკვეველი დარჩა (ადს).

მეტყავეთა გაფიცვა ავსტრიაში

ვენა, 13 სექტემბერი. გაფიცულ მეტყავეთა საქარხნო კომიტეტების კონფერენციამ ერთხმად უარჰყო დამქირავებლების ულტიმატუმი, რომელიც ლოკაუტის მუქარით მოითხოვდა მუშაობის განახლებას.

გადაწყდა გაფიცვის გაგრძელება. ვენის მახლობლად მდებარე ზოგიერთ ქარხნებში მომუშავე შტრეიკბრეხერებსა და ფაშისტებს პოლიცია იცავს. ქვედა ავსტრიის ერთ-ერთ ქარხანაში ფაშისტებმა შესძლეს ხელი შეეშალათ გაფიცვისათვის.

გაფიცვა ფართოვდება. ამჟამად უკვე გაფიცულია 2.500 კაცი.

კომუნისტური „როტე ფანე" მოუწოდებს მეტყავეებს, აირჩიონ რევოლიუციონური საგაფიცვო კომიტეტები და ფაშისტების წინააღმდეგ შეადგინონ თავდაცვის რაზმები.

რიგელ „კორესპონდენტების" ჭორი

პარიზი, 13 სექტემბერი. გაზეთებში გამოქვეყნდა რიგიდან მიღებული ცნობა, ვითომ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირს არა აქვს განზრახვა მონაწილეობა მიიღოს ბრიანის იმ პროექტის განხორციელებაში, რომელიც ევროპის შეერთებული შტატების შექმნას შეეხება. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ თუ ევროპასა და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიური ბრძოლა ჩამოვარდება, საბჭოთა კავშირი სასტიკ ნეიტრალიტეტს დაიცავს და რომ საბჭოთა კავშირი წინანდებურად არ გაუწევს ანგარიშს ჰააგის ტრიბუნალის არსებობას.

საკავშ. დეპ. სააგ. შენიშვნა: საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობით, ევროპის შეერთებული შტატების პროექტის შესახებ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს არ გაუკეთებია არავითარი განცხადება. აგრეთვე, მას არ განუცხადებია არაფერი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ ჰააგის ტრიბუნალისადმი და იმ პოზიციის შესახებ, რომელსაც დაადგება საბჭოთა კავშირი ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებს შორის ეკონომიური ბრძოლის დაწყების შემთხვევაში (ადს).

პროვოკაციული ცნობა

ვარშავა, 13 სექტემბერი. ზოგიერთ გაზეთებში გამოქვეყნდა აშკარად პროვოკაციული ცნობა, თითქოს ვარშავაში, საბჭოთა საელჩოს მახლობლად, დააპატიმრეს ვინმე ტრუკსი, რომელსაც აღმოაჩნდა მისი ჯაშუშობის დამამტკიცებელი საბუთები.

გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ მომენტს, რომ ტრუკსი საბჭოთა საელჩოს მახლობლად დააპატიმრეს.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ გაზეთებში გამოქვეყნებული შენიშვნები ერთმანეთის მსგავსია და, ეტყობა, ერთი წყაროდან არიან გამოსული. საქმე იმდენად საეჭვოა, რომ ოფიციოზმა „ეპოკა"-მ და „გლოს პრავდი"-მ არ ჩასთვალეს შესაძლებლად ამ შენიშვნის დაბეჭდვა. მას აქვეყნებენ ბულვარული გაზეთები, როგორც სენსაციას.

იმპერიალისტების ლაქია

ბერლინი, 13 სექტემბერი. როგორც ამსტერდამიდან იუწყებიან, ინდონეზიის მუსლიმანთა ორგანიზაციის „სარიკატ ისლამ"-ის მოღვაწემ ხაჯი-სელიმმა ჰოლანდიის რეფორმისტულ პროფკავშირთა მოღვაწეების კრებაზე ილაპარაკა ანტი-იმპერიალისტური ლიგის წინააღმდეგ.

სელიმმა ჰოლანდიაში გაატარა რამდენიმე თვე. იგი იქ ჩავიდა, როგორც ჰოლანდიის პროფკავშირთა გაერთიანების და ჟენევის შრომის ბიუროს ტეხნიკური კონსულტანტი. სელიმის ცდით, კონფერენციის დღის წესრიგიდან მოიხსნა ეგრედწოდებული „პენალური სანქციის" საკითხი (პენალური სანქცია ეწოდება შრომის ხელშეკრულებათა ერთ მუხლს, რომლის ძალითაც, ხელშეკრულების დარღვევისათვის, მუშებს ინდონეზიაში სჯიან სისხლის სამართლის კანონის მიხედვით).

ალიოხინ-ბოგოლიუბოვის მატჩი

ბერლინი, 13 სექტემბერი, ალიოხინ — ბოგოლიუბოვის მატჩის მეთხე პარტია მე-38 სვლაზე დასრულდა ბოგოლიუბოვის გამარჯვებით.

მატჩის მდგომარეობა: ალიოხინი +1, ბოგოლიუბოვი +1, ყაიმი 2.

სხვადასხვა

● **საფრანგეთის პარლამენტის წევრთა** დელეგაცია გაემგზავრა პარიზში. პოლონეთში მან დაჰყო ორი კვირა, ინახულა პოზნანის გამოფენა, დაათვალიერა ვარშავა და სასოფლო-სამეურნეო ცენტრები. დელეგაციამ აგრეთვე დაათვალიერა ნავთსადგური გდინია (ადს).

● **კოვნოდან მიღებული ცნობებით**, უკანასკნელ ხანებში უკიდურესად მწვავე ხასიათს იღებს მოპყრობა პოლიტპატიმართა მიმართ ლიტვის ციხეებში, განსაკუთრებით კი კოვნოს ციხეში, სადაც ციხის უფროსად დანიშნულია **შალტიუსი**, ჯარიდან დათხოვნილი ლოთობისა და სიმკაცრისათვის. პოლიტპატიმრებს აწამებენ, რაც იწვევს მძიმე დაავადმყოფებას და სიკვდილს. კოვნოს ციხეში ცემით გამოწვეულ ტვინის ანთებით გარდაიცვალა კრასტინიტე, რომელსაც სამუდამო ციხე ჰქონდა მისჯილი სპარტაკის ორგანიზაციის საქმეზე (ადს).

გამომგონებელთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 14 სექტემბერი. გამომგონებელთა საკავშირო თათბირზე დაიწყო დელეგატების გამოსვლა ინფორმაციით ადგილებზე გამომგონებლობის საქმის შესახებ. დელეგატები ეხებიან გამომგონებელთა წრეების და უჯრედების მუშაობას წარმოებებში, გამოგონებათა რაოდენობას და ხასიათს, ადგილკომების და ადმინისტრაციის დამოკიდებულებას გამომგონებლობისადმი, რედკოლეგიების და საქარხნო კედლის გაზეთების დახმარებას გამოგონებათა რეალიზაციის საქმეში.

საინტერესო წინადადებით გამოვიდა ამხ. ვინიცკი (უკრაინა). „გამომგონებლობა,—განაცხადა მან,— სოციალისტური მშენებლობის გეგმის ნაწილია და ამიტომ საჭიროებს კაპიტალური თანხების დაბანდებას. ყველა ტრესტის და წარმოების გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნას ხარჯები გამომგონებლობაზე და შემოსავალი მათგან. საჭიროა გეგმიანობა შევიტანოთ გამომგონებლობის საქმეში" (ადს).

მოსკოვი, 14 სექტემბერი. დაიხურა გამომგონებლობის საკავშირო თათბირი. თათბირმა აღნიშნა გამოგონებლობის სწრაფი ზრდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში და განსაკუთრებით მუშათა გამომგონებლობის ზრდა. ამავე დროს საკმაოდ არ არის გაშლილი მუშაობა გამომგონებლობისათვის ხელის შესაწყობად და წარმოებებში მნიშვნელოვან გამოგონებების საჩქაროდ რეალიზაციისათვის.

მე-15 პარტყრილობის და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება, გამომგონებლობის ხელის შეწყობის ღონისძიებების შესახებ, ბევრ კომისარიატების მიერ ჯერაც არ არის შესრულებული.

თათბირს საჭიროდ მიაჩნია გამომგონებლობის საქმის დეცენტრალიზაცია, გამომგონებლობის ხელის შემწყობი კომისიების მოწყობის დაჩქარება, საქარხნო-საფაბრიკო გამომგონებლობის ფონდის შექმნა საბჭოთა კავშირის ყველა წარმოებებში.

საჭიროა საჩქაროდ გამომუშავდეს მთელი კავშირისათვის გამომგონებლების დაჯილდოების ერთნაირი სისტემა. ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ საბრძოლველად, საჭიროა მოეწყოს ცალკე მავნებელთა საჩვენებელი გასამართლება, განსაკუთრებით იმ ბიუროკრატების, რომლებიც ცდილობენ სასარგებლო გამოგონებების მიჩქმალვას (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„იზვესტია" პან-ევროპის შესახებ

მოსკოვი, 14 სექტემბერი. „იზვესტია" მოწინავეში — „ბატონ ბრიანის სენსაცია" — ეყრდნობა „ჩიკაგო დეილი ნიუზ"-ის ცნობას და აღნიშნავს, რომ ბრიანმა, როცა 27 სახელმწიფოს წარმომადგენლებს განმარტებას აძლევდა „ევროპის შეერთებული შტატების" პროგრამის შესახებ, პირდაპირ განაცხადა: „საჭიროა ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგო". ავსტრიული გრაფი კუდენჰოვე („პან-ევროპის" იდეის ინიციატორი) საფრანგეთის მთავრობის ორგანოში, რომელიც ჟენევაში გამოდის, სწერს, რომ პან-ევროპამ კომუნისტური საფრთხისაგან უნდა იხსნას ევროპაო.

„იზვესტია" აღნიშნავს, რომ უსაფუძვლოა ბრიანის შიში — ერთა ლიგას არ დასჭირდეს საბჭოთა კავშირის მიპატიჟება პან-ევროპიულ გაერთიანებაშიო. საბჭოთა კავშირი საკმაოდ თვლის პან-ევროპის გეგმის ანტი-საბჭოთა ხასიათის აღიარებას და მზად არის საბჭოთა კავშირის მიმართ ამ გეგმის განხორციელების ყოველგვარი ცდების უკუსაგდებათ. საბჭოთა კავშირი ვერავითარ კონტაქტს ვერ იქონიებს პან-ევროპასთან.

თეზისები მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ

მოსკოვი, 14 სექტემბერი. გაზეთებში გამოქვეყნდა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ საკავშ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში და მუშგლეხინში შეტანილი თეზისები რეკონსტრუქტიული პერიოდისა და მრეწველობის მმართველობის სისტემის რეორგანიზაციის შესახებ.

ამხ. ს. ორჯონიკიძის დაბრუნება შვებულებიდან

მოსკოვი, 14 სექტემბერი. შვებულებიდან დაბრუნდა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარი ამხ. სერგო ორჯონიკიძე.

„პრავდა" ოპორტუნიზმთან ბრძოლის შესახებ

მოსკოვი, 14 სექტემბერი. „პრავდა"-ს დღევანდელ ნომრის პარტგანყოფილებაში მოთავსებულია წერილი: „დაუზოგავი ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან პრაქტიკულ მუშაობაში". ცენტრ. ორგანოს მოჰყავს ამონაწერები საკ. კომპარტიის (ბ) ცკას დადგენილებიდან, რომელიც შეეხება სარატოვის პარტორგანიზაციას და რომლითაც ორგანიზაციის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის ცნობილი. „პრავდა" მიუთითებს, რომ ბრძოლა ოპორტუნიზმთან პრაქტიკულ მუშაობაში — პარტორგანიზაციების ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს.

ტეხნიკის სასახლის მოწყობა მოსკოვში

მოსკოვი, 14 სექტემბერი. „ინჟენერ - ტეხნიკოსთა საკავშირო ბიურომ" საჭიროდ სცნო მოსკოვში ტეხნიკის სასახლის მოწყობა. ტეხნიკის სასახლე უნდა გახდეს მოსკოვის მრავალრიცხოვან საინჟინრო - ტეხნიკურ პერსონალის სამეცნიერო და კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრი.

სასახლეში მოთავსდება მოსკოვის ყველა სამეცნიერო - ტეხნიკური დაწესებულებები.

ბიურომ შესაფერი მოხსენება წარუდგინა მთავრობას.

ფერრო-მარგანეცის ქარხანა ქუთაისში

მოსკოვი, 14 სექტემბერი. შავი ლითონის მრეწველობის სამმართველომ წინადადება მისცა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საჩქარო წესით შეუდგეს ხელშეკრულების დადებას სიმენსის ფირმასთან ჭიათურის ფერრო-მარგანეცის ქარხნის პროექტის შედგენის შესახებ.

სამომხმარებლო კოოპერაცია განუწყვეტელ კვირაზე

მოსკოვი, 14 სექტემბერი. საბჭ. კავშირის ცენტროსოიუზმა გადასწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშათა და სატრანსპორტო კოოპერაციის მთელი ქსელის დაუყოვნებლივ გადაყვანას განუწყვეტელ სავაჭრო კვირაზე. პირველ ოქტომბრისათვის განუწყვეტელ კვირაზე გადაყვანილი უნდა იქნას კოოპერატიულ დუქნების არა ნაკლებ 30 პროცენტისა. კოოპერატიული ქსელის მთლიანად გადაყვანა განუწყვეტელ კვირაზე უნდა დასრულდეს მომავალი სამეურნეო წლის პირველ ნახევარში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალტიის ფლოტის დაბრუნება ლაშქრობიდან

ლენინგრადი, 14 სექტემბერი. 12 სექტემბერს დიდი ლაშქრობიდან დაბრუნდა ბალტიის ფლოტის გემები. კრონშტადტში მოხდა წითელი ფლოტის მეზღვაურთა დიდი მიტინგი, რომელზედაც გამოვიდა ამხ. **ვოროშილოვი.**

„უკანასკნელი წლის განმავლობაში,— განაცხადა მან,—ბალტიის ფლოტმა უდიდეს წარმატებას მიაღწია. ყოველგვარი სწავლება და გემების მანევრები მშვენივრად ჩატარდა“.

ამხ. მუკლევიჩმა მოაგონა წითელ მეზღვაურებს მოსალოდნელი ომის საფრთხე. ამიტომ საჭიროა, როგორც წინად, ფხიზლად ვიყოთ.

მქუხარე ტაშისცემით შეხვდნენ წითელი მეზღვაურები ბალტიის ფლოტის საზღვაო ძალთა ყოფილ სარდალს სამოქალაქო ომის მძიმე წლებში ამხ. რასკოლნიკოვს, რომელმაც აღნიშნა ფლოტის საომარი ძლიერების ზრდა.

„ასეთი ფლოტით—სთქვა მან,—ყოველთვის შესაძლებელია იმპერიალისტებისათვის პასუხის გაცემა“ (ადს).

ამხ. ვოროშილოვის ბრძანება

ლენინგრადი, 14 სექტემბერი. ბალტიის ფლოტის სასწავლო ლაშქრობასთან დაკავშირებით, ამხ. ვოროშილოვმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც აღნიშნავს ფლოტის **მთელ რიგ მნიშვნელოვან მიღწევებს და აგრეთვე ზოგიერთ დეფექტებს, და გამოსთქვამს სურვილს, რომ მომავალი წლისათვის ბალტიის მეზღვაურებმა შესძლონ შენიშნული დეფექტების გამოსწორება და სასწავლო-საომარი და პოლიტიკური მომზადების შემდგომი უფრო მაღალი საფეხურის მიღწევა** (ადს).

სურსათი ჩაის კულტურის რაიონებისათვის

მოსკოვი, 14 სექტემბერი. ჩაის კულტურის წესიერი განვითარების მიზნით, ცენტროსოიუზმა დაადგინა გააძლიეროს ჩაის დამამზადებელ რაიონებში პურის და სხვა საქონლის შეზიდვა.

საქართველოს ჩაის პოპულიარიზაციის მიზნით ჩაის სამმართველოს წინადადება მიეცა საქართველოს ჩაი ბაზარზე გამოუშვას ახალი სავაჭრო მარკით (ადს).

წყალის მეურნეობის მშენებლობის გაიაფება

მოსკოვი, 14 სექტემბერი. საკ. სახკომსაბჭომ განიხილა წყალთა მეურნეობის მშენებლობის გაიაფების საკითხი შუა აზიაში და ა.კ. ს. ფ. ს. რ-ში და საჭიროდ სცნო მშენებლობა, შარშანდელთან შედარებით, გაიაფდეს 9 პროცენტით. გაიაფება მიღწეულ იქნება სააღმშენებლო სეზონის გაგრძელებით, განუწყვეტელ საწარმოო კვირის შემოღებით, სააღმშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის გაძლიერებით, პროექტების შედგენის გაუმჯობესებით, მარტივი კონსტრუქციების შემოღებით, მუშა-ხელის რაციონალური გამოყენებით და ხელფასზე და მასალაზე სხვადასხვაგვარ სავალდებულო დანარიცხების შემცირებით (ადს).

მმართველობის სისტემის რეორგანიზაცია

ერთმმართველობა ტრანსპორტზე

მოსკოვი, 14 სექტემბერი. საკ. კ. პ. (ბ) ცეკამ დაადგინა ცეკას დადგენილება წარმოების მმართველობის მოწესრიგების და ერთმმართველობის შემოღების შესახებ, გავრცელებულ იქნას აგრეთვე ტრანსპორტის წარმოებებზე. (ადს)

მმართველობის ახალ ფორმების შემუშავება

მოსკოვი, 14 სექტემბერი. საკ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკ. კომისიამ და მუშგლეხინის კოლეგიამ დაამთავრეს ამხ. გოლცმანის კომისიის და საკ. ს. მ. უ. ს. თეზისების განხილვა, რომლებიც შეეხებიან მრეწველობის მმართველობის სისტემის რეორგანიზაციას. ცენტრ. საკ. კომისიამ და მუშგლეხინის კოლეგიამ მოიწონეს კომისიის მუშაობა და დაადგინეს: მრეწველობის მმართველობის კონკრეტული სისტემის დასამუშავებლად შეიქმნეს სპეციალური კომისია. კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს იმით, რომ მთავარ სამმართველოების მუშაობა მოძველდა და საჭიროა შეიქმნას მრეწველობის ცალკე დარგების გაერთიანებები. ამხ. ორჯონიკიძის წინადადებით კომისიაში არჩეული არიან შემდეგ ამხანაგები: **როზენგოლცი, გოლცმანი, მეჟლაუკი, მანცევი, სირცოვი, ენუქიძე, კოსიორი, უხანოვი, შკირიატოვი, აკულოვი, ლობოვი, ბუხარინი, კრავალი; დეიჩი** და პროფკავშირების ც. კ.-სა და საბჭოთა კავშირის მსხვილი სამრეწველო წარმოებების წარმომადგენლები.

ყარაბაღის ახალი ხელმძღვანელობა

სტეპანაკერტი, 14 სექტემბერი. მთიანი ყარაბაღის პარტიულმა და საბჭოთა ძველმა ხელმძღვანელობამ თავის მუშაობაში დაუშვა მთელი რიგი უხეში შეცდომები, როგორც მაგ. თვითკრიტიკის შეზღუდვა, კინკლაობა და სხვ. ამასთან დაკავშირებით აზერბეიჯანის კ.პ. (ბ) ცეკამ დაადგინა მოხსნას სამუშაოდან მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ყველა ხელმძღვანელი ამხანაგები. სამუშაოდან მოხსნილნი არიან: აზ. კ.პ. (ბ) ყარაბაღის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი **არტო სააკიანი**, ცენტრ. საკ. კომისიისა და მუშგლეხინის რწმუნებული **ა. ხერუმოვი**, აზ. კ.პ. (ბ) ყარაბაღის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ყოფ. გამგე **ს. არუთინოვი**, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე **გ. არუსტამოვი**, ა.ლ.კ.კ. საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი **ხ. მარქარიანი** და სხ. მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელ პოსტებზე გამოყოფილია მთელი რიგი მუშები. აზ. კ.პ. (ბ) საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად გამოყოფილია ამხ. ავაკ კარამოვი, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ ამხ. დანიელ დავიდოვი, აგიტპროპგანყოფილების გამგედ ამხ. გაიკ სარქისიანი. ამხ. კარამოვი, ბაქოელი მუშა-ზეინკალი, პარტიის წევრი 1920 წლიდან.

ახალი ხელმძღვანელობა შეუდგა ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომების გამოსწორებას. აზ. კ.პ. (ბ) რაიკომებში გამართული სარაიონო პლენუმები იწონებდნენ საკ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებას აზ. კ.პ. (ბ) ცეკას მოსაზრების გამო და მიღებულ ღონისძიებებს ხელმძღვანელობის შეცვლის საქმეში. პლენუმების დადგენილებით გადახალისებულია სტეპანაკერტის, ვადრუთის და ჯარაძერტის რაიკომების ხელმძღვანელობა. აზ. კ.პ. (ბ) საოლქო კომიტეტის აპარატში აღმოჩენილ და გაძევებულ იქნენ გამფლანგველები და სხვა უცხო ელემენტები.

პარტიულ და კომკავშირულ უჯრედების აქტივის კრებებზე დაიწყო ფართე თათბირები და დამუშავება საკ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებისა აზერბეიჯანის ორგანიზაციის შესახებ და აგრეთვე აზ. კ.პ. (ბ) ცეკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილებათა დამუშავება (ადს).

განაჩენი გლეხკორთა დევნის საქმეზე

სტეპანაკერტი, 14 სექტემბერი. ოთხი დღის გარჩევის შემდეგ დამთავრდა მარტუნის რაიონის გლეხკორთა დევნის საქმე. რაიკომის ყოფ. პასუხისმგებელი მდივანი **ისრაელ არუსტამოვი** და თემის აღმასკომის თავმჯდომარე ოვანეს ბეგლარიანი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად რაიონის გლეხკორთა დევნაში. მარტუნის გლეხკორთა ორგანიზაციის დარბევის შემდეგ, გლეხკორები იძულებული შეიქნენ წასულიყვნენ სოფ. ბოლავერდში, სადაც, თითქმის, არალეგალურად მუშაობდნენ, მაგრამ აქაც ხელმძღვანელობამ თვალყურის დევნება დაუწყო მათ და ავრცელებდა ხმებს, ვითომ ისინი კონტრრევოლუციონურ მუშაობას ეწევიან და ცდილობდა მასების თვალში სახელი გაეტეხა მათთვის.

დევნა გამოიწვია გლეხკორების მიერ ხელმძღვანელობის ანტიპარტიული მოქმედების გაზეთებში გამომჟღავნებამ. ხელმძღვანელობამ დევნა, სამუშაოდან მოხსნა და ტერორი მიიყვანა აშკარა თავდასხმამდე მათ ორგანიზაციაზე მეცადინეობის დროს, ვითომდა იმ საბაბით, რომ ისინი დაეძებდნენ კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციებს. თავდასხმის ნამდვილი მიზანი კი იყო გლეხკორთა დისკრედიტაცია მუშათა მასის თვალში

სასამართლოს გამსვლელმა სესიამ, ამხ. **დანიელიანის** თავმჯდომარეობით არუსტამოვს და ბეგლარიანს მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, საბჭოს თავმჯდომარეს ალავერდ ტევან ალახვერდოვს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ, როგორც ღარიბს და შეუგნებელს შეუცვალა 5 წლით პირობით. საბჭოს რწმუნებული წითელ ბაზარში **ხტეპანიანი** გამართლებულია.

მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის გლეხობა განაჩენს დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ (ადს).

ქიურდამირის უმსგავსოებანი

გეოქჩაი, 14 სექტემბერი. დამთავრდა კიურდამირის პარტორგანიზაციების გამოკვლევა. რომელმაც გამოაშკარავა მთელი რიგი საზიზღროებანი როგორც პარტორგანიზაციაში, ისე დაირის სამეურნეო დაწესებულებებში, აღმოჩენილ იქნა კინკლაობა პარტიის რიგებში უცხო ელემენტების შეპარვის ფაქტები: თვითკრიტიკის შეზღუდვა. მემარჯვენე გადახრის პრაქტიკული გამოხატულებები კავშირი კერძო ვაჭრებთან და სხვ.

კარასახკალის უჯრედის წევრი ახმედ სალახოვი წინადადებით მიმართავს მეორე კომუნისტს, გამოვიდეს კოლმეურნეობის შემადგენლობიდან და ჰპირდება მას ინვენტარს და საჭიროს ინდივიდუალური მეურნეობის განსავითარებლად. კულაკები იყენებენ ამ გარემოებას თავისი ინტერესებისათვის.

სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის და საბამბო კოოპერაციის თავმჯდომარემ, იმ დროს როცა ბაზარზე პური ფუთი 7—8 მან. ფასობდა, კერძო ვაჭარს იუსუფ ნასიბოვს მიჰყიდა კოოპერაციიდან 2 მან. 63 კაპ. ფუთი, მურსალ მურსალ-ოღლის 4 მანეთად და სხვ. დაირის პარტკომი ნასიბოვის მიმართ საჭირო ზომების მიღების მაგიერ დაკმაყოფილდა საყვედურის გამოცხადებით.

როდესაც კარასახკალის უჯრედში დასმული იყო საკითხი, იმ კომუნისტების შესახებ, რომლებმაც ძირი გამოუთხარეს კოლმეურნეობას, არც ერთმა იქ მყოფმა კომუნისტმა არ სთქვა ის, რაც იცოდა.

კამპანიების ჩატარების დროს ცეკას და საოლქო კომიტეტის წერილების გამო უჯრედებს და დაირის პარტკომებს გამოჰქონდათ რეზოლიუციები: „მიღებულ იქნას ცნობად“.

პარტიის დადგენილება პარტიაში ახალი წევრების მიღების შესახებ არ ტარდებოდა ცხოვრებაში. 1924 წლიდან კარასახკალის უჯრედს არ მიუღია არც ერთი მოჯამაგირე.

დაუსჯელი დარჩა აგრეთვე სხვა საზიზღროებანი, როგორც მაგალითად ცალკე კომუნისტების ლოთობა, კავშირი უცხო ელემენტებთან და სხვ.

მუშგლეხკორთა მოძრაობა ვაჭრების ხელში იმყოფებოდა. ასე, ერთი ვაჭარი ნაჯაფზადე, რომელიც შემჩნეული იყო ფოსტიდან საგამოკვლევო ბიუროს წერილების მოპარვაში, ითვლებოდა კორესპონდენტათ; მეორე „გლეხკორი“ კომკავშირიდან გარიცხული ფაშა ალიევიც ვაჭრის შვილია.

პარტიული კომიტეტის დადგენილებით კიურდამირის ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკები, დაირის პარტკომის მდივანი, დაირის რაიონულ აღმასკომის თავმჯდომარე და სხვ., მოხსნილი არიან სამსახურიდან და მიცემული არიან პარტიულ პასუხისგებაში. (ადს).

რა ხდება ადგილებზე

რაიონული კომიტეტების არჩევნები დამთავრდა

ზესტაფონი, 14 სექტემბერი. შორაპნის მაზრაში დარაიონებასთან დაკავშირებით რჩება 5 რაიონული კომიტეტი: ჭიათურის, ზესტაფონის, ჩხაროს, ხარაგოულის და საჩხერის.

რაიონული კომიტეტების არჩევნები დაიწყო სექტემბრიდან. 8 სექტემბერს ქ. ზესტაფონში შეიკრიბა პირველი სარაიონო კონფერენცია. რაიკომის მდივნად არჩეულია შორაპნის თემის ყოფ. მდივანი ამხ. პაქსაშვილი, ინსტრუქტორად ამხ. **ცერცვაძე.** (ადს).

პარტიის წმენდა ხონის რაიონში

ხონი, 14 სექტემბერი, ხონის რაიონში დასრულდა პარტუჯრედების წმენდა. წმენდა ჩატარდა 7 უჯრედში, სადაც პარტიის 141 წევრი და კანდიდატი ირიცხება. პარტიიდან გამორიცხულია 38 კაცი (28 პროც.) საყვედური და გაფრთხილება მიიღო 40 კაც. (38,9 პროც.), პარტიიდან გამორიცხულებს ბრალდებოდათ მიწის ყიდვა-გაყიდვა, რელიგიური წესების შესრულება, ტროცკისტული გადახრა, სისტემატიური ლოთობა და სხვ. წმენდაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს უპარტიო გლეხებმა და, განსაკუთრებით, კომკავშირელებმა. სამაგიეროდ, პარტიის წევრებმა სრული პასივობა გამოიჩინეს. წმენდამ გამოამჟღავნა მთელი რიგი დეფექტები უჯრედის მუშაობაში: სუსტი მუშაობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და რეკონსტრუქციის დარგში, გლეხთა საზოგადოებრივობის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და სხვ. (ადს).

აღმასკომის პლენუმი

გურჯაანი, 14 სექტემბერი. გურჯაანში დასრულდა საოლქო აღმასკომის გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც დადგენილი იქნა —აღიძრას შუამდგომლობა ოლქის დარაიონების შესახებ. ამავე პლენუმზე მიღებული იქნა დადგენილება თვითეულ სოფელში საზოგადო „წითელი ბეღლების“ დაარსების შესახებ. ბეღლების მოწყობას დაუყოვნებლივ შეუდგებიან. პლენუმმა აგრეთვე დაადგინა გააძლიეროს ფულის შეგროვება ჰაეროპლან „წითელი კახეთი“-ს ასაგებად. (ადს)

ცაკის სესია

ცხინვალი, 14 სექტემბერი. დასრულდა სამხრეთ - ოსეთის ცაკის მორიგი სესია. სესიამ დაამტკიცა ცვლილებები სამხრეთ-ოსეთის მთავრობის შემადგენლობაში. სამხრეთ-ოსეთში სამუშაოდან მოხსნილ ამხ. ჯატიევის ადგილზე ცაკის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ამხ. **აბაევი ალექსანდრე**, ცაკის მდივნად ამხ. **ჯანოევი**. ცაკის პრეზიდიუმში არჩეულია რამდენიმე დაწინაურებული მუშა. საბჭოთა კავშირის ცაკში არჩეულია ამხ. **აბაევი და სანაკოევი ვლ.**

სტიქიური უბედურება

ცხინვალი, 14 სექტემბერი. სამხრეთ-ოსეთის მთიებში მოვიდა ძლიერი სეტყვა, რომელმაც გაანადგურა ქერის თითქმის მთელი მოსავალი. მოსახლეობა ძლიერ დაზარალდა. ცენტრალური ქედის მწვერვალოებზე თოვლი მოვიდა. მთელ სამხრეთ-ოსეთში სიცივეებია. ტყის ხანძრები შესწყდა. (ადს)

ამინდი ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდი, 14 სექტემბერი. (საკ. კორ.) ორი თვის არაჩვეულებრივი გვალვებისა და სიცხეების შემდეგ 3 სექტემბრიდან დაიწყო გამუდმებული წვიმები. უცბად აცივდა. მთებზე ჩამოთოვა. დაბლობ ადგილებში სიცხე 39 გრადუსიდან დაეცა 11 გრადუსამდე.

მოსავალი

ზუგდიდი, 14 სექტემბერი. (საკ. კორ.) 13 სექტემბერს სამაზრო აღმასკომის გაფართოებულ თათბირზე განხილულ იქნა საქართველოს საგეგმო კომისიის და ადგილობრივ პარტგანყოფილებების წარმომადგენლების მიერ ჩატარებულ შემოწმების შედეგები. გამოირკვა, რომ ნათესების 32 პროცენტი განადგურებულია გვალვისაგან ე. ი. ზარალი უდრის 738.000 ფუთს.

ვენერიული რაზმის ჩამოსვლა

ჯანსახკომის მიერ გამოგზავნილი ვენერიული რაზმი სვანეთიდან გადმოვიდა ზუგდიდის მაზრაში. რაზმში შედიან ექიმი გვაზავა და ორჯოლაშვილი. რაზმი აწარმოებს ვენერიულ სნეულებათა საწინააღმდეგო მუშაობას. აღმოჩენილ იქნა როგორც ქრონიკულ, ისე მწვავე ფორმის ვენერიული სენით დაავადებულთა დიდი რიცხვი. რაზმები აწარმოებენ როგორც აღრიცხვას ისე წამლობას

ა. კოდუა.

ახალი ქარხანა

სოხუმი, 14 სექტემბერი. ზარალი ხანძრისაგან, რომელსაც გაგრის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ჰქონდა ადგილი, 250.000 მანეთს უდრის. იმ ნედლი მასალის გამოსაყენებლად, რომელიც დამზადებულია ერთი მილიონი კუბ. ფუტის რაოდენობით, გადაწყვეტილია სასწრაფოდ, 3 უახლოესი თვის განმავლობაში, გაგრაში აგებულ იქნას ახალი ქარხანა. გამოყენებული იქნება დამწვარი ქარხნის მოწყობილობის ნაწილი. ხე-ტყის საექსპორტო პროგრამის შესრულება დაეკისრება კოდორის ხე-ტყის ქარხანას, რომელიც მუშაობას დაიწყებს ერთი თვის განმავლობაში. (ადს)

„მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე“

გურჯაანი, 14 სექტემბერი. უკვე დაწყებულია მოსამზადებელი კამპანია „მოსავლისა და კოლექტივიზაციის“ დღის ჩასატარებლად. საქმის ინიციატორები არიან ოლქის კომკავშირის ორგანიზაციები, საოლქო კომიტეტის მეთაურობით. 20 სექტემბრისათვის გამოდის გაზეთის სპეციალური ნომერი, რომელიც ამ დღისათვის არის მიძღვნილი. (ადს)

აგროაქტივის მოსამზადებელი კურსები

გურჯაანი, 14 სექტემბერი. წითელწყაროსა და რუისპირში აგროპუნქტებთან მოეწყო ერთ თვიანი კურსები აგრო აქტივის მოსამზადებლად. კურსებზე აგრორწმუნებულებიც სწავლობენ. სოფ. თეთრ-წყლებში ხევსურ მერძევეთა არტელთან მოეწყო მერძევეობის კურსები, რომლებზედაც ოლქის სხვადასხვა კოლექტივის წევრები მეცადინეობენ. (ადს)

უვარგისი სათესლე მარცვლეული

გურჯაანი, 14 სექტემბერი. მიღებული ცნობებით, უვარგისი ხარისხისა აღმოჩნდა ის სათესლე მარცვლეული, რომელიც ადგილებზე ზოგიერთ ორგანიზაციებს დაურიგდა (თელავი, ფშაველი). მიღებულია ზომები, რომ სათესლედ გადარჩეული იქნას საუკეთესო ხარისხის მარცვლეული, რომელიც წინასწარ აგრონომებმა უნდა შეამოწმონ

სახალხო განათლება

გურჯაანი, 14 სექტემბერი. მეცადინეობა ყველა სკოლაში დაიწყო. ოქტომბრამდე გაიხსნა 3 ახალი სკოლა. ოქტომბრიდან გაიხსნება 15 ახალი ოთხწლედი. აუარებელი მოსწავლე მოაწყდა მეხუთე და მეექვსე ჯგუფებს, 1-ლ და მე-2 კონცენტრებს და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებს. მოწვეულია 22 ახალი მასწავლებელი უმაღლესი განათლებით. სატყეო ტექნიკუმში მიღებული იქნება 30 კაცამდე. (ადს)

ვინ აფერხებს სოციალისტურ შეჯიბრებას

შეჯიბრება სამეურნეო მუშაკების მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს

მუშათა ფართე მასები არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით ჩაებენ სოც. შეჯიბრებაში.--საკმაოდ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების დაკლების და სამუშაოთა გაცდენის შემცირების დარგში.--მუშათა მასების ეს აქტივობა სათანადო გამოხმაურებას ვერ პოულობს სამეურნეო ორგანოებში.--უკანასკნელნი გულგრილად ეკიდებიან სოც. შეჯიბრებას და თავისი უთადარიგობით ჩაშლის საფრთხის წინაშე აყენებენ მას.

სამეურნეო ორგანოების დანაშაულებრივ უმოქმედობას ბოლო უნდა მოეღოს

შედარებით მოკლე დროის განმავლობაში სოციალისტური შეჯიბრება საქართველოში ფართოდ გაიშალა და მასში თითქმის ყველა საწარმოები ჩაება. მუშათა მასა უდიდესი ენტუზიაზმით, არაჩვეულებრივი აქტივობით იღებს მონაწილეობას სოც. შეჯიბრებაში და ირაზმება სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების ამოცანების გარშემო. სოციალისტურმა შეჯიბრებამ უკვე გამოიღო ხელშესახები შედეგები საწარმოო გეგმების შესრულების, თვითღირებულების დაკლების, შრომის ნაყოფიერების გადიდების პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სამუშაოს გაცდენის შემცირების, საწარმოო დეფექტების აღმოფხვრის და საწარმოთა შორის გამოცდილების ფართოდ გაზიარების მხრივ.

სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები სათელყოფს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მას სამეურნეო მშენებლობის წარმატებისა და მუშათა მასის შემოქმედებითი ინიციატივის გაშლისათვის. შეჯიბრება გაიშალა როგორც საწარმოთა შორის, ისე საწარმოთა შიგნით—ცეხებს, მუშების წყებათა, ჯგუფებსა, ბრიგადებსა და ცალკე მუშებს შორის. სოც. შეჯიბრებაში ჩაებენ, როგორც საწარმოები, ისე სოფლის მეურნეობა და საბჭოთა დაწესებულებანი.

პირველი რეალური შედეგები

ჯერ კიდევ სავსებით გამორკვეულ არ არის საქართველოში სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების შედეგათ მიღებული საწარმოო მიღწევები. შეჯიბრების პირველი პერიოდის სრული ჯამის გაკეთება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ოქტომბერში, როცა დასრულდება სამეურნეო წელიწადი, რადგან სამეურნეო ორგანოებში მეტად სუსტად არის დაყენებული საწარმოთა მუშაობის თვიური და კვარტალური აღრიცხვა.

წინასწარი შედეგები კი გვიჩვენებენ შემდეგს:

მემაღაროეთა კავშირის ხაზით—მარგანეცის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება ივნისში მაისთან შედარებით 32 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად დაიწეულა სამუშაო დღე. თუ სოციალისტურ შეჯიბრებამდე 1 მემაღაროეზე საშუალოდ მოდიოდა სამი საათი ნაყოფიერი შრომა, ამჟამად უკვე 4 ნახ. საათი მოდის. სამუშაოს გაცდენა 25 პროცენტით შემცირდა.

ნავთის სინდიკატის სამუშაოებზე (ბათომში) ერთ სამუშაო დღეში სცლიდნენ 6 ცისტერნა ნავთს და 8,2 ცისტერნა მაზუთს, სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ კი — 9,8 ცისტერნა ნავთს და 13 ცისტერნა მაზუთს.

ფეიქართა კავშირის ხაზით—ზონის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში, სოც. შეჯიბრების დაწყების პერიოდში (მაისი-ივნისი) თვითეულ მუშაზე დღეში მოდიოდა 518 გრამი ძაფი, ახლა კი—698 გრამამდე მოდის (ხარისხის დაცვით); სამტრედიის ფაბრიკაში გამომუშავება 555 გრამიდან 736-დე გაიზარდა, თელავისაში—634-დან 704 გრამამდე, ოზურგეთისაში—600-დან 700 გრამამდე. თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში ერთ დაზგაზე მოდიოდა (სოც. შეჯიბრებამდე) 9 მეტრი მატერია, ახლა—10 მეტრი, ბამბის ფაბრიკაში შეჯიბრებამდე ამზადებდნენ 96.000—120.000 კილოგრამ ბამბას, ახლა კი—137.000—146.000 კილოგრამს.

ხის დამმუშავებელთა კავშირის ხაზით — მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკაში თვეში 10.000 სკამს ამზადებდნენ (შეჯიბრებამდე), ახლა კი იმდენივე მუშა-ხელის საშუალებით 13.000 სკამი მზადდება. თბილისის ავეჯის ფაბრიკაში გამომუშავებული პროდუქციის დღიურმა ღირებულებამ თითო კაცზე 9 მ. 46 კაპ. 17 მანეთამდე იმატა.

მელითონეთა კავშირის ხაზით—კალინინის სახელობის ქარხანაში ჩამოსხმული ლითონის თვითღირებულება კილოგრამზე 31, 30 კაპ. 27,49 კაპ. შემცირდა.

ქიმიკოსთა კავშირის ხაზით—თბილისის ზეთსახდელ ქარხანაში მუშების ერთი წყება დღეში ამზადებდა 752 ნაჭერ [illegible], ახლა 908—966 ნაჭერს ამზადებს.

მშენებელთა კავშირის ხაზით—რიონჰესში საგრძნობლათ დაჩქარდა გვირაბის გაყვანა: შეჯიბრებამდე თვითეულ კაცზე (დღეში) მოდიოდა ნახ. მეტრი გათხრილი სივრცე, ახლა — სამი მეოთხედი მეტრი მოდის.

რკინის გზების ზოგიერთ უბნებზე შპალების გამოცვლის ნორმა 5-დან 9-დე გაიზარდა დღეში, სამტრედიის უბანზე კი 12-დე (დღეში).

სამეურნეო მუშაკები და სოც. შეჯიბრება

სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები გვიჩვენებენ, რომ მუშათა ფართო მასამ შეიგნო შრომის ნაყოფიერების გადიდების შრომის დისციპლინის განმტკიცების და სხვ. საჭიროება. მაგრამ იგივე შედეგები გვიჩვენებენ, რომ სამეურნეო მუშაკები არა თუ არ არიან სოციალისტური შეჯიბრების აქტიური მონაწილეები, არამედ, ხშირად განზე დგანან, როგორც კერძო მეთვალყურეები. ზოგიერთ საწარმოებსა და ტრესტებში სამეურნეო მუშაკები სრულიად დაუშვებელ უყურადღებობას იჩენენ ამ მასიურ მოძრაობის მიმართ. ისინი თვლიან, რომ სოც. შეჯიბრების ჩატარება მხოლოდ პროფკავშირების „მოვალეობაა“. ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები აშკარად აცხადებენ: „რა გვესაქმება ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებასთან, დე იგი კავშირმა გაატაროს:

ნავთის სინდიკატის ბათომის განყოფილების გამგე კითხულობს: „რისი მოცემა შეუძლია შეჯიბრებას ან სარგებლობას მოგვიტანს თუ არა ის“-ო?

გემო-კვების მუშაკთა კავშირის ხაზით ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის მონაწილეობა შეჯიბრებაში ფორმალური ხასიათს ატარებს, საწარმოო დეფექტების აღმოსაფხვრელად ზომებს დროზე არ იღებენ: როცა ორ თამბაქოს ფაბრიკას შორის დავა იყო პირველობაზე, ფართე კომისიის სხდომას, რომელზედაც ეს საკითხი ირჩეოდა, არც ამ ფაბრიკების დირექტორები და არც ტრესტის მმართველი არ დასწრებია.

ამიერ-კავკასიის სამხ. სამოქმ. საზ-ბის ადმინისტრაცია შეჯიბრებაში მონაწილეობას არ იღებს და ამას იმით ხსნის, რომ ეკონომკომისიისაგან შესაფერი მიპატიჟება არ მიუღია.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ნავთსადენის განყოფილების გამგემ განაცხადა, რომ განყოფილების მუშაობის სპეციფიურობის გამო, იქ შეჯიბრების ჩატარება შეუძლებელია, გზების წევის განყოფილებას გამგემ განაცხადა: „არავითარი სარგებლობა შეჯიბრებიდან არ იქნება, ვვეყო ჩვენ შეჯიბრებაო?

საქართველოს განათლების კომისარიატი, განათლების მუშაკთა კავშირის ხელმძღვანელების სიტყვით, სოციალისტურ შეჯიბრებას თვლიან საქმედ, რომელიც „მათ არ ეხება“.

მარგანეცის ტრესტმა სოციალისტური შეჯიბრების ჩასატარებლად მხოლოდ ის გააკეთა, რომ იკისრა ნიკოპოლში, სოც. შეჯიბრების შესახებ ხელშეკრულების დასადებათ მუშათა დელეგაციის გასაგზავნი ხარჯები

ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკები სოც. შეჯიბრებას უყურებენ, როგორც დროებითი კამპანიას. შეჯიბრების შედეგების აღრიცხვა არ სწარმოებს ისე, რომ მუშებმა თვალსაჩინოდ დაინახონ მისი რეალური შედეგები. მეტად ცუდათ არის დაყენებული შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევების აღრიცხვა. ადმინისტრაციის მასალების მიხედვით ერთი მუშა შავ დაფაზე მოათავსეს, შემდეგ კი გამოირკვა, რომ მას ერთი დღეც არა აქვს გაცდენილი.

ფოთში ამხ. შ. ელიავას სახელობის ქარხნის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ იქ შეჯიბრების ჩატარება შეუძლებელია, რადგან ქარხანა „სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფება. ერთად ერთი, რაც მათის აზრით შეიძლებოდა ამ დარგში გაკეთებულიყო ეს... ხელფასის დაკლება.

არის მთელი რიგი შემთხვევები, როცა მასების ინიციატივას წინ ეღობება სამეურნეო ორგანიზაციების ბიუროკრატიზმი.

სოც. შეჯიბრების მთავარი ამოცანაა--მშრომელთა ფართო მასების დარაზმვა ხუთწლიანი გეგმის შესრულების ამოცანების გარშემო.

გემოკვების მუშათა კავშირის მოთხოვნაზე ხუთწლიანი გეგმის გაცნობის შესახებ კავშირისათვის, თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ უარით უპასუხა: „ხუთწლიანი გეგმის ზედმეტი ცალი არ დაგვრჩაო“. საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა ამავე კავშირს უპასუხა: „ტრესტი შესაძლებლად თვლის გეგმის მიცემას კავშირისათვის იმ პირობით, თუ უკანასკნელი გასწევს გეგმის გადასაბეჭდათ საჭირო ხარჯებსო“.

თუმცა სოც.შეჯიბრების მთავარ საკითხებს, თვითღირებულების დაკლება და საწარმოო გეგმის შესრულება წარმოადგენს, მაგრამ მუშებს თითქმის ყველა საწარმოებში ისე უხდება ვალდებულებათა მიღება თავისთავზე, რომ არ იცის, თუ როგორ მდგომარეობაშია თვითღირებულებისა და წლიური საწარმოო გეგმის საქმე მის წარმოებაში. სამეურნეო ორგანოებს პროფკავშირებთან ერთად უნდა ეკისრა სოც. შეჯიბრების ხელშეკრულებათა პროექტების შედგენა და შეჯიბრების რეალურ პირობების შემუშავება. მაგრამ თითქმის ყველგან ხელშეკრულებათა პროექტების შედგენა უხდება ქარხკომების მუშაკებს, რის გამო ხელშეკრულებები არ არის კონკრეტიული და სავსეა ტრაფარეტული პუნქტებით. არის ასეთი ვალდებულებებით: „წარმოება გაჯანსაღებულ იქნეს 80 პროცენტით“ ამ ხელშეკრულებას, სხვათა შორის, ხელს აწერს წარმოების დირექტორი). ქარხკომების მუშაკები აცხადებენ, რომ თუ ისინი სამეურნეო მუშაკებს დაელოდებოდნენ, დღემდე არც ერთი ხელშეკრულება არ იქნებოდა დადებული.

ტრანსპორტელთა კავშირის ხაზით, საწარმოთა ადმინისტრაციას არც ერთ შემთხვევაში არ მიუციათ სწორი, დასაბუთებული ციფრები და სოც. შეჯიბრების ხელშეკრულების დადების დროს, იძულებული შეიქნენ ესარგებლათ იმ მუშაკების პრაქტიკით და გამოცდილებით, რომლებიც შეჯიბრებაში იღებდნენ მონაწილეობას. ქარხნის სამმართველოები პერიოდულათ არ აცნობენ მუშებს, თუ რა შედეგებს იძლევა შეჯიბრება, მუშებმა არ იციან, თუ რა შედეგები გამოიღო მათ ენერგიამ, რომელი წყება, ჯგუფი ან საამქრო მიდის წინ.

შეჯიბრება ჩაშლის საფრთხის წინაშე

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მუშათა საწარმოო აქტივობა დღითი-დღე იზრდება, მაგრამ იგი გამოხმაურებას ვერ პოულობს ცალკე სამეურნეო ორგანიზაციებში. შეჯიბრების შედეგათ სამუშაოთა გაცდენა საგრძნობლად შემცირდა, იზრდება შრომის ნაყოფიერება, იქმნება მუშათა დამკვრელი ბრიგადები შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად და სხვ. მთელ რიგ საწარმოებში მუშები ნებაყოფლობით თანხმდებიან განაკვეთის შემცირებასა და ნორმების გადიდებაზე. სამეურნეო ორგანიზაციების ხაზით კი ადგილი არა აქვს ყურადღების გაძლიერებას საწარმოო დეფექტების აღმოფხვრისადმი არის ცნობები, რომ მუშაობის გაცდენა საწარმოებში, ტრესტებისა და ქარხნის სამმართველოების მიზეზით, მატულობს; ხშირია მუშაობის შეფერხების შემთხვევები მასალის დროზე მიუწოდებლობის, რემონტის თავის დროზე შეუსრულებლობის გამო და სხვ. სამეურნეო ორგანოებს არ გაუძლიერებიათ რაციონალიზატორული მუშაობა საწარმოებში. ზოგიერთ საწარმოების მუშები აცხადებენ, რომ შეჯიბრების პირობების შესრულება საფრთხეშია სამეურნეო უთადარიგობის წყალობით (ცემენტისა და ორთქლმავლების შემკეთებელი ქარხანა. ტყიბულის მაღაროები, მარგანეცის სამუშაოები, მარელისის ფაბრიკა, შუშის ფაბრიკა, ტყავეულობის ფაბრიკები, ლითონ-ტრესტის წარმოები, თბ. აღმასკ. ადგ. მრეწველობის საწარმოები და სხვ.).

აი სოც. შეჯიბრების ჩაშლის მაჩვენებელი რამდენიმე ფაქტი: ჭიათურაში მარგანეცის სახერხი ქარხანა სამანქანო ზეთის უქონლობის გამო სამ დღეს იდგა; შექახიკურ-საარტილერიო ქარხანაში უქმად აწყვია 254.000 მანეთის მასალა იმ დროს, როცა ქარხნის წლიური პროდუქცია 650.000 მან. უდრის; ბორჯომის სატკეჩე ქარხანა ორ დღეს იდგა; ტყიბულში მუშაობა ფერხდება, რადგან ადმინისტრაცია დროზე არ აწვდის მაღაროებს გასამაგრებელ მასალას. შუშის ქარხნის მუშები ამბობენ, რომ საქართველოს კურორტთა სამმართველო შეჯიბრებას ატარებს.. „საუკეთესო სამეურნეო უთადარიგობაზე“: ქარხანას თავის დროზე არ აწვდის მაზუთსა და სხვ.

ტრანსპორტის მუშათა კავშირში ამბობენ, რომ „სოც. შეჯიბრების ხელშეკრულებები მთლიანად ვერ იქნება შესრულებული ამიერ-კავკასიის რკინის გზების ადმინისტრაციის ჩვეულებრივი წინააღმდეგობის გამო“. საერთოდ ამ კავშირში სჩივიან, რომ „რკინის გზების ადმინისტრაცია ყურადღებით არ ეპყრობა საწარმოო თათბირების წინადადებებს და თავს იმით იმართლებს, რომ ამ თუ იმ წინადადების განსახორციელებლად საჭირო ხარჯები გათვალისწინებული არ არის ხარჯთაღრიცხვით“.

რიონგესის სამუშაოებზე დრ. საკონტროლო კომისიის 33 წინადადებიდან არც ერთი არ არის შესრულებული.

აფხაზეთში „ზაკავტოპრომტორგ“-ის მუშები აცხადებენ: სოც. შეჯიბრებას ფორმალური ხასიათი აქვს; [illegible] რაც შეეძლოთ, შედეგები კი არ სჩანს, რადგან საწარმოო თათბირების წინადადებათა 50 პროცენტი მაუდის ქვეშ არის ამოდებული.

გარდა წერილობითი დირექტივების დაგზავნისა სამეურნეო ორგანოებს არავითარი პრაქტიკული ნაბიჯები დღემდე არ გადაუდგამთ.

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მთელი რიგი დირექტივები მისცა ტრესტებსა და საწარმოებს, მაგრამ ერთხელაც არ შეუმოწმებია, თუ როგორ ტარდება ეს დირექტივები, არ ყოფილა შემთხვევა, რომ საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ან რომელიმე სხვა სამ. ორგანიზაციას მოესმინოს საწარმოთა ხელმძღვანელობის მოხსენებები მათი მონაწილეობის შესახებ სოც. შეჯიბრებაში.

აგიტ-კოლონები სოფლად

ქუთაისის ოლქში

ქუთაისი, 14 სექტემბერი ხვალ, დილის 7 საათზე, ქუთაისის და ბაღდადის რაიონში გაემგზავრება საოლქო პარტკომის მიერ გამოყოფილი 2 აგიტკოლონა. თითეულ კოლონაში შედის რაზმის მუშები, სამხედრო ნაწილები, აგრონომები და ექიმები, კოოპერატიული, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მსუბუქი კავალერია. აგიტ-კოლონების ამოცანაა — თესვის კამპანიის, სასოფლო - სამეურნეო გადასახადის კანონის და ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის პოპულიარიზაცია გლეხობაში. კოლონა რამდენიმე დღის დაჰყოფს რაიონში. თვითეულ კოლონას თან მიაქვს ამერიკული საბეჭდი მანქანა, ადგილობრივ გაზეთების ამოსაცემად.

19 სექტემბერს, იმ ადგილებში, სადაც კოლონები იმუშავებენ, მოეწყობა აეროპლანების საგიტაციო ფრენა.

გ. რიონიძე.

ბორჯომის რაიონში

ბორჯომი, 14 სექტ., კვირას, 15 სექტემბერს, ბორჯომის რაიკომის და პროფკავშირთა ინიციატივით ბორჯომის რაიონის სოფლებში ეწყობა აგიტ-გაფრენა ადგილობრივ გლეხობაში ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის და საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარების მიზნით. აგიტ-გადარბენის მონაწილე ამხანაგები მოივლიან რაიონის ყველა სოფლებს. აგიტ-გადარბენის მონაწილე ამხანაგების თათბირმა დაადგინა გამოიწვიოს სოციალისტურ შეჯიბრებაში აგიტ-გადარბენის და კამპანიების უკეთესად ჩატარებაზე გორის აგიტ-კოლონა.

ჩიგოგიძე.

იმპერიალისტური წინააღმდეგობანი და სარეპარაციო საკითხი

(ჰააგის კონფერენციის შედეგების გამო)

1. იმპერიალისტური წინააღმდეგობანი

ამ ცოტა ხნის წინად დამთავრდა ჰააგის სარეპარაციო კონფერენცია. 26 დღე (6—31 აგვისტომდე) სწარმოებდა ეს გამძაგებელი ძარცვა - გლეჯა და ვაჭრობა გერმანიის ცოცხალ სხეულზე. ყოფილმა მოკავშირეებმა ამ ყოვლად „კეთილშობილ“ მამაც იმპერიალისტების ურიაობას დიდად კეთილშობილი და მომხიბლავი სახელიც დაარქვეს — „კონფერენცია ომის ლიკვიდაციის ურთიერთ ნდობაზე დამყარებული“.

რა უხეში ირონიაა! — „ომის ლიკვიდაცია ურთიერთ ნდობაზე დამყარებული“ იმ დროს, როდესაც მშვიდობიანობის სამოსელში გახვეული სარეპარაციო ლაზღანდარობაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენელნი სთხზავდნენ იმპერიალისტურ ექსპანსიის ახალ გაფართოებულ გეგმებს, ირაზმებოდნენ ჯგუფებად, აცხოველებდნენ საერთაშორისო ბაზრებისათვის ბრძოლას, აწყობდნენ კაპიტალის ექსპორტის საქმეს და ყველა ამისთვის ადგენდნენ „დღევანდელ პირობათა მიხედვით შესწორებულ“ შეიარაღების ახალ გეგმებს.

ჰააგის კონფერენციაზე მკაფიოდ გარდაიშალნენ სახელმწიფოთა შორის იმპერიალისტური წინააღმდეგობანი. ინგლის - საფრანგეთის ხელშეკრულება აქამდის იყო ერთგვარი ნიადაგი, რომელზედაც ისახებოდა ევროპიულ სახელმწიფოთა ურთიერთობა, ირაზმებოდა „საზოგადოებრივი აზრი“, და აგრეთვე ირკვეოდა ურთიერთობა ამერიკასთან. **ინგლის - საფრანგეთის ხელშეკრულება** ინგლისის კონსერვატიული მთავრობის საგარეო პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო. მას ფორმალურად კომპრომისის ხასიათი ჰქონდა, ნამდვილად კი ეს ხელშეკრულება ფრანგულ დიპლომატიის სრულ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. საქმე იმაშია, რომ ხელშეკრულების ძალით თითქმის სრულიად განხორციელდა საფრანგეთის იმპერიალისტების ძველი ოცნება, — ინგლისმა უარი სთქვა ევროპიულ კონტინენტალურ ჰეგემონიისათვის ბრძოლაზე და საფრანგეთს დაუთმო გარდამწყვეტი როლი. თავისთავად ეს იყო ინგლისის დიპლომატიის დიდი დამარცხება, რადგან ლოკარნოში ინგლისმა ჩაიგდო ხელში ევროპიულ საქმეთა სადავე და თითქმის უშუალოდ განაგებდა მათ.

ინგლის - საფრანგეთის შარშანდელ საზღვაო ხელშეკრულების ძალით, საფრანგეთს მიეცა უფლება უშუალოდ მოეწესრიგებინა ხმელეთის შეიარაღებული ძალები, — სამაგიეროდ საფრანგეთმა დაუთმო ინგლისს ზღვაზე შეიარაღების საკითხში. რასაკვირველია, ეს „კომპრომისი“ კონსერვატიულ ინგლისის მთავრობას არაფერს არ აძლევდა. ინგლისი უძლიერესად საზღვაო სახელმწიფოა, — საფრანგეთი კი — უძლიერესად კონტინენტალური. მათ შორის ქიშპობას არც ზღვაზე და არც ხმელეთზე გარდამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ხელშეკრულების ძალით კი საფრანგეთი უნდა გამხდარიყო ევროპიულ კონტინენტის მბრძანებლად, რაც ინგლისს ყოველ შემთხვევაში არც ძალიან ეპიტნავება, — ინგლისის ზღვაზე გაძლიერება კი საფრანგეთს არც ისე აწუხებს.

რატომ გადასდგა კონსერვატიულმა მთავრობამ ასეთი ნაბიჯი? არც ისე გასულელდა ჯერ ინგლისის დიპლომატია, რომ საფრანგეთისთვის დაეთმო კონტინენტალური პოზიციები მისი უუნუნა თვალებისთვის. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ დროს კონსერვატიულ მთავრობის მთელი ძალ-ღონე იქით იყო მიმართული, რომ **მედგარი წინააღმდეგობა გაეწია შეერთებულ შტატების შეიარაღებულ იერიშებისათვის** და ზურგგამაგრებული (ევროპის მხრით) თვით გადასულიყო შეტევაზე და კვლავ აღედგინა თავისი ადგილი მსოფლიო ბაზარზე. ამერიკა იყო მთავარი მტერი და ინგლისის მთავრობა არაფერს არ ზოგავდა მასთან ბრძოლის გასაცხოველებლად. ინგლის - საფრანგეთის ხელშეკრულებას საგრძნობლად უნდა დაეკმაყოფილებინა საფრანგეთი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ევროპიული ზურგის ნამდვილი გამაგრება. ეს გამოიწვევდა საფრანგეთის ვასალების — პოლონეთის, რუმინიის, ჩეხოსლოვაკიის და სხ. მიმხრობას. გერმანიას რჩებოდა ან სრული იზოლიაცია, ან ინგლის - საფრანგეთის ბლოკში შესვლა. გარდა ამერიკისა, რასაკვირველია, პუანკარე-ჩემბერლენის ხელშეკრულება მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაც.

ჩვენ განგებ შევჩერდით ინგლის - საფრანგეთის ხელშეკრულებაზე, რადგან მხოლოდ ამ ნიადაგზე შევვიძლია წარმოვიდგინოთ სახელმწიფოთა ურთიერთობის სურათი ჰააგის კონფერენციის წინ და სწორედ გავითვალისწინოთ მათ შორის იმპერიალისტური წინააღმდეგობანი. მაკდონალდის მთავრობამ დიდი ზიანი მიაყენა პუანკარე - ჩემბერლენის ხელშეკრულებას ინგლისის პოზიცია ჰააგის კონფერენციაზე ამტკიცებს იმას, რომ „ძველი ალბიონი“ კვლავ **დაადგა ინგლისის იზოლიაციის ტრადიციულ ხაზს**, და ორ ფრონტზე ბრძოლა ამჯობინა, რათა, სნოუდენის სიტყვით, „მთლიანად აღდგენილ იქნას ინგლისის პრესტიჟი ქვეყნად“.

ძნელია იმის თქმა, თუ როგორ შესძლებს „მუშათა“ მთავრობა ინგლისის პრესტიჟის აღდგენას. ყოველ შემთხვევაში, ჰააგის კონფერენციის შემდეგ ინგლის - ამერიკის და ინგლის - საფრანგეთის ურთიერთობანი ახალ ფაზაში გადავიდნენ. ამჟამად მაკდონალდი დიდის ამბით აფრიალებს ჟენევაში ამერიკასთან საზღვაო შეთანხმების პროექტს, რომელიც ფაქტიურად ადასტურებს ამერიკის ზღვაზე ბატონობას. ამასთანავე საფრანგეთს სრული უფლება ეძლევა აირჩიოს საკუთარი საგარეო პოლიტიკა 1928 წლის ხელშეკრულების გარეშე. ასეთია, დაახლოვებით, მაკდონალდის მთავრობის გარეშე პოლიტიკის მიღწევები „ინგლისის პრესტიჟის“ აღსადგენად!

2. ამერიკის მისწრაფებანი

ამრიგად, ჰააგის კონფერენცია ერთის მხრითთ გადაიქცა იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა გამომჟღავნების ასპარეზად. ჰააგამ არივ-დარია საერთაშორისო ურთიერთობანი და მოუმზადა მტკიცე ნიადაგი სახელმწიფოთა მომავალ დარაზმვას ჯგუფებად და კვლავ შეიარაღების გაცხოველებას. ჰააგაზე უშუალოდ და განცალკევებით აწარმოებს ამერიკა თავის „ევროპიულ პოლიტიკას“. ამიტომ საჭიროა, ვიდრე თვით სარეპარაციო საკითხს შეუდგებოდეთ, მოკლეთ განვიხილოთ შეერთებულ შტატების პოზიცია ამ საკითხში.

პირველ შეხედვით შეუთანხმებელია: ამერიკა და სარეპარაციო საკითხი! რა შუაშია ამერიკა, როდესაც გერმანია სარეპარაციო თანხებს ევროპიულ ყოფილ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს— საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას, ბელგიას და აგრეთვე იაპონიას ურიგებს! იყო დრო, როდესაც ეს აზრი არც ასე გულუბრყვილო და სასაცილო იყო. თვით შეერთებულ შტატების მთავრობა აღიარებდა, რომ სარეპარაციო საკითხი უდავოდ ევროპიული საკითხია და ამერიკა აქ არაფერ შუაშია, — ერთი რამ კი ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იდგეს: ყოფილ მოკავშირეებმა ომის დროს ნასესხები მილიარდები პატრონს — ამერიკას — უკანასკნელ დოლარამდე უნდა ჩაუთვალონ. და რადგან გამოირკვა, რომ ევროპას არამც თუ არ შეუძლია ამ თანხების ნაღდად ჩათვლა, — პროცენტებსაც კი ვერ გადაიხდიდა იგი, — და განზრახვა აქვს ვალების საერთო გაუქმების იდეას ნიადაგი ჩაუყაროს, — აი, სწორედ აქედან იწყება ამერიკის „ევროპიული პოლიტიკა“.

რადგან საქმე ომის დროს ევროპაში გაფანტულ მილიარდ დოლარების ბედზე მიდგა, ამერიკამ, — ამ მძლავრმა ფინანსიურმა მებატონემ, — მტკიცედ გადასწყვიტა, რომ დადგა დრო, როდესაც თვით ამერიკამ უნდა მოკრიფოს გაფანტული წკრიალა დოლარები და ეს შესაძლებელია მხოლოდ ევროპიულ საქმეებში ჩარევის სახით, პირველ ყოვლისა სარეპარაციო საკითხის ვაშინგტონის სურვილების გადაწყვეტით. მაგრამ ამ ჩარევას ამერიკა აწარმოებს ისე, რომ ფორმალურად არ კადრულობს ევროპიულ საქმეებში ჩარევას, ერთა ლიგაში არც კი იღებს მონაწილეობას და, როგორც ნამდვილი ფინანსიური დიქტატორი, უკარნახებს ევროპას თავის სურვილს არა როგორც მისი ტოლი, არამედ როგორც ბატონი. ვაშინგტონი უგზავნის ევროპას თავის აგენტებს, რომლებსაც დავალებული აქვთ „უშველონ“ ევროპას სარეპარაციო საკითხის მოწესრიგებაში და უკანასკნელი დიდის სიხარულით იღებს ასეთ „დახმარებას“.

ამერიკამ იგრძნო, რომ ის არის ერთადერთი არბიტრი ევროპიულ ფინანსების მოწესრიგების საკითხში, რადგან გერმანიის რეპარაციები და აგრეთვე მოკავშირეთა ურთიერთი დავალიანება — ეს ყველაფერი მხოლოდ სხვადასხვა მხარეა ერთი და იგივე საკითხის. ამერიკამ საუცხოვოდ გამოიყენა ეს მდგომარეობა თავის ინტერესებისათვის: მან ჩაიგდო ხელში უტყუარი იარაღი, რომლითაც შეეძლო თავისი იმპერიალისტური მისწრაფებათა განხორციელება. მსოფლიო ჰეგემონიის საკითხი ევროპის ფინანსიური კონტროლის გზით ამერიკისათვის მკაფიოდ და მარტივად დაისვა.

სარეპარაციო საკითხი, ევროპის დავალიანება, ევროპის ფინანსიური დამოკიდებულება ნიუ-იორკის ბირჟისაგან სრულიად საკმარისი იყო, რომ ამერიკას გაეშალა თავისი იმპერიალისტური ფრთები. ვაშინგტონი იმით იწყებს თავის ექსპანსიას, რომ დაუესის გეგმის სახით „აწესრიგებს“ ევროპის ფინანსებს, აწესრიგებს სარეპარაციო საკითხს და **აძლევს ევროპას საშუალებას.. გადაუხადოს ნიუ-იორკის ბანკებს ვალები.** ამერიკა, რასაკვირველია, არაა დაინტერესებული ევროპის სრულ დანგრევაში, რადგან ამ შემთხვევაში იგი კარგავს ბაზარს თავის პროდუქციისათვის და, პირველ ყოვლისა, კაპიტალის მოთავსებისათვის. მას მხოლოდ უნდა ევროპის სრული დამორჩილება, მისი დანგრევა კი მას ჯერ - ჯერობით ხელს არ აძლევს. ამიტომ არის, რომ იგი მედგრად ცდილობს კვლავ მის „აყვავებას“.

დაუესის გეგმა და სარეპარაციო საკითხის მოწესრიგება შეერთებულმა შტატებმა პირველ ყოვლისა ინგლისის მსოფლიო ძლევამოსილობის წინააღმდეგ იერიშებისათვის გამოიყენა. მთელი ვაშინგტონის პოლიტიკა, ყველა ხელშეკრულებანი, რომლებიც დაიდო ამ უკანასკნელ წლებში, თვით კელოგის პაქტიც კი, იქითკენ არის მიმართული, რომ ძირი გამოუთხაროს ინგლისის ზღვაზე ბატონობას. ჩვენ შევიტყობთ შემდეგ, რომ მარტო ზღვაზე შეიარაღების გაძლიერების გზით არ ანხორციელებს ამერიკა ამ გულის წადილს. იუნგის სარეპარაციო გეგმით დაუესის გეგმის გადასინჯვით მან მიაღწია **ინგლის - საფრანგეთის კონტინენტალურ ბლოკის ჩაშუშვას**, რადგან ეს ბლოკი ფრიად ართულებდა ბრძოლას და ინგლისი კვლავ სრულ იზოლიაციის გზაზე დააყენა. განმარტოვებულ ინგლისს უფრო ადვილად გაუსწორდება მისი „ანგლო-საქსონური“ ძმე. საკვირველი არ იქნება, თუ ამ საქმეში ვაშინგტონის დიპლომატია გერმანიას და თვით საფრანგეთსაც კი მიიმხრობს. დე, მაკდონალდმა აფრიალოს თავის პროექტი ინგლის-ამერიკის საზღვაო შეთანხმების შესახებ.

3. იუნგის გეგმა ჰააგის კონფერენციაზე

როდესაც შარშან პირველად დაისვა დაუესის გეგმის გადასინჯვის საკითხი, ბევრი განცვიფრებაში იყო: დაუესის გეგმა, რომელიც ოთხი წელიწადი იყო ევროპის და ამერიკის სათაყვანებელი საგნად, რომელზედაც ამყარებდნენ დიდ იმედებს—ახლა გასაუქმებლად გაიმეტეს. რატომ მოხდა ეს „მოულოდნელი“ ამბავი?

გადასინჯვის აზრი დაიბადა შარშან რეინის ოლქის ევაკუაციის შესახებ მოლაპარაკების დროს. დაინტერესებულ სახელმწიფოებმა სცნეს „სარეპარაციო პრობლემის სრული და საბოლოო მოწესრიგების აუცილებლობა“. შემდეგ დანიშნული იყო ფინანსიურ ექსპერტთა კომისია, რომელმაც მოიყარა თავი პარიზში მხოლოდ წელს და რამდენიმე კვირის განუწყვეტელ მოლაპარაკების შემდეგ, ივნისში, ჰშვა ახალი სარეპარაციო შეთანხმება ამერიკელ ექსპერტის ოუენ იუნგის გეგმის სახელწოდებით. ეს ახალი გეგმა საფუძვლად დაედო ჰააგის სარეპარაციო კონფერენციას.

სამი საკითხი იდგა ჰააგის კონფერენციის დღის წესრიგში: სარეპარაციო გადასახადების საბოლოო გამოანგარიშება და მათი ყოველწლიური დაფარვის წესი, რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხი, პირობები და, ვადა; მესამე პუნქტად იყო აღნიშნული ე. წ. საერთაშორისო (სარეპარაციო) ბანკის დაარსება. რაც შეეხება ამ უკანასკნელ პუნქტს, იგი თითქმის სრულიად განუხილავი დარჩა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რომ კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ამის შესახებ სწარმოებდა აზრების ფორმალური და ზერელე გაცვლა - გამოცვლა, რასაც ოდნავადაც კი არ გაუშუქებია საკითხი და, ალბად, ხელახალა იქნება ის განხილული მომავალ „საბოლოო“ სარეპარაციო კონფერენციაზე, რომელიც განზრახული არის ოქტომბერს. ამჟამად დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ „საერთაშორისო ბანკის“ საკითხი უსათუოდ გამოიწვევს იმპერიალისტთა შორის დიდ შეხლა-შემოხლას. უკანასკნელთა აზრები ბანკის ამოცანების შესახებ ძალიან განსხვავდებიან ერთი - მეორისაგან. ბანკის დაარსება მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოფილ მოკავშირეთა ურთიერთ დავალიანებასთან და ამ მხრივ ბანკის დაარსების იდეის განხორციელება არის **შეერთებულ შტატების ფინანსიურ კაპიტალის იმპერიალისტურ მისწრაფებების**, ევროპის და, პირველ ყოვლისა, ინგლისის ექსპანსიის საბედისწერო შევიწროების პირდაპირი შედეგი. ამიტომ ინგლისი კატეგორიულად წინააღმდეგია იმის, რომ ბანკი, რომელიც ფორმალურად სარეპარაციო ბანკად არის განზრახული, ისახავდეს უფრო გაფართოებულ ამოცანებს და ამრიგად ნიუ-იორკის საინვენციო ბანკების ფილიალად გადაიქცეს. სულ სხვა შეხედულება აქვს ამის შესახებ შეერთებულ შტატებს, საფრანგეთს, გერმანიას და სხ. ამ ძალიან დიდსა და ფრიად საინტერესო თემას ჩვენ თავის დროზე დაუბრუნდებით.

რეინის ევაკუაციის საკითხი — ეს ჰააგის წესრიგის მეორე პუნქტი, — რომელიც გერმანიის წარმომადგენელმა დასვა, როგორც „გერმანიის სუვერენიტეტის აღდგენის“ საკითხი, საბოლოოდ მაინც ვერ გადაწყდა. ბრიანმა მაინც თავისი გაიტანა და ამით აანაზღაურა სნოუდენის ფინანსიური „მიღწევანი“. რეინის განთავისუფლება გერმანიისთვის ძალიან სერიოზული საკითხია და ამისთვის იგი არაფერს დაზოგავდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ეს განთავისუფლება თუნდაც ზედმეტ ფინანსიურ მსხვერპლის გაღებით. მაგრამ ბრიანს კარგად ესმოდა თავისი როლი კონფერენციაზე და ამ საკითხში დათმობა მოასწავებდა ინგლისის პოზიციის გამაგრებას. საფრანგეთის ძალდატანებით, კონფერენციამ გადასწყვიტა რეინის მეორე ზონის ევაკუაცია მოხდეს სამი თვის განმავლობაში. ეს „მიღწევა“ სერიოზული არ არის, რადგან ვერსალის ხელშეკრულების ძალით ეს ზონა ისედაც უნდა განთავისუფლებულიყო 1930 წლის 1 იანვრისთვის. რაც შეეხება მესამე ზონას — ინგლისი მას ანთავისუფლებს იმავე სამ თვეში, რის შესახებაც განკარგულება უკვე გაცემულია. ხოლო საფრანგეთი და ბელგია აგრძელებენ ევაკუაციას 8 თვის განმავლობაში, და იგი შეიძლება დამთავრდეს 1930 წ. ივნისს. როდესაც შტრეზემანი გერმანიის ხარჯზე უთმობდა სნოუდენს რამდენიმე ათეულ მილიონს, რადგან დაინტერესებული იყო, რომ კონფერენცია არ ჩაფუშულიყო, მას იმედი ჰქონდა, რომ სამაგიეროდ სნოუდენი მას დაეხმარებოდა საფრანგეთის წინააღმდეგ რეინის ევაკუაციის საკითხში, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. **ჰენდერსონმა ვერ გაუძლო ბრიანის პოლიტიკურ რისხვას**, რომელიც გამოწვეული იყო არა მარტო სნოუდენის ფინანსიურ „ჟიუტობით“, არამედ საერთოდ ინგლისის მთელი „ახალ“ პოლიტიკით, რამაც ძირი გამოუთხარა ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკურ კავშირს.

ამ რიგად ჩვენ მივადექით კონფერენციის ყველაზე „თავსამტვრევ“ საკითხს—იუნგის გეგმის ფინანსიურ ნაწილს. კარგად უთხრა სნოუდენმა ჰოლანდის გარეშე საქმეთა მინისტრს თავის მისასალმებელ სიტყვაში: „ბედნიერი იყავით, რომ თქვენ არ იღებთ მონაწილეობას ამ კონფერენციაზე“-ო. და მართლაც, ის ცინიკური ვაჭრობა და ძარცვა-გლეჯა, რომელშიაც თვით „პატიოსანი“ მისტერ სნოუდენი ყველაზე დიდ მონაწილეობას ღებულობდა, საზარელ სურათს წარმოადგენდა. ყველა თავისკენ იწევდა, ყველაზე ცოტათ კი გერმანიის ინტერესებს იღებდენ მხედველობაში. ერთი სიტყვით, „ყველანი თავის ადგილზე იყვნენ“, როგორც ბრძანა სნოუდენმა სხვა საგანზე და სხვა განზრახვით.

იუნგის გეგმის ფინანსიური ნაწილი შემუშავებული იყო უკვე პარიზის ექსპერტთა კონფერენციაზე ამ რამდენიმე თვის წინად. იგი მდგომარეობს, პირველ ყოვლისა, იმაში, რო სრულიად უარჰყოფს ე. წ. „**კეთილდღეობის“ პრინციპს**, რომლის ძალით დაუესის გეგმას საბოლოოდ არ გადაუწყვეტია სარეპარაციო გადასახადების რაოდენობა და დატოვებულიყო ერთგვარი შესაძლებლობა გერმანიის გადამეტებულ ეკონომიურ ზრდის შესაზღუდავად. ასეთ შეზღუდვაში ამერიკა ამჟამად სრულებით არ არის დაინტერესებული და ამიტომაც ეს პრინციპი უარყოფილ იქნა. რკინის გზები ფორმალურად კვლავ გადადის გერმანულ, მთავრობის ხელში, თუმცა ერთგვარი კონტროლი მათზე მაინც იმოქმედებს, და გადასახადების ნაწილში (660 მილიონში) გირაოდ რჩება. გირაოების პრინციპი მთლად უარყოფილი არ არის. რჩება კონტროლი რეინზედაც. ტრანსფერტის და სარეპარაციო გადასახადების ნატურალურ დაფარვას ქვემოდ შევეხებით.

გეგმის ძალით, გერმანია იხდის რეპარაციებს 27 წლის განმავლობაში საშუალოდ 2.050 მილიონ ოქროს მარკას, ხოლო შემდეგ 21 წლის განმავლობაში 1.650 მილიონ მარკას. ამ უკანასკნელ თანხებს, იუნგის გეგმის მიხედვით, ფარავს არა გერმანიის ხაზინა, არამედ „სარეპარაციო ბანკი“ თავის მოგებიდან. ნამდვილად კი ეს „მოგებები“ გერმანიის ფონდების ექსპლოატაციით იქნებიან მიღებულნი. გერმანია ფორმალურად თავისუფლდება მისი ფინანსების კონტროლისაგან, მაგრამ ზოგიერთი საკონტროლო ფუნქციები მაინც რჩება „სარეპარაციო ბანკს“.

ფრიად საინტერესოა ე. წ. **ტრანსფერტის** (ფულის საზღვარგარეთ გადაგზავნის) პრობლემა და მისი გამორკვევა გერმანიის ფინანსიურ-ეკონომიურ შესაძლებლობათა საფუძვლებით. დაუესის გეგმის ძალით, სარეპარაციო გადასახადები გაყოფილნი იყვნენ ორ ნაწილად: ერთი უთუოდ (600 მილიონი) რომელიც ყოველწლიურად უნდა ყოფილიყო გადაგზავნილი კრედიტორებისათვის მიუხედავად ფინანსების შინაურ მდგომარეობისა, მეორე—დანარჩენი თანხა, რომელიც შეიძლებოდა არ ყოფილიყო გადაგზავნილი იმ შემთხვევაში, თუ ეს ზომა გერმანულ ვალიუტას ზიანს მიაყენებდა. ამ შემთხვევაში გადასაგზავნი თანხები გადადიოდა მთავრობის ხელში, როგორც სესხი. **გერმანიამ არც ერთხელ არ გამოიყენა ეს სატრანსფერტო „პრივილეგია“.** ეს აიხსნება, ჯერ ერთი, იმით, რომ ამ „სესხის“ პირობები არ იყო ხელსაყრელი და ამით არც მტკიცე ვალიუტა (დოლარი, ფუნტი) შემოდიოდა, მეორეც ის, რომ გერმანია ძალიან ორიგინალური გზით ფარავდა წლიურ გადასახადებს.

1924—28 წლის განმავლობაში გერმანიამ გადაიხადა 4.670 მილიონი მარკა რეპარაციებში და მას ტრანსფერტის საკითხი არც ერთხელ არ დაუსვამს. ამხ. ვარგას*) მოჰყავს „სადისკონტო საზოგადოების“ ანგარიში, რომელშიაც აღნიშნულია, რომ იმავე დროს გერმანიას აუღია გრძელვადიან სესხად 6.800 მილიონი მარკა საზღვარგარეთ. ამას უნდა მიემატოს თითქმის 3,5—4 მილიარდი მარკა, აღებული მოკლევადიან სესხად აგრეთვე საზღვარგარეთ, და ჩვენ მივიღებთ გრანდიოზულ ციფრს **9.800 მილიონ მარკას!** ამრიგად, გადახდილი 4.670 მილიონი შეადგენს მხოლოდ ამ თანხის ნახევარს. ნათელია, რატომ არ დაისვა გერმანიისათვის ტრანსფერტის პრობლემა. **სესხები ხარჯდება იქვე, საზღვარგარეთ, როგორც სარეპარაციო გადასახადები!** ასეთ მდგომარეობას ამხ. ვარგა ეძახის „**ცრუ ტრანსფერტს**“. სესხები უმეტესად ამერიკიდან მოდიოდა, ამიტომ ამბობენ, რომ „გერმანიის აღდგენის გზა მოფენილია ამერიკულ დოლარებით“ (ლოიფ-ბეჰენი). მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს, რადგან ყოველ ოთხ წელიწადს შეუძლებელია, თითქმის 10 მილიარდ სესხის აღება, იგი ძირს გამოუთხრის მეურნეობას და რეპარაციებზე უარის თქმად გარდაიქცევა. და დღეს თუ ტრანსფერტის პრობლემა არ ისმის გერმანიაში—ხვალ შეიძლება იგი დაისვას. მეორეს მხრით, ტრანსფერტის პრობლემა მოიხსნება მხოლოდ მაშინ, თუ გერმანია შესძლებს თავის ექსპორტი 6 მილიარდ მარკით გაადიდოს (ე. ვარგა). ეს კი შეუძლებელია, რადგან მთელი მსოფლიოს სამრეწველო ექსპორტი ამჟამად, გარდა გერმანიისა, შეადგენს მხოლოდ 44 მილიარდ მარკას! ტრანსფერტის პრინციპის გაუქმება იუნგის გეგმის მიერ დიდ ზიანს აყენებს გერმანიას. უკანასკნელს ეძლევა მხოლოდ უფლება 660 მილიონი მარკის გადაგზავნა გადადოს არა უმეტეს ორი წლით!

4. ინგლისის პოზიცია

მკითხველმა უკვე იცის გაზეთებიდან, თუ რა დიდი თავ-პირის მტვრევა იყო კონფერენციაზე სნოუდენის პოზიციის გამო. საქმე იმაშია, რომ პარიზის კონფერენცია, რომელზედაც იყო შემუშავებული იუნგის გეგმა, მიმდინარეობდა იმ დროს, როდესაც ინგლისი გართული იყო არჩევნებით და ვერ აქცევდა სათანადო ყურადღებას სარეპარაციო საკითხს. ამით აიხსნება, რომ შემდეგ მოუხდა ინგლისს თავისი პოზიციების გამაგრება. სნოუდენი დიდის ამბით შეუდგა „ინგლისის პრესტიჟის დაცვას“. საქმე იმაშია, რომ იუნგის გეგმით საფრანგეთს ემატებოდა წლიურად 10.700.000 მარკა, იტალიას 36.800.000, ბელგიას 12.200.000, ხოლო **ინგლისს კი აკლდებოდა 48.000.000 მარკა!** რასაკვირველია, თავისთავად ეს თანხა არ იყო ინგლისისთვის საგრძნობლად დიდი, მაგრამ საქმე რაოდენობაში არ არის. „მუშათა“ მთავრობას და სნოუდენს უნდოდათ პოლიტიკური კაპიტალი შეეძინათ და ლონდონის ფინანსისტებისთვის გული მოეგოთ. სნოუდენმა მიიღო ყოველივე ზომა, რომ ამისთვის მიეღწია.

დიდი ლანძღვა-გინების და კამათის შემდეგ, მას დაუთმეს მოთხოვნილი თანხის 80 პროცენტი. ამან გამოიწვია დიდი ხოტბა-ქება სნოუდენის მიმართ ლონდონის ფინანსიურ წრეებში. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხში დანარჩენი სახელმწიფოები ერთხმად გამოდიოდენ და პროვოკაციულ მეთოდებსაც კი მიმართავდენ, მაგალითად, ინგლისს მისცეს წინადადება, რომ გაადიდებდნენ მის ნაწილს პატარა სახელმწიფოების ხარჯზე. სნოუდენი, „პოლიტიკური მოსაზრებებით“, რასაკვირველია, დიდ უარზე იყო. ბოლოს „კომპრომისი მოხდა გერმანიის ხარჯზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საკითხში ერთმანეთს ებრძოდენ მენშევიკი ჰილფერდინგი და „სოციალისტი“ სნოუდენი!

ინგლისისთვის დიდ საკითხს წარმოადგენდა გერმანიის მიერ რეპარაციების ნაწილის **ნატურალური გადახდა** (საექსპორტო საქონლით). დაუესის გეგმით, მას წლიურად შეჰქონდა მოკავშირეთა სახელმწიფოებში 600 მილიონის საქონელი, გარდა საერთო ექსპორტისა. ამ „ნატურას“ შეადგენდა — მანქანები, ნახშირი, კალი, აზოტი და ნაგლინი რკინა“. იუნგის გეგმით რეპარაციების საქონლით დაფარვა წლიურად 650 მილიონის ღირებულების უნდა ყოფილიყო და 1940 წლისთვის სრულებით გაუქმებულიყო. ინგლისი მოითხოვდა, რომ ნატურით დაფარვა ეხლავე შეწყვეტილიყო. ასეთ ზომას არ იზიარებდნენ საფრანგეთი და იტალია, რომელნიც საჭიროებენ გერმანიის ექსპორტს. გერმანიის ქვანახშირის ექსპორტი ჭკუაში არ მოსდიოდათ ინგლისელ მრეწველებს. — „რაღა სწორედ ნახშირი უნდა გაიტანოს გერმანიამ — გაიტანოს კალი“— მოსთქვამდა ვაჭრობის მინისტრი გრეჰემი, საქმე გათავდა „კომპრომისით“. იტალია დაჰპირდა გრეჰემს ყოველწლიურ შეკვეთას 1 მილიონ ტონა ქვანახშირზე! ინგლისი აგრეთვე მოითხოვდა გერმანიის „სარეპარაციო ექსპორტის“ უკან გატანის აღკვეთას.

5. დასკვნა

ჰააგის კონფერენციამ დიდი ვერაფერი ვერ მოუტანა გერმანიას. ჯერ ერთი, რომ საკითხი საბოლოოდ ვერ გადასწყდა და 1 აგვისტოდან ვერ შევიდა ძალაში იუნგის გეგმა. მაგრამ რეპარაციების შემოკლების პერსპექტივამ უკვე იმოქმედა ბერლინის ბირჟაზე. — აქციები აიწია 17 პუნქტით! **იუნგის გეგმა უფრო გაამწვავებს კლასობრივ ბრძოლას**, იგი დააწვება მძიმე უღლად მუშათა კლასს კაპიტალისტურ რაციონალიზაციის სახით, ხელფასის შემცირებით, პოლიტიკურ უფლებების შეზღუდვით. ამას მოასწავებს კაპიტალისტურ „აქციების აწევა“. მაგრამ გაიზრდება ამასთანავე მუშათა კლასის წინააღმდეგობის ძალა. ამ მხრივ „ახალი ხანას“ გერმანიაში ბრძოლის გამწვავების დაღი აძევს.

ერთი რამ ფრიად საგულისხმიერო რამ მკაფიოდ გააშუქა ჰააგის კონფერენციამ, —ეს არის დღევანდელი კაპიტალისტური სტაბილიზაციის ნამდვილი სახის გამომჟღავნება. თვით სნოუდენმა, ლუშერმა, კურციუსმა და სხვებმა საცოდავი სიმართლით დახატეს **კაპიტალისტური ევროპაში საშინელი სიღატაკე, რომელიც დამპალ სტაბილიზაციის სამოსელშია გამოხვეული.** „მესამე პერიოდის“ სურათი შესანიშნავად დახატეს ევროპის მინისტრებმა. ეს სურათი შეუდარებელი ილიუსტრაციაა კომინტერნის მე-6 კონგრესის დადგენილებებისათვის. ინგლისის მათხოვრული ნამცეცობა, საფრანგეთის ეკონომიკის მძლავრი კრიზისი, გერმანიის უპერსპექტივობა უკოლონიეობით, ევროპის ფინანსიური სიძლიერის დაქვეითება—ესაა კაპიტალისტური სტაბილიზაცია! ამერიკა კვლავ გადადის შეტევაზე. იუნგის გეგმა არის ნიუ-იორკის ბირჟის პროდუქცია ევროპის დასამონებლად. ევროპა წლიურად უხდის ამერიკას 1.700 მილიონ მარკას. ხელდუს თქმით: „**მთელი ევროპა წარმოადგენს დაჩხვლეტილ სივრცეს, რომელზედაც ფული მოგროვდება შეერთებულ შტატებში**“-ო. (ლოიფ-ბოზენ, — „შეერთ. შტატები და სარეპარაციო საკითხი“). ამერიკის ოქროს ფონდი თითქმის 10 მილიარდ მანეთს აღწევს. ღატაკი ევროპა კი დამპალ სტაბილიზაციის გზით მიიშურება უფსკრულისაკენ.

ლევ. ალიაშვილი.

---

*). ე. ვარგა. „ახალი ხანა სარეპარაციო საკითხში“.

პარტიაში

ულმობელი იდეოლოგიური ბრძოლით და თვითკრიტიკის მახვილი იარაღის ფართოდ გაშლით ფარდა ავხადოთ მემარჯვენე ოპოზიციის ლიკვიდატორულ მუშაობას და ზრახვებს

პარტორგანიზაციები კატეგორიულად მოითხოვენ მემარჯვენეებისაგან—აღიარონ თავიანთი შეცდომები და ყოველ მიზეზს გარეშე დაემორჩილონ პარტიის გადაწყვეტილებებს.

ბუხარინი, როგორც მემარჯვენე გადახრის იდეოლოგი

IV. „ეკონომისტის შენიშვნები" არის კრებული ბუხარინის შეცდომებისა სოციალიზმის მშენებლობის საკითხში

1928 წ. შემოდგომაზე ამხ. ბუხარინმა გამოაქვეყნა გაზეთ „პრავდა"-ში წერილი „ეკონომისტის შენიშვნების" სახელწოდებით. უნდა ითქვას, რომ ეს წერილი არის დაწერილი ზედმიწევნით დიპლომატიური ხერხით. ფორმალურად წერილი აგებულია პოლემიკაზე ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ. თითქმის ყოველი სტრიქონი ამ წერილის მიზნად ისახავს ტროცკისტული შეხედულებების გაქარწყლებას ჩვენი მეურნეობის განვითარების შესახებ.

ეს მხოლოდ ფორმალურად.

ფაქტიურად კი წერილი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს პარტიის დღევანდელ ეკონომიურ პოლიტიკას. ის თანდათანობით აშკარავებს ბუხარინის ძველ შეცდომებს და გვაცნობს ახალსაც. ბუხარინი იჩენს გარკვეულ სიმტკიცეს თავის შეცდომების შეკრებაში და დალაგებაში.

რაში მდგომარეობდა ეს შეცდომები.

სრულიად მოულოდნელათ ბუხარინმა მე-14 პარტიული ყრილობის წინ გამოისროლა ლოზუნგი: „გამდიდრდით"-ო („обогощайтесь!"). მიუხედავათ იმისა, რომ მან ეს ლოზუნგი პარტიის ზეგავლენით უარყო, ის სხვა ფორმებში აღადგინა, დღეს თურმე ამ ლოზუნგს თავისი „მიზნობრივი დანიშნულება" ჰქონია; თურმე ამ ლოზუნგის „ბედი" იყო ბუხარინის და მემარჯვენეების ფილოსოფიას საფუძვლად დასდებოდა. ბუხარინი თანდათან აფართოებდა, თანდათან ასაბუთებდა ამ ლოზუნგს. სწორედ ამით აიხსნება ბუხარინის ცდა, დახატოს კულაკები სოციალისტური მშენებლობისათვის ერთგვარ მისაღებ ძალათ. კიდევ მეტი, ის ცდილობს „საბჭოთა კულაკები" აუცილებელ ძალათ მიიჩნიოს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ამ აზრის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ თვით ბუხარინის სიტყვებს. ის სწერს:

> „ავიღოთ, მაგალითად, შეძლებული გლეხი, რომელსაც ზედმეტი ფული აქვს და სურს მისი დაგროვება. სად შეაქვს მას ეს ფული? შემნახველ სალაროში, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს სახელმწიფო ბანკებთან. ამგვარად გლეხი დაინტერესებულია ჩვენი სახელმწიფო რეჟიმის სიმტკიცით. ძალიან მტკიცედ არის დაინტერესებული. ხოლო თუ ეს ბანკი გლეხს მისი საკრედიტო ორგანიზაციის საშუალებით უფრო იაფ კრედიტს აძლევს, ვიდრე მეფის დროს იყო, მაშინ ეს დაინტერესება უფრო და უფრო იზრდება. ავიღოთ ჩვენთვის ყველაზე უფრო ნაკლებ ხელსაყრელი მაგალითი. კულაკი, რომელიც თავისი მოჯამაგირეების ექსპლოატაციას ეწევა, ფულს აგროვებს, ზედმეტ ღირებულებას იღებს, შეაქვს ანაბარები. სად შეაქვს ეს ანაბრები? ბოლოს და ბოლოს ჩვენს ბანკებში. გვაქვს რამე სარგებლობა ამ შემთხვევაში თუ არა? გვაქვს, რადგან ამით ვიძენთ დამატებით რესურსებს, რომელთა ზრდა საშუალებას გვაძლევს კრედიტი მივაწოდოთ საშუალო გლეხობის, კოოპერაციას და გლეხობის მთელი მასა სამეურნეო განვითარებისაკენ წავიყვანოთ"1).

თავიდან ბოლომდე ეს ამონაწერი შეიცავს კულაკის, როგორც სოციალ-ეკონომიური კატეგორიის ანტილენინისტურ, მაშასადამე, ანტიმარქსისტულ გაგებას. თავიდან ბოლომდე ეს მტკიცება „საბჭოთა კულაკების შესახებ არის საუკეთესო იარაღი მემარჯვენეების ხელშია. მემარჯვენეები კარგავენ თავის კლასიურ პოზიციებს და ითქვიფებიან კულაკებში, ეხმარებიან კულაკებს და „შეძლებულ" გლეხებს მატერიალურად, პარტიის პოლიტიკას კი კიცხავენ ღარიბების და საშუალო გლეხობის ფინანსიურად დახმარებისათვის.

თუ ტროცკი და მისი ამხანაგები გლეხობის გატყავებაში და გლეხთა მეურნეობის კოლონიათ მიჩნევაში ხედავდა პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრების პირობას, ბუხარინს ამგვარ საშუალებათ მიაჩნია სოფლის მეურნეობის განვითარება კაპიტალისტური გზით. აქედან გამომდინარეობს ბუხარინის ის თეზისი, რომ რაც შეიძლება მაქსიმალური ფინანსიური და მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს სოფლის კულაკურ ელემენტებს, ე. ი. იმ ელემენტებს, რომლებიც, ერთი მხრივ, საშუალებას მოგვცემს ავსწიოთ გლეხობის „მთელი" მასის ეკონომიური მდგომარეობა და რომლებიც, მეორე მხრივ, „ნდობას" გამოუცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას. აქ ნ. ბუხარინი საკმაოთ გასაგებ ენაზე რამოდენიმე წლის უკან შეეცადა დაესაბუთებია „საბჭ. კულაკის" ფილოსოფია.

ბუხარინი ამით არ კმაყოფილდება.

ის უფრო შორს მიდის.

დაადგა რა კულაკური მეურნეობის განვითარების გზით სოციალიზმისაკენ მსვლელობას, ბუხარინი ერთ-ერთ აუცილებლობათ სთვლის კონცესიონერების ისე, როგორც კულაკების, თავისუფლად შეზრდს სოციალიზმში. ბუხარინის თვალსაზრისით სოციალიზმისაკენ მსვლელობის გზა მხოლოთ მაშინ იქნება რეალური და, მაშასადამე, პრაქტიკულად მისაღები, თუ ჩვენ ხელს შეუწყობთ კულაკების და კონცესიონერების შეზრდას სოციალიზმში.

რომ არ დავამახინჯოთ კულაკური ფილოსოფიის ერთ - ერთი ცენტრალური აზრი და დავიცვათ ამ ფილოსოფიის ავტორის აზრის სიწმინდე, ჩვენ მოვიყვანთ თვითონ ბუხარინის სიტყვებს:

> „ჩვენი კოოპერატიული საგლეხო ორგანიზაციების ძირითადი ქსელი იქნება შემდგარი კოოპერატიული უჯრედებისაგან, არა კულაკური, არამედ „შრომითი" ტიპის უჯრედებისგან, რომლებიც ესისხლხორცებიან ჩვენი საერთო სახელმწიფოებრივი ორგანოების სისტემას და ამგვარად ხდებიან სოციალისტური მეურნეობის მთლიანი ჯაჭვის რგოლებად. **მეორე მხრით, კულაკური კოოპერატიული ბუდეებიც ბანკებისა და სხვა გზით ესისხლხორცებიან ამავე სისტემას; მაგრამ ისინი რაოდენადმე უცხონი იქნებიან, მაგალითად, საკონცესიო წამოწყებათა მსგავსად".** 1)

როგორც სჩანს ბუხარინის სოციალიზმის მშენებლობის თეორია ივიწყებს კლასთა ბრძოლის აუცილებლობას, ივიწყებს კაპიტალისტური ელემენტების ანტიპროლეტარულ სულისკვეთებას. სოციალიზმის მშენებლობა მარქსის და ლენინის გაგებით გულისხმობს ერთგვარ კლასობრივ წინააღმდეგობას. ბუხარინის გაგებით კი ეს კლასობრივი ანტაგონიზმი სოციალიზმის მშენებელთ და სოციალიზმის ჩამშლელთ შორის არ არსებობს. მარქსის და ლენინის სოციალიზმის მშენებლობის თეორია არის თეორია კლასთა ბრძოლის, თეორია სოციალისტური ეკონომიკის მიერ კაპიტალისტური ეკონომიკის მოსპობის, ლიკვიდაციის. ბუხარინის სოციალიზმის მშენებლობის თეორია არის თეორია სრული იდილიის, ის უარყოფს კლასთა ბრძოლის აუცილებლობას და მოითხოვს კაპიტალისტური მეურნეობის არა ბრძოლით შესუსტებას და დაძლევას, არამედ მასთან შეზრდას.

სწორედ ამით აიხსნება ბუხარინის მესამე თეზისის შინაარსი.

ბუხარინი უარყოფს ლენინის კოოპერატიულ გეგმას. ის ალმაცერად, ეჭვის თვალით უყურებს საწარმოო კავშირს ქალაქის და სოფლის მეურნეობას შორის. სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ ბუხარინი უარყოფითი შეხედულებისაა კოლექტივებზე და საბჭოთა მეურნეობებზე. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ბუხარინი თავს ესხმის პარტიის გენერალურ ხაზს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. ის აშკარა წინააღმდეგია ლენინის ამ დებულების, რომ მხოლოდ მსხვილი სოციალისტური მეურნეობები სოფლად არის ერთადერთი უტყუარი საშუალება სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.

აი როგორ გამოხატავს ბუხარინი თავის პრინციპიალურ წინააღმდეგობას ლენინის სოციალისტური მშენებლობის გეგმის უმთავრეს ნაწილისადმი. ბუხარინი სწერს:

> „ბევრი ამხანაგი ახლაც მზად არის სამხედრო - კომუნისტურად, გადაჭარბებით შეაფასოს კოლექტიურ საწარმოო გაერთიანებათა როლი სოციალიზმთან გლეხობის დაახლოების საქმეში. ჩვენ რომ უეჭველნაირად უნდა ვუქადაგოთ გლეხობას კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანება — ეს მართალია. **მაგრამ სწორი არ არის, როცა ამტკიცებენ, რომ ეს ფართო გზაა გლეხთა მასების წასაყვანად სოციალიზმისაკენ**"1).

გამოდის, რომ ამხანაგების დიდი რაოდენობა, ე. ი. მთელი პარტია მემარჯვენეების გამოკლებით, სამხედრო კომუნიზმის აზრებს ატარებს, რადგანაც მათ ჰგონიათ, რომ ლენინის კოოპერატიული გეგმა იძლევა სოციალიზმის მშენებლობის ერთ საშუალებას; გამოდის, რომ პარტიის პოლიტიკა არ არის სწორი, რადგანაც ის გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს გლეხობის საწარმოო გაერთიანებებს; გამოდის, რომ ამხ. ლენინი სცდებოდა ამ საკითხშიაც. მხოლოდ ბუხარინი, რომლის თავი აზროვნებს არა სამხედრო კომუნიზმის პრინციპებით, არამედ კულაკური პრინციპებით, არის მართალი.

აქაც არის გასაოცარი ბაყბაყდევობა! ეს არის რაღაც ლეგენდარული წარმოდგენა თავის თავზე! აქაც ბუხარინი — ერთი მხრით და პარტია — მეორე მხრით! სწორედ ისე, როგორც ეს მოსდიოდა ტროცკის თავისი თავის შეფასების დროს.

ამგვარი იყო ამხ. ბუხარინის აშკარა თუ მალული შეხედულება მთელ რიგ საკითხებზე კიდევ მანამდე, სანამ ის გამოსცემდა თავის „ეკონომისტის შენიშვნებს". ამგვარი იყო შინაარსი ბუხარინის კულაკური ფილოსოფიისა. „ეკონომისტის შენიშვნები" არის მხოლოდ ერთგვარ სისტემაში მოყვანილი ბუხარინის ძველი შეცდომები. ის არის მემარჯვენე ოპოზიციის ერთგვარი სახარება ჩვენი შინაგანი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების გასაგებად.

როგორი არის ამ ბროშურის უმთავრესი დებულებები?

ბუხარინი ცდილობს დაამტკიცოს, რომ რეკონსტრუქციის პერიოდს არავითარი ცვლილება არ შეაქვს ჩვენს სამეურნეო პოლიტიკაში. „რეკონსტრუქციის პერიოდში გადასვლას, არ შეაქვს პრინციპიალური ცვლილება (СДВИГ) სამეურნეო პოლიტიკაში" 2). პირიქით ეს უბრალო პერიოდია, რომელიც ხასიათდება ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებით, მისი ტეხნიკური ბაზის გაუმჯობესებით. მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ტეხნიკური განვითარება ამოსწურავს ჩვენი დღევანდელი ეკონომიური პოლიტიკის შინაარსს. მორჩა და გათავდა.

ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბუხარინის ამგვარი გაგება რეკონსტრუქციის პერიოდისა მართალი არის, რადგანაც ინდუსტრიალიზაციის უმთავრესი ამოცანა მართლაც მდგომარეობს ტეხნიკის სწრაფ განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია გულისხმობს „ტეხნიკურად დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს".

მაგრამ, ისმება კითხვა: მხოლოდ კაპიტალისტურ ქვეყნების დაწევაში და გასწრებაში არის სიმძიმის ცენტრი დღევანდელ ეკონომიურ პოლიტიკის დროს; მხოლოდ უბრალო ტეხნიკური განვითარება ამოსწურავს რეკონსტრუქციის პერიოდის საკითხებს?

არა, და კიდევ, არა.

ტეხნიკის არა უბრალო განვითარება ახასიათებს სოციალიზმის მშენებლობის პროგრამას დღეს; არა უბრალო ტეხნიკურად დაწევა და გასწრება დასავლეთ კაპიტალისტური ქვეყნებისა არის სოციალიზმის მშენებლობის გეგმის კითხვათა კითხვა, როგორც ეს ბუხარინს წარმოუდგენია. რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მოითხოვს ახალ საწარმოო ძალის ახალ სოციალურ, ე. ი. სოციალისტურ ფორმაში ჩამოყალიბებას. ტეხნიკურ რევოლიუციას თავისთავად უნდა ახასიათებდეს ეკონომიური რევოლიუციაც. გაყოფა, გათიშვა ჩვენი დღევანდელი ეკონომიური პოლიტიკის ამ ორი დამახასიათებელი თვისების ერთი მეორესაგან მოასწავებს სინამდვილის შებრუნებულად წარმოდგენას.

თავისთავად ცხადია, თუ კითხვას დავაყენებთ ისე, როგორც ამას ბუხარინი შვრება, მაშინ არავითარ წინააღმდეგობას, არავითარ კლასთა ბრძოლის გამწვავებას ადგილი არ ექნება რეკონსტრუქციის პერიოდში. პირიქით, მაშინ 5 და 15-წლიან სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებს ერთსულოვნათ მიიღებს როგორც უსტრიალოვი და კონდრატიევი, ისე ყველა საბჭოთა რესპუბლიკების კაპიტალისტური ელემენტები. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ რეკონსტრუქციის პერიოდში საკითხი ასე არ ისმის. **ინდუსტრიალიზაციის საკითხს დიალექტიური ბუნება აქვს. ვიღებთ რა მაქსიმალურ ტემპს სახალხო მეურნეობის მბრძანებელი მწვერვალების განვითარების დარგში, ჩვენ მოვითხოვთ ამგვარი მაქსიმალური ტემპით სახალხო მეურნეობის გარდაქმნას ახალ საწარმოო ფორმებში, ახალ საწარმოო გაერთიანებებში.**

საწარმოო ძალთა განვითარება კოლმეურნეობებს და საბჭოთა მამულებს გარეშე, ტეხნიკური რევოლიუცია გლეხობისადმი საწარმოო კავშირის გაფართოების გვერდის ახვევით, არის ამხ. ბუხარინის და სხვა მემარჯვენეების დამახასიათებელი მოთხოვნა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბუნების ორგვარობის ვერ გაგება, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ამის არ გაგება არის მემარჯვენეების ფილოსოფიის სპეციფიური თვისება.

ამოაცალა რა სული და გული რეკონსტრუქციის საკითხს, ბუხარინი შემდეგ უფრო გაბედულათ ილაშქრებს თვით საწარმოო ძალთა უბრალო განვითარების ჩქარი ტემპის შესაძლებლობის წინააღმდეგ.

ზემოდ დასახელებულ ბროშურის 37 გვერდზე ბუხარინი გაფთრებით ებრძვის ტროცკიზმის ზეინდუსტრიალიზაციის თეორიას და ამტკიცებს, რომ

> **„მრეწველობის განვითარებას წინ ელობება ამ განვითარების საზღვრები...** ხოლო „წინ ელობება" საზღვრები — შემდეგს ნიშნავს: 1) უეჭველია, აღებულია არა საკმაოდ სწორი შეფარდებანი თვით მრეწველობის დარგებს შორის (მაგ., მეტალურგიის აშკარა ჩამორჩენილობა); 2) უეჭველია, აღებულია არა საკმაოდ სწორი შეფარდებანი მრეწველობის მიმდინარე წარმოების ზრდისა და კაპიტალური მშენებლობის ზრდას შორის (როგორც მრეწველობისა, ისე საერთოდ განსაზოგადოებული სექტორისა); თუ აგური არ არის და შეუძლებელიც არის ამა თუ იმ სეზონში (ტეხნიკური პირობების გამო) განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი მომზადდეს, არ შეიძლება შევთხზათ საქმეები და ამით გამოვიწვიოთ მოთხოვნილება, რომელიც ვერ დაკმაყოფილდება, ვინაიდან, რამდენიც არ უნდა დაჩქარდეს შემდეგი მშენებლობა, სულ ერთია ჰაერისაგან ვერ ააშენებ საფაბრიკო შენობებსა და ბინებს; 3) უეჭველია, აგრეთვე, რომ განვითარების საზღვრებს ჰქმნის ნედლეულობის წარმოება; ვერც ბამბას, ტყავს, მატყლს, სელს და სხვ. ჰაერი ვერ მოგვცემს" 1)

აქ ბუხარინი ტრიალებს ერთგვარ წრეში. ერთი მხრით მან ვერ გაიგო ან არ გაიგო ზეინდუსტრიალიზაციის თეორიის მომხრეების წინააღმდეგ ბრძოლის შინაარსი, მეორე მხრით, ის მეურნეობის საერთოდ და კერძოდ მძიმე ინდუსტრიის განვითარების ტემპს უქვემდებარებს წარმოების სფეროების ჩამორჩენის („ვიწრო ადგილების") ტემპს და მესამეთ, მას ვერ გაუგია, თუ სახალხო მეურნეობის რომელ დარგს ეკუთვნის პირველობა, ე. ი. მამოძრავებითი როლი მეურნეობის განვითარებაში. ბუხარინის აზრით მრეწველობის განვითარებას ელობება წინ თავისი ჩამორჩენილობა და ამ ჩამორჩენილობას ელობება სოფლის მეურნეობის განვითარების ნელი ტემპი. აქედან გამოდის, რომ მრეწველობის განვითარება უნდა შეუფარდოთ წარმოების „ვიწრო ადგილებს" და საერთოდ მრეწველობის განვითარება დაუქვემდებაროთ სოფლის მეურნეობის განვითარებას. ე. ი. არა მრეწველობის განვითარება გავხადოთ ერთგვარ მანქანათ წარმოების „ვიწრო ადგილების" გამოსწორების და სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში, არამედ თვით ქალაქების წარმოება ვაგონების მაგვარად გამოვუყენოთ უკან სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ხოლო რაც შეეხება პარტიის ხაზს, ის დიამეტრალურად განსხვავდება ბუხარინის ამგვარი ფილოსოფიისაგან. ჩვენ მრეწველობის მბრძანებელი მრეწველობის განვითარებას სახალხო მეურნეობის განვითარების უმთავრეს მამოძრავებელ ძალათ ვსთვლით. რასაკვირველია, ჩვენ მხედველობიდან არ უშვებთ სოფლის მეურნეობის განვითარების სერიოზულ მნიშვნელობას ამ მოძრაობის დროს, მაგრამ სრულ ჭეშმარიტებათ მიგვაჩნია,, რომ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის და საქონლიანობის ზრდა დამოკიდებულია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის პრაქტიკულად განხორციელებაზე.

ბუხარინის ამგვარი დაბნეულობის მიზეზი უნდა ვეძიოთ მის თეორიის დებულებაში, რომ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის განვითარება უნდა ექვემდებარებოდეს პროლეტარიატის დიქტატურის არა უშუალო მიზანს, არამედ ერთგვარ სტიქიურ „წონასწორობის კანონს".1) ამიტომ ყოველი მიზნობრივი დალაგება საწარმოო სფეროს წონასწორობისა ბუხარინის თვალსაზრისით მიუღებელი და დაუშვებელი არის.

გამოდის რა ამგვარი შეხედულებიდან, ამხ. ბუხარინი დასცინის ჩვენ ხუთწლიანი გეგმის პირველ პროექტს. ეს პროექტი ბუხარინს ფანტაზიორების გონების ნაყოფად მიაჩნია. მისი აზრით ჩვენი მოხელეები მზად არიან ყოველ კითხვაზე გვიპასუხოს: „რას ინებებთ"? „როგორი გეგმა გნებავთ შეგიდგინოთ"! დაგვავალეთ თუგინდ ზეინდუსტრიალიზაციის გეგმას შეგიდგენთ და სხ. 2) ბუხარინს ჰგონია, რომ ამგვარი ჩინოვნიკების კალმის ნაყოფია ჩვენი ხუთწლიანი გეგმა და სწორედ ამიტომ ის არ არის რეალური.

სინამდვილე სასტიკათ დასცინის ბუხარინის ამ ზღაპარს.

ჩვენ ვიცით რომ მე-16 საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ შეიტანა მთელი რიგი შესწორება ამ ხუთწლიან გეგმის პროექტში მისი გაფართოების და კერძოთ ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარების მხრივ. ჩვენ ვიცით კიდევ, რომ საკავშირო საბჭოთა ყრილობა არ დაკმაყოფილდა მე-XVI პარტიული კონფერენციის შესწორებებით და იმანაც გააფართოვა გეგმა.

ბუხარინის და მისი ამხანაგების შეხედულებით ისედაც ფანტასტიური გეგმა ულარესად ფანტასტიური გახდა. მაგრამ დახეთ როგორ ამარცხებს სინამდვილე ამ კაპიტალისტურ ელემენტების იდეოლოგებს!

მიუხედავათ იმ გარემოებისა, რომ ხუთწლედის პირველი სამეურნეო წლისათვის აღებული იყო განვითარების დიდი ტემპი, ჩვენ შევძელით ეს დაჭიმული გეგმა შეგვესრულებია. და ზოგ დარგში გადაჭარბებითაც.

რაც შეეხება მომავალი სამეურნეო წლის გეგმას, უნდა ითქვას, რომ ეს გეგმა გადააჭარბებს ხუთწლედის განვითარების ტემპს. ვღებულობთ რა მხედველობაში მთელ რიგ ღონისძიებებს (როგორიცაა განუწყვეტელი საწარმოო კვირა, მუშათა კლასის უსაზღვრო აქტივობა და სხვა) ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მომავალი სამეურნეო წელი მოგვცემს ინდუსტრიალიზაციის გაცილებით უფრო ჩქარ ტემპს, ვინემ ეს იყო გათვალისწინებული ხუთწლედში.

პროდუქციის ზრდა მომავალ წლისათვის გათვალისწინებულია 31,2 პროც., მაშინ, როდესაც ხუთწლედი ითვალისწინებდა 20,2 პროც. კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯება 3.548 მილ. მნ., ე. ი. 50 პროც. მეტი, ვინემ ეს გათვალისწინებული იყო ხუთწლედში. თვითღირებულების შემცირება გეგმით გათვალისწინებულია 9,5 პროც., მაშინ როდესაც ხუთწლედში ეს ციფრი უდრის 7,5 პროცენტს.

მთელი რიგი სამეურნეო და მუშათა ორგანიზაციები იმ აზრს უახლოვდება, რომ მოსალოდნელია ხუთწლედი გავხადოთ ოთხწლედათ. შესაძლებელია, რომ **მშრომელთა ფართე მასის ინიციატივის და დაუშრეტელი ენერგიის შედეგად პრაქტიკულად გავატაროთ ოთხი წლის განმავლობაში ის ხუთწლედი, რომელიც ბუხარინმა და სხვა მემარჯვენეებმა „ჩინოვნიკურ" და „ფანტასტიურ" გეგმად გამოაცხადა.**

ამრიგათ სინამდვილე ასამარებს მემარჯვენეების „თეორიულ ვარჯიშობას!"

ჩვენ აქ არ შეგვიძლია დაწვრილებით შევჩერდეთ „ეკონომისტის შენიშვნების" სხვა ანტილენინისტურ მტკიცებების განხილვაზე (როგორიცაა არა სწორი გაგება გარდამავალი პერიოდის „კრიზისების", სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასის აწევის საკითხები და სხვა).

ზემოთქმულიდან ნათელია ის აზრი, რომ ბუხარინი თანდათან შორდება ლენინიზმს. ის განზრახ არ ითვისებს მარქსისტულ შეხედულებას კულაკებზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე, ქვეყნის სოციალისტურად განვითარების საკითხებზე და სხვა. თავისი თეორიული შრომებით ის ჭეშმარიტი დამცველია მემარჯვენე გადახრისა პრაქტიკაში. ბუხარინი უფრო მოხერხებული და გაბედული იდეოლოგია მემარჯვენეების, ვინემ ფრუმკინი და სხვა ვინმე. ამ შემთხვევაში ბუხარინი ბოროტად იყენებს პარტიის სიმპატიას — ბუხარინის, როგორც ძველი რევოლიუციონერისადმი. ის გაბედულათ იცავს თავის თავის ყალბ პოზიციას არა მარტო შინაურ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებში, არამედ ამჟღავნებს თავის ძველ მენშევიკურ შეხედულებას თანამედროვე კაპიტალიზმის გაგების საკითხებშიაც.

(გაგრძელება იქნება)

დავ. დოლიძე.

---

1) См. Бухарин—„О новой экономической политике и наших задачах"

1) Бухарин — „Путь к социализму" стр. 49. ხაზი ჩვენია. დ. დ.

1) См. Бухарин—„О новой экономической политике и наших задачах" ხაზი ჩვენია. დ. დ.

2) Бухарин — „Заметки экономиста" Гиз. ст. 7.

1) იქვე გვ. 37—38.

1) იქვე გვ. 14.

2) იქვე, გვ. 56.

მემარჯვენეებმა უნდა აღიარონ თავისი შეცდომები

(ხაშურის რაიკომის პლენუმის რეზოლიუცია)

ხაშურის რაიკომის გაფართოვებულმა პლენუმმა მოისმინა მოხსენება „ორ ფრონტზე ბრძოლის ამოცანების შესახებ".

მიღებულ რეზოლიუციაში პლენუმი აღნიშნავს: „მიუხედავათ იმისა, რომ პარტიულმა მასამ გაკიცხა და დაგმო პარტიაში მემარჯვენე გადახრები და მისი წარმომადგენლები, რომელთა ხაზი მთლიანად ეწინააღმდეგება პარტიის გენერალურ ხაზს, ისინი არამც თუ არ ცდილობენ შეცდომების გამოსწორებას, არამედ კიდევ უფრო აღრმავებენ მათ.

მემარჯვენეები თავს ესხმიან შინაპარტიულ რეჟიმს იმიტომ, რომ შინა-პარტიული დემოკრატიის გატარების მეოხებით გაკიცხულ იქნა მემარჯვენეობა, ისინი ლაპარაკობენ შინა-პარტიულ დემოკრატიაზე, მაშინ, როდესაც თვითონ თვითკრიტიკის ფართო გაშლის წინააღმდეგნი არიან.

პლენუმი სავსებით და მთლიანათ იწონებს კომინტერნის აღმასკომის პლენუმის გადაწყვეტილებებს ბუხარინის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრობიდან გამოყვანის შესახებ.

პლენუმი მოითხოვს, რათა მემარჯვენეებმა და მათმა ბელადებმა აღიარონ თავისი შეცდომა, მათ მიმართ მკაცრი ზემოქმედების ზომები უნდა იქნეს მიღებული.

ხშირად მემარჯვენე გადახრა გამოსახულობას ჰპოულობს საბჭოთა, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების შეცდომების მიფუჩეჩებასა, თვითკრიტიკის შეზღუდვაში და დამახინჯებაში და სხვა.

პლენუმი მოუწოდებს პარტიულ მასას ფართოდ გაშლილი თვითკრიტიკა მიმართულ იქნეს ყოველგვარი გადახრების და გადამახინჯების წინააღმდეგ როგორც პროფსამეურნეო, ისე პარტიულ ორგანოებში.

პლენუმი აღნიშნავს, რომ მემარჯვენე საფრთხის საწინააღმდეგო ბრძოლამ უნდა შეანელოს ბრძოლა „მემარცხენეობის" წინააღმდეგ.

პლენუმი უერთდება და სავსებით იზიარებს საკავშირო კომპარტიის ცეკას მიერ მოწონებულ დადგენილებას საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისას, რომელიც 9 აგვისტოს დაიბეჭდა „პრავდაში". პლენუმი მოუწოდებს ორგანიზაციას მედგარი ბრძოლა აწარმოოს „ტროცკისტულ" იდეების ყოველგვარი გამოცოცხლების ცდების წინააღმდეგ.

პლენუმი საჭიროდ სთვლის აგრეთვე გაძლიერებულ იქნას ბრძოლა შემარიგებლების წინააღმდეგ, რომელთა პოლიტიკური ფიზიონომია არ არის გამორკვეული და რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენს პარტიაში გადახრების გაძლიერებას".

ქალაქის რაიკომის პლენუმზე

გუშინ საღამოს, მბეჭდავთა კლუბში შესდგა ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი რაიკომის სარევიზიო კომისიის წევრებისა და უჯრედთა მდივნებსა და ბიუროს წევრებთან ერთად.

პლენუმის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:—1) მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას გადაწყვეტილებების შესახებ აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცეკას მოხსენების გამო, 2) თბილისის აღმასკომის სახ. განათლების განყოფილების მოხსენება.

პირველ საკითხზე პლენუმმა მოისმინა

ამხ. რუბენის მოხსენება

მე გავაცნობთ, ამბობს ამხ. რუბენი,—არა მხოლოდ იმ ამბავს, რომელსაც ადგილი ჰქონდა აზერბეიჯანის ორგანიზაციაში, არამედ იმ ფაქტებსაც, რომელიც ჩვენ გაკვეთილად უნდა გამოვიყენოთ. შემდგომ ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციის ყოველი წევრი უნდა ჩაუფიქრდეს ბაქოს გაკვეთილებს და უაღრესად გულდასმით უნდა შეისწავლოს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცეკას მოხსენების გამო მიღებული დადგენილება.

ქალაქად და სოფლად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანები, ხუთწლიანი გეგმის განხორციელება და კულტურული რევოლიუცია, მოითხოვენ პარტიული მუშაობისა სისტემისა, მეთოდების და ხელმძღვანელობის ძირიან ფესვიანად გარდაქმნას. ხელმძღვანელობა, რომელიც საკმაოდ ვერ ართმევს თავს ამ ამოცანებს, აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

მუშათა კლასის აქტივობა დღითი-დღე იზრდება და ამიტომაც ის თავის ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას—უყენებს უდიდეს მოთხოვნილებებს. ავიღოთ მაგ. კერძო მაგალითი: აგიტატორს, რომელსაც ძალიან მცირე ცოდნის ბარგით გუშინ თავისუფლად შეეძლო წარმოებაში მუშებთან მშვენიერი მოხსენების გამოცხობა, დღეს მუშები მასხარად აიგდებენ, და თუ მაინც არ მოიშლის მოხსენების გაკეთებას, კინწიკვრითაც გააგდებენ. დღეს უკვე გუშინდელი ცოდნით და მეთოდებით ველარ მიუდგებით მუშათა კლასს. ეს გარემოება საუკეთესოდ ნათელჰყო ბაქოს ამბებმა. იქ მუშათა კლასის მოთხოვნილებებმა გაუსწრო პარტიულ ხელმძღვანელობას და ამნაირად შეიქნა მაკრატელი ხელმძღვანელობის ხარისხსა და მოთხოვნილების შორის.

საჭიროა დავფიქრდეთ: ხომ არა აქვს ასეთ მოვლენებს ადგილი ჩვენშიაც? პარტიის წმენდის დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთი უჯრედის ბიუროს წევრები და მდივანი არ იდგა თავის მოწოდების სიმაღლეზე. რის გამოც უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ მოვლენებს შეიძლება ნაწილობრივ ჩვენში, ქალაქის ორგანიზაციაშიც ჰქონდეს ადგილი.

აზერბეიჯანის ორგანიზაციის შეცდომა უმთავრესად მდგომარეობდა იმაში, რომ იქ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების მიერ, საქმე ისე იყო დაყენებული, რომ ყოველმხრივ ჩახშული იყო—მასების თვითკრიტიკა, თვითკრიტიკა იქ მხოლოდ ფორმალურად ტარდებოდა, საქმით კი თვითკრიტიკის გატარებას ძირს უთხრიდნენ. ავადმყოფურ მოვლენებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბაქოს ორგანიზაციაში, კი არ მკურნალობდნენ, არამედ ხელს აფარებდნენ და უფრო აღრმავებდნენ. ბაქოში ხელმძღვანელობის კრიტიკა მიაჩნდათ უდიდეს დანაშაულად ვინც კრიტიკით გამოსვლას გაბედავდა, მას აუცილებლად დევნას დაუწყებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ თვითკრიტიკის ჩახშობა ბაქოში ხდებოდა შეგნებულად და ორგანიზაციულად. ბაქოს ხელმძღვანელ ორგანოებს ავიწყდებოდათ, **რომ ხელმძღვანელობა, რომელიც პარტიული მასების კონტროლის გარეშე იქნება,** სრულ კატასტროფამდე მივა.

აქაც შევჩერდეთ და გადავხედოთ ჩვენს თავს, იქნება ჩვენცა გვაქვს ისეთივე შეცდომები?

ყოფა-ცხოვრების მხრივაც გაიხრწნა აზერბეიჯანის კომპარტიის ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი. რაც შეეხება აზერბეიჯანის პრესას, რომელსაც უდიდესი როლი უნდა შეესრულებინა თვითკრიტიკის გაშლის საქმეში, მანაც ამ საქმეში დიდი შეცდომები დაუშვა.

გარდა ამისა აზერბეიჯანის ხელმძღვანელი ორგანოები სრულიად არა ზრუნავდნენ მუშათა ახალი კადრების აღზრდისათვის.

ჩვენი მოვალეობაა—ყოველმხრივ შევისწავლოთ ბაქოს ამბების შედეგები. ღრმა ანალიზი გაუკეთოთ საკუთარ მუშაობას და ბაქოს გაკვეთილის გამოყენების საფუძველზე გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ამხ. **სიხაშვილი**—ბაქოს ამბები ჩვენთვის უდიდესი გაკვეთილია, რომელსაც ღრმა ყურადღებით უნდა მოვეპყრათ. აუცილებელია თვითკრიტიკის ჩახშობას ჩვენშიაც ექნება ადგილი. მაგ. პარტიის წმენდის დროს ჩვენ ვამჟღავნებდით ზოგიერთი „კომუნისტების" უარყოფით მხარეებს, რომელსაც მათი მეგობრები ხელს აფარებდნენ. თუ ასეთივე ამბები განმეორდა საბჭოთა აპარატის წმენდის დროს, მაშინ თვითკრიტიკის ფართედ გაშლას ძირი გამოეცლება და ჩვენს აპარატებში კვლავ მოიკალათებენ ანტისაბჭოთა და უცხო ელემენტები;

ამხ. **ტალიცკი**—დღეს ჩვენ ვატარებთ მთელ რიგ სერიოზულ კამპანიებს. ბაქოს ორგანიზაციის პირობებში კი ასეთი კამპანიის ჩატარება ყოვლად შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვენ ბაქოს ორგანიზაციის გაკვეთილებით უნდა ვისარგებლოთ, რომ პარტიისა და ხელისუფლების ამოცანები წარმატებით განვახორციელოთ, საჭიროა გამოიცეს ლიტერატურა, ბაქოს ამბების შესახებ.

ამხ. **სარქისოვი**—თვითკრიტიკა ჩვენშიაც არ ტარდება სავსებით ისე, როგორც ამას პარტია გვიკარნახებს. ავიღოთ დიდ-ლილოს საქმე, ენაგეთის, დუშეთის და სხვ. განა მათი უმსგავსოებანი ადგ. პარტორგანიზაციებმა და გლეხობამ არ იცოდნენ, მაგრამ მათ ეს თავის დროზე არ გამოამჟღავნეს. თვითკრიტიკის ჩახშობას ზოგგან ჩვენშიაც აქვს ადგილი.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. სეხნიაშვილმა და სხვ.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია.

პლენუმის მეორე სხდომა შესდგება ორშაბათს საღ. 6 საათზე.

შევამოწმოთ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დირექტივების შესრულება

კოლექტივიზაცია სოფლის სოციალისტური განვითარების გზაა

„ცეკა წინადადებას აძლევს საქართველოს კომპარტიას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანებს და შრომის - ტევადი ტეხნიკური კულტურების განვითარებას, კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის საფუძველზე" (საქ. კ.პ. (ბ) ცეკას რეზოლიუციიდან)

კოლმეურნეობათა მშენებლობა საქართველოში

(„სოფლის კავშირის მასალების მიხედვით)

„მიღებულ იქნას ზომები გლეხურ მეურნეობათა კოოპერაციაში ჩაბმის და კოლექტივიზაციის ტემპის გასაძლიერებლად, რისთვისაც პირველ რიგში გაფართოებულ იქნას მუშაობა გლეხურ მეურნეობათა პროდუქციის გადამუშავებისა და გასაღების საქმეში და კონტრაქტაციის დარგში" — ასეთი დირექტივა მისცა თავის დადგენილებაში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს ორგანიზაციას.

რა გაკეთდა ამ დირექტივის შესასრულებლად? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პირველყოვლისა თვალი გადავავლოთ იმას, თუ როგორ ვითარდება კოლმეურნეობათა მშენებლობა საქართველოში.

„სოფლის კავშირის" საანგარიშო მასალები, რომელიც სათანადო ორგანოების მიერ ჯერ-ჯერობით შემოწმებული და დამტკიცებული არ არის, შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

კოლმეურნეობათა ზრდა

ა. წ. პირველი იანვრისათვის საქართველოში სულ 558 კოლმეურნეობა არსებობდა, პირველი აპრილისათვის — 648 (ზრდა 16,1 პროც.), პირველ ივლისისათვის კი — 870 (ზრდა 34,2 პროც. წინა პერიოდთან შედარებით). როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, კოლმეურნეობების რიცხვობრივი ზრდა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას კოლმშენებლობის თვისობრივ მხარეზე. კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეობების რაოდენობისა და მიწის ფართობის ზრდის პროცენტი გაცილებით დაბალია თვით კოლმეურნეობების რიცხვობრივი ზრდის პროცენტთან შედარებით. ეს კი იმის მომასწავებელია, **რომ ჩვენში უმთავრესად ეწყობიან წვრილი კოლმეურნეობები, რომელთა ტეხნიკური და სამეურნეო დონე ბევრათ წინ ვერ გაუსწრებს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებს.** პარტიულმა ორგანოებმა და კოლმეურნეობათა ცენტრმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. კოლექტივი უნდა წარმოადგენს მსხვილ საწარმოო ერთეულს, რომელიც შესძლებს სას.-სამ. ტეხნიკის ყველა საშუალებების გამოყენებას. **„სოფლის კავშირის" მასალებში აღნიშნულია წვრილი კოლექტივების გაერთიანების ორი თუ სამი შემთხვევა, რაც, რასაკვირველია, არ არის საკმარისი და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ კოლმეურნეობათა ცენტრს ბევრი არაფერი გაუკეთებია ამ მიმართულებით.**

ტეხნიკური კულტურები

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის რეზოლიუციაში ჩვენი პარტორგანიზაციის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა „შრომის-ტევადი ტეხნიკური კულტურების განვითარებას კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის საფუძველზე". „სოფლის კავშირის" მასალების მიხედვით ამ დირექტივის შესრულება ასე გვეხატება.

ჩაის მომყვან კოლმეურნეობათა რიცხვი, რომელიც 1928 წელს 119 უდრიდა, მიმდინარე წელს 275-დე გაიზარდა. აღნიშნული კოლექტივები გასულ წელს 1980 მეურნეობას აერთიანებდნენ, მიმდინარე წელს კი ისინი 4600 მეურნეობას აერთიანებენ. თუ რამდენად რენტაბელურია ჩაის კულტურის განვითარება, ეს იქედან სჩანს, რომ „საქართველოს ჩაის" მიერ დახარჯულ ყოველ ას მანეთზე ჩაის პლანტაციებმა 200 მანეთის პროდუქცია მოგვცა.

ჩაის გარდა კოლმეურნეობათა სისტემაში შედის თამბაქოს, ბამბის, შაქრის, ჭარხლის და კანაფის მომყვანი კოლექტივები. ამ ტეხნიკურ მცენარეთა კოლექტივების ზრდა შემდეგი ტემპით მიმდინარეობდა: 27-28 სამ. წელს არსებობდა თამბაქოს მომყვანი—23, ბამბის მომყვანი 21 კოლექტივი. 28-29 სამ. წელს — თამბაქოსი—32, ბამბის—38. კოლექტივების რიცხვთან ერთად იზრდებოდა მათი მიწების სივრცეც. მიმდინარე სამეურნეო წელს პირველად ჩამოყალიბდა კანაფისა და შაქრის ჭარხლის კოლექტივები. კანაფის — 23 კოლექტივი 150 ჰექტარი მიწით და შაქრის ჭარხლის — 7 კოლექტივი 150 ჰექტ. მიწით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტეხნ. კულტურების კოლექტივებმა წელს ვერ შესძლეს მთელი დათესილი მიწის დამუშავება, მაგალითად, თამბაქოს კოლექტივებმა 400 ჰექტ. მიწიდან დაამუშავეს მხოლოდ 190,4 ჰექტარი, ბამბის კოლექტივებმა — 900 ჰექტარიდან მხოლოდ 833 და სხვა.

კოლექტივები არ არიან უზრუნველყოფილი სას.-სამ. ინვენტარით

კოლმეურნეობებში ნათესების გაფართოება და მოსავლიანობის გადიდება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უზრუნველყოფილნი იქნებიან ისინი სას.-სამ მანქანა - იარაღებით და მუშა საქონლით. „სოფლის კავშირის" ცნობებით 292 კოლმეურნეობას ჰქონდა ტრაქტორი — 65, ტრაქტორის გუთნები — 35, ფარცხი — 22, სათესი მანქანა — 14, სამკალი — 9, სალეწი — 15, რკინის გუთანი — 199, წვრილი სას.-სამ. იარაღი — 2185 ცალი.

ამავე კოლმეურნეობებს ჰყავდა 764 ცალი მუშა-საქონელი. სულ კი ეს კოლმეურნეობები დაახლოებით 80 პროცენტით არიან უზრუნველყოფილნი გამწევი ძალით. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილი ციფრები შეეხება კახეთის, თბილისის, ქუთაისის და გორის ყოფ. მაზრებს, რომლებიც შედარებით უკეთ იყვნენ მომარაგებული სას.-სამ. მანქანა-იარაღებით. საქართველოს დანარჩენ რაიონებში მდგომარეობა გაცილებით უარესია.

სას.-სამ. ნედლეულის დამუშავება გაყინვის წერტილზეა

სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების საკითხს, რომელიც განსაკუთრებით ხაზგასმულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას რეზოლიუციაში, კოლმეურნეობათა მშენებლობის ხელმძღვანელ ორგანოების მიერ არავითარი ყურადღება არ მიქცევია. 1928 წელს კოლმეურნეობათა ქსელში აღიარებული იყო ადგილობრივი სას.-სამ. ნედლეულის გადამმუშავებელი 23 საწარმო. 1929 წლისათვის კოლმეურნეობათა ცენტრს განზრახული ჰქონდა ამ საწარმოთა რიცხვის 67--მდე აყვანა, მაგრამ განზრახვა განზრახვად დარჩა და საწარმოების რიცხვიც არ შეცვლილა.

კოლმეურნეობების მუშაკთა აღზრდის საქმე

კოლმეურნეობათა მშენებლობის შემდგომი განვითარება დიდათაა დამოკიდებული შესაფერ მუშაკთა კადრების აღზრდაზე. კოლმეურნეობათა ცენტრი ჯერ კიდევ გასულ წელს აყენებდა საკითხს კოლმეურნეობის მუშაკთა გადასამზადებელი კურსების მოწყობის შესახებ, მაგრამ სახსრის უქონლობის გამო ეს საქმე არ მოხერხდა. ამჟამად ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია აღნიშნული კურსების მოწყობისათვის საჭირო თანხები.

განათლების კომისარიატმაც შეიტანა თავის გეგმაში კოლექტიური მიწადმოქმედების 3 ტეხნიკუმის დაარსება. მუშავდება აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის აგროფაკულტეტზე გამოიყოს კოლ. მიწადმოქმედების შემსწავლელი სპეციალური დარგი. ამას გარდა გლეხახალგაზრდობის სკოლების პროგრამებში შეტანილი იქნება შესაფერი საგნები.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ღონისძიება საპერსპექტივო გეგმითაა გათვალისწინებული. დღემდე კი პრაქტიკულად, არც „სოფლის კავშირს", არც განათლების კომისარიატს არაფერი არ გაუკეთებიათ კოლმეურნეობათა მშენებლობის სათანადო მუშაკებით უზრუნველსაყოფად.

ჯ—ნი.

ღონისძიებანი პარტგანათლების საქმის გასაუმჯობესებლად

ს. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

1. უკეთებს რა ჯამს გასულ სასწავლო წლის მასიურ პარტგანათლების შედეგებს, ცეკა აღნიშნავს, რომ 1928-29 წელს პარტგანათლების დარგში ადგილი ჰქონდა დიდ წინსვლას: გაფართოებულ იქნა პოლიტგანათლების ქსელი, უპარტიო მუშათა მასა ჩაბმულ იქნა აღნიშნულ ქსელის საქმიანობაში, განმტკიცდა ქსელის სისტემა, გადიდდა მუდმივი პროპაგანდისტების რიცხვი და გაუმჯობესდა მათი თვისობრივი შემადგენლობა, გაფართოვდა პარტსწავლების საშუალო ერთეულები, გაძლიერდა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას სააგიტ.-საპროპ. ბეჭდვითი განყოფილების მხრივ საპროგრამო მეთოდიური ხელმძღვანელობა, გაუმჯობესდა სკოლებისა და წრეების მუშაობის მეთოდები, გაძლიერდა პარტ-აქტივის გადამზადება და სხვა.

ამასთანავე სამოსწავლო წლის შედეგები გვიჩვენებენ, რომ პარტგანათლებამ დიდი როლი ითამაშა გადახრებთან, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაში. ლენინიზმის, პარტიისა და კომინტერნის მნიშვნელოვანი საკითხების პროპაგანდაში, საზოგადოებრივ - პოლიტიკურ კამპანიებისათვის პარტიის წევრებისა, კანდიდატების და უპარტიო აქტივის მომზადებაში და პარტიის ძირითადი დირექტივების განხორციელებაში (სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, შრომის რაციონალიზაცია და ნაყოფიერების აწევა, უკულტურობა-ჩამორჩენილობასთან და ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებთან ბრძოლა და სხვ.).

2. ამასთანავე საქ. კ.პ. (ბ) ც. კ. აღნიშნავს, რომ პარტიის უმთავრესი დირექტივები მასიური პარტგანათლების საკითხების შესახებ, არ არის საკმაოდ გატარებული. მასიური პარტგანათლების მოწყობის დარგში ერთ უმნიშვნელოვანეს ნაკლს წარმოადგენს პარტსწავლების ფორმებისა და მიზნების შესახებ სათანადო ახსნა-განმარტებითი კამპანიის სუსტად და დაგვიანებით ჩატარება, ზოგან კი მისი სავსებით ჩაუტარებლობა; მსმენელთა პოლიტიკური განვითარება - მომზადებისა და მოთხოვნილებისათვის ნაკლები ანგარიშის გაწევა, სკოლების შევსების საკითხისადმი ფორმალური მიდგომა, მცირე მცოდნეთა მიღება, პარტქსელში კომპარტიის წევრებისა და განსაკუთრებით კი კანდიდატების არასაკმაო ჩაბმა, პარტსწავლების საქმეში მოჯამაგირეთა და გლეხ-ქალთა სუსტად ჩაბმა, განსაკუთრებით ეროვნულ-უმცირესობათა რაიონებში; ნებაყოფლობის პრინციპის გაუგებრობისა და დარღვევის შემთხვევები, პარტსწავლების სუსტი გაშლა მუშათა რაიონებსა და საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში; პროპაგანდისტთა მნიშვნელოვანი ნაწილის მოუმზადებლობა, ადგილობრივი პარტორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობა, პარტგანათლების ქსელისათვის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ინვენტარის სუსტი მიწოდება და სხვ.

პარტსწავლების შინაარსის მხრივ უნდა აღინიშნოს: სწავლის არასაკმაო დაკავშირება და პარტიის წევრებისა და კანდიდატების პრაქტიკულ-საზოგადოებრივ პოლიტიკურ საქმიანობასთან, რევოლიუციონური თეორიის შესწავლისათვის ნაკლები ყურადღების მიქცევა, პარტიის წევრთა და უპარტიოთა აქტივის პოლიტიკური და საერთო განათლების უთანაბრობა, პარტიის წევრთა და კანდიდატთა საერთო განათლების (წერა-კითხვის უცოდინარობა და მცირე მცოდნეობა) დაბალი დონე, რაც მეტათ აბრკოლებს მათ პარტიულ - პოლიტიკურ მომზადებას.

ამავე დროს საკმაოდ ვერ არის დაკმაყოფილებული პარტიის წევრთა და უპარტიო მუშურ-გლეხური აქტივის მისწრაფება, პროფტეხნიკური განათლებისაკენ, საღამოს პროფტეხნიკური სკოლების ქსელის სიმცირის გამო.

აღნიშნულ ნაკლთა შედეგს წარმოადგენს მრავალი სკოლებისა და წრეების დახურვა, მსმენელთა არა საკმაო დასწრება მეცადინეობაზე და მათი საგრძნობი ნაწილის გაცხრილვა.

ხსენებულ დეფექტების უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძიოთ პარტგანათლების პოლიტიკურ მნიშვნელობის შეუფასებლობაში მთელი რიგი პარტორგანიზაციების მხრივ, პარტიული კომიტეტები და უჯრედთა ბიუროები უმეტეს შემთხვევაში არ ახორციელებენ პარტგანათლებაზე სისტემატიურ ხელმძღვანელობას და ამ მუშაობას მხოლოდ აგიტპროპმუშაკებს აკისრებენ.

აგრეთვე ისინი არავითარ დახმარებას არ უწევენ პროპაგანდისტებს პარტიული მასების აღზრდის საქმეში, რაც უქმნის მუშაობის მძიმე პირობებს ამ უკანასკნელთ და იწვევს მათ გადასვლას სხვა სამუშაოზე.

3. საქ. კ.პ. (ბ) ც. კ.-ი აღნიშნავს, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით პარტიული მასების იდეურ-თეორეტიული დონის ამაღლების, სოციალიზმის მშენებელთა კადრების აღზრდა-მომზადების, ტროცკიზმის ნაშთებისა და მემარჯვენე გადახრის აღმოფხვრის, პარტიაში მუშათა და მოჯამაგირეთა ახალი კადრების ჩაბმის, ახლად მიღებულ კანდიდატთა, უპარტიო მუშათა, ღარიბთა და მოჯამაგირეთა აქტივის პოლიტიკური დონის აწევაზე ზრუნვის და მრავალი სხვა საჭირბოროტო ამოცანები მოითხოვენ მასიური პარტგანათლების არსებითად გადახალისებას და ამ მუშაობაზე პარტკომებისა და პარტუჯრედების ბიუროების მხრივ სისტემატიური ხელმძღვანელობის დაწესებას.

პარტგანათლების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა:

1. ბოლო მოეღოს პარტგანათლების მნიშვნელობის სათანადოთ შეუფასებლობას და უმთავრესი ყურადღება მიექცეს პარტაღმზრდელობით მუშაობას, რომელიც პარტმუშაობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია.

2. სასწავლო წლის დაწყებამდე ორი თვით ადრე პარტიის წევრ-კანდიდატთა, კომკავშირელთა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა შორის ჩატარდეს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია პარტსწავლების ფორმებისა, ამოცანებისა და მნიშვნელობის შესახებ. კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად ფართოდ იქნეს გამოყენებული პრესა (ადგილობრივი და ცენტრალური), პარტაქტივი და პედაგოგი პროპაგანდისტი-კომუნისტები.

3. დაცული იქნეს პარტგანათლების არსებული სისტემა:

ა) ქალაქისათვის: ქალაქის ერთიანი პარტსკოლა, საღამოს საბჭოთა პარტსკოლა, მარქსისტულ-ლენინური წრეები, თემატიური წრეები, მიმდინარე პოლიტიკის წრეები, სემინარიები და აგრეთვე პარტაქტივისა და მუშა-პროპაგანდისტთა თეორეტიულ-პრაქტიკულად მოსამზადებელი კურსები.

ბ) სოფლისათვის: სოფლის ერთიანი პარტსკოლა, საგაზეთო, მარქსისტულ-ლენინური, თემატიური და მიმდინარე პოლიტიკის წრეები, მსხვილ თემებში — საღამოს საბჭოთა პარტსკოლები.

4. სკოლებმა და წრეებმა უნდა მოამზადონ მსმენელები მნიშვნელოვანი - საზოგადოებრივ - პოლიტიკურ კამპანიების (საბჭოების კოოპერატიულ ორგანიზაციების, საქარხნო - საფაბრიკო კომიტეტებისა და მ.-გ. ქალთა სადელეგატო კრებების გადარჩევა, კოლხელშეკრულებათა დადება, თესვის კამპანია, საწარმოო თათბირები, სოციალისტური შეჯიბრება, ანტირელიგიური კამპანიები, კულტლაშქრობა, და სხვ.) ჩატარებაში აქტიური მონაწილეობის მიღებისა და ხელმძღვანელობის გაწევისათვის.

ამ ამოცანის დასახვის გამო პარტგანათლების ქსელის სკოლათა და წრეთა დროის ერთი მესამედი მაინც უნდა მოხმარდეს პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მუშაობის მიმდინარე საკითხების შესწავლას.

მთელს ქსელში მიღწეული უნდა იქნეს მუშაობის თვისობრივი გაუმჯობესება, მეთოდების მიმდინარე პოლიტიკურ ამოცანებთან და ადგილობრივ პირობებთან შეთანხმება და განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მემარჯვენე გადახრასთან ტროცკიზმის ნაშთებთან, მენშევიზმ- შოვინიზმთან, რელიგიასთან და ძველ ყოფა-ცხოვრებასთან ბრძოლას და სხვ.

სკოლებსა და წრეებში ყოველკვირეულად ორი დღე მოხმარდეს სპეციალურად პარტსწავლებას.

5. გაფართოვდეს წრეების ქსელი საქართველოს, ამიერ-კავკასიისა და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმისა და მასთან დაკავშირებული ცალკე პრობლემების შესასწავლად; გადიდდეს აგრეთვე აგროგანათლების სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, კომინტერნის პროგრამის, მარქსიზმისა და ლენინიზმის ცალკე პრობლემების, პარტმშენებლობისა და ანტირელიგიური საკითხების შემსწავლელი წრეების რიცხვი და სხვა.

6. პარტიულ პროპაგანდისტთა შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა:

ა) 1929—30 სასწავლო წლის დაწყებამდე დაწვრილებით გადასინჯულ იქნას პარტიულ-პროპაგანდისტების შემადგენლობა და მათგან საპროპაგანდო მუშაობისათვის გამოიყოს ის ამხანაგები, რომელთაც აღმოაჩნდათ საკმაო მომზადება ამ მუშაობისათვის. საპროპაგანდო მუშაობაში ჩაბმული იქნენ პოლიტიკურად საკმაოდ მომზადებული და პარტიული გამოცდილების მქონე ძველი ბოლშევიკები და პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც განთავისუფლებულ უნდა იქნენ სხვა პარტიული დატვირთვისაგან.

ბ) საოლქო და სამაზრო პარტიული კომიტეტები სპეციალური კურსების და სემინარების მოწყობით უნდა შეუდგნენ მუშა-პროპაგანდისტების კადრების სისტემატიურ მომზადებას წარმოებაში ჩაბმულ მუშათა და მუშა-ქალთაგან.

გ) მსხვილ საწარმოებებში და მუშურ რაიონებში და აგრეთვე, საბჭოთა და კოლმეურნეობებში მასიური პარტგანათლების საქმის გასაუმჯობესებლად უზრუნველყოფილ იქნეს ეს რაიონები და საწარმოები კვალიფიციური პროპაგანდისტებით.

დ) პროპაგანდისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათთვის პარტიის მიმდინარე პრაქტიკული ამოცანების უფრო ღრმად და სისტემატიურად გაცნობისათვის, საჭიროა ყოველწლიურად, სასწავლო წლის დაწყების წინ, მოეწყოს პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები (პარტქსელის, კომკავშირის პოლიტ. განათლების, წარმოების, ქალთა სადელეგატო კრებების) და ეროვნულ უმცირესობათა პარტგანათლების ქსელისათვის ადგილობრივ პროპაგანდისტთა მოსამზადებელი კურსები- კონფერენციები.

ვ) აღიძრას საკითხი საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის წინაშე იმის შესახებ, რომ გამონახულ იქნას სათანადო თანხები და შერჩეულ იქნას 15 მომზადებული პროპაგანდისტი რაიონულ პროპაგანდისტ- ინსტრუქტორებად.

7. სერიოზული ყურადღება მიექცეს პარტგანათლების ქსელისა და, განსაკუთრებით, პარტსწავლების საშუალო ერთეულების სისწორით შევსებისა და მათი რიცხვის გაფართოების საქმეს. აგრეთვე იმ ქსელის გაფართოებას ეროვნულ უმცირესობათა შორის, ქალთა სპეციალური პარტსკოლების გახსნას თურქულ და მთიან რაიონებსა და აჭარისტანში, სკოლებსა და წრეებში პარტიის წევრ და განსაკუთრებით კი კანდიდატ კომკავშირელ ქალთა (განსაკუთრებით ყოფილი დელეგატებიდან), უპარტიო მუშათა, მოჯამაგირეთა და ღარიბთა უფრო ფართოდ ჩაბმას და პარტქსელის მუშაობის ღირსების გაუმჯობესებას. პარტსკოლებში პარტიის კანდიდატთა და უპარტიოთა უფრო სრულად ჩაბმის მიზნით, პირველ დაწყებითი პარტსკოლების ქსელს გარდა დაარსდეს აგრეთვე მათთვის საინტერესო საკითხთა შემსწავლელი ცალკე ჯგუფები, მოკლე ვადიანი თემატიური და საგაზეთო წრეები.

8. ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ პროფკავშირებისა და კოოპერაციის წევრთა შორის პოლიტგანათლების საქმის დაყენებასა და მის უზრუნველყოფას პარტხელმძღვანელობით. ამ მიზნით ისინი ჩაბმული უნდა იქნენ პარტქსელში და მათთვის მოეწყოს სპეციალური სკოლები და წრეები.

9. პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ერთი მხრით საერთო და პროფტეხნიკური განათლებისა და მეორეს მხრივ პოლიტიკური განათლების შორის არსებულ უთანაბრობის ლიკვიდაციას.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის პარტიულ სკოლებსა და წრეებში შემოღებულ იქნას პროფტეხნიკური და საერთო საგანმანათლებლო საგნებისსწავლება და პარტიის წევრები და კანდიდატები ჩაბმული იქნენ საღამოს განათლების ქსელში (საღამოს საერთო საგანმანათლებლო და პროფტეხნიკური სკოლები და წრეები, მუშათა საკვირაო უნივერსიტეტები და სხვ.)

10. საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომებმა, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ და კოოპერატიულმა ცენტრებმა მიიღონ ზომები საღამოს მუშათა განათლების ქსელის გასაფართოებლად და მის უზრუნველსაყოფად სათანადო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით.

11. პარტგანათლების სკოლებსა და წრეებში საერთო საგანმანათლებლო და პროფტეხნიკური საგნების სწავლებისათვის გამოყენებულ იქნას მეცადინეობის მეორე დღე ყოველ კვირაში.

12. ქალაქებში, მუშათა რაიონებსა და მსხვილ თემებში გაფართოვდეს საღამოს საბჭოთა პარტსკოლის ქსელი. სოფლის საღამოს საბჭოთა პარტსკოლის პროგრამაში შეტანილ იქნას აგროგანათლებისა და კულტურული მშენებლობის კურსი.

13. პარტიის წევრებსა და კანდიდატებს შორის 1929-30 წლის განმავლობაში სავალდებულო წესით მოხდენილი იქნას წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია, რისთვისაც დაარსდეს სათანადო სკოლები ან და პირველ რიგში მოხდეს მათი ჩაბმა ამჟამად არსებულ წ. კ. უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში.

14. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სააგიტ-საპროპაგანდო ბეჭდვითი განყოფილების მხრივ ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, გამოყოფილ იქნას სპეციალური მუშაკი პარტგანათლების დარგში სამუშაოდ. გაუმჯობესდეს მეთოდიური ხელმძღვანელობა პარტქსელის პროპაგანდისტებზე და მოწესრიგდეს მათთვის პროგრამულ მეთოდიურ მასალების მიწოდების საქმე.

15. მიეცეს წინადადება, სათანადო ორგანიზაციებს, რათა სასწავლო წლის დაწყების წინ გამოიცეს ქართულ ენაზე პარტქსელისათვის საჭირო სახელმძღვანელოები და მოწესრიგდეს სკოლებისათვის სათანადო სასწავლო წიგნების, სახელმძღვანელოებისა და მიმდინარე ლიტერატურის მიწოდების საქმე. წინადადება მიეცეს სახელგამს ეროვნულ უმცირესობათა პარტქსელისათვის (ოსეთი, აფხაზეთი და სხვ.) გამოსცეს საჭირო სახელმძღვანელოები და აგრეთვე მიიღოს სათანადო ზომები და პარტსკოლებისათვის საჭირო ლიტერატურის თავის დროზე მისაღებად აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან თურქულ და სომხურ ენებზე.

16. ყოველმხრივ ხელი შეეწყოს პროპაგანდის გაშლას და აგრეთვე საერთო პროფტეხნიკური და პოლიტიკური თვითგანვითარების იდეის გავრცელებას ადგილებზე. ხელი შეეწყოს სწავლების ამ სისტემაში პარტიის წევრების, კომკავშირელებისა და უპარტიო აქტივის რაც შეიძლება უფრო მეტის რაოდენობით ჩაბმას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სწავლების დაუსწრებელი ფორმების შემოღებას და მის გავრცელებას პარტიულ, საერთო საგანმანათლებლო და პროფტეხნიკურ სასწავლებლების საშუალებით (კომუნივერსიტეტები, პარტსკოლები, ათწლედები, უმაღლესი სასწავლებლები).

17. ფართოდ გაშლილ იქნას მუშაობა ძირითადი პარტაქტივის (უჯრედებისა და რაიკომების მდივნების, აგიტპროპორგანიზატორებისა, ქალორგანიზატორებისა) თეორეტიული და პრაქტიკული კვალიფიკაციის ასამაღლებლად სათანადო გადასამზადებელი კურსების მოწყობითა და მისი ჩაბმით პოლიტგანათლების სხვა და სხვაგვარ ფორმებში, განსაკუთრებით კი დაუსწრებელ მეცადინეობაში (ა.-კ.-ის კომუნივერსიტეტი, ცენტრალური პარტსკოლა).

18. პარტგანათლების სისტემაში შეტანილ იქნას ქალთა სადელეგატო კრებებისა და პირველდაწყებითი წრეების ქსელი და წინადადება მიეცეს ადგილობრივ პარტკომიტეტებსა და პარტუჯრედთა ბიუროებს უზრუნველყონ ის მომზადებული ხელმძღვანელობით და გაუწიონ მას სათანადო ხელმძღვანელობა.

19. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კომკავშირელთა პოლიტგანათლების ქსელს, გაეწიოს მას სისტემატიური ხელმძღვანელობა და სათანადო დახმარება მომზადებული პროპაგანდისტების მიმაგრებით.

20. ადგილობრივ პარტკომებსა და უჯრედთა ბიუროებს ევალებათ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე შეიტანონ ადგილობრივი პოლიტგანათლების ბიუჯეტში პარტგანათლებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები (შენობა, გათბობა-განათება, პროპაგანდისტების ხელფასი, სახელმძღვანელოების და სასწავლო წიგნების მიწოდება ულარიბეს მსმენელთათვის); ამასთანავე, საჭიროა პროფკავშირებისა და კოოპერატიული ორგანოების გამგეობებთან არსებულმა კომფრაქციებმა გაითვალისწინონ ბიუჯეტებში კულტფონდების ანგარიშზე, თავის ორგანიზაციების წევრთა შორის პოლიტგანმანათლებელი მუშაობის საწარმოებლად საჭირო ხარჯები.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელი

მასების კონტროლის გზით

უმსგავსოებანი ქუთაისის კომუნალურ განყოფილებაში

6 სექტემბერს ქუთაისის კომკავშირის მსუბუქმა კავალერიამ მოაწყო მოულოდნელი თავდასხმა ქუთაისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაზე.

ეს განყოფილება ყოველთვის იპყრობდა მსუბუქი კავალერიის ყურადღებას, რადგან ამ განყოფილებაში გამეფებული იყო ბიუროკრატიზმი, პროტექციონიზმი, საქმეზე მიმსვლელ მოქალაქეებისადმი უხეში მოპყრობა და სხვა უმსგავსოებანი.

რა აღმოაჩინა 6 სექტემბრის თავდასხმამ კომუნალურ განყოფილებაზე?

განყოფილების გამგე ამხ. **კალანდაძე** სამუშაოზე გამოცხადდა ათის ნახევარზე. დაიგვიანა არა საპატიო მიზეზის გამო. მსუბუქმა კავალერიამ მას მიუსწრო ქუჩაში, როდესაც მას ოჯახისთვის მიჰქონდა სურსათსანოვაგე.

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების გამგემ **მამასახლისოვმა** დაიგვიანა ნახევარი საათით.

მათ არ ჩამორჩა ბუღალტერი აკოფოვიც,—მანაც ნახევარი საათით დაიგვიანა. ბოროტი ენები ამბობენ, თითქოს აკოფოვი ყოფილიყვეს გამოცდილი კომბინატორი. ამ კომბინაციებისთვის იგი „პატივით" გამოისტუმრეს წყალტუბოდან, რაჭიდან და სხვა ადგილებიდან. აკოფოვმა ერთხელ მოისურვა შეძრომა „კომუნისტი"-ს კანტორაში, მაგრამ არ იქნა დაშვებული. ვინ მოაწყო აკოფოვი ბუღალტერად კომუნალურ განყოფილებაში, ეს საკითხი უნდა გამოირკვეს.

რეგისტრატორმა ქალმა **ებანოიძემ** დაიგვიანა 35 წუთით.

მემანქანემ — **კუხალეიშვილის ქალმა** დაიგვიანა 40 წუთით.

მემანქანე — **ქუთათელაძის ქალმა** დაიგვიანა 35 წუთით.

წულუკიძის ქალმა — ტეხნიკოსია — მუშაობა დაიწყო 12 საათზე. მანამდის კი იგი უნდებოდა თავის ტუალეტს.

ეს დაგვიანების ფაქტები. ახლა ვნახოთ, როგორ საქმიანობენ კომუნალურ განყოფილებაში და როგორ ასრულებენ თანამშრომელნი დავალებებს.

ამის შესახებ მსუბუქ კავალერიას აქვს უამრავი ფაქტები.

ვერა ჰიჰინაძე (საქმის მწარმოებელი) თავის დროზე გამოცხადდა სამსახურში და თან მოიტანა ერთი კალათი ლეღვი. ამ ლეღვს თითოეულაც მიირთმევდა და უმასპინძლდებოდა სხვა თანამშრომლებსაც. ლეღვის ჭამამ წაართვა დაწესებულებას ერთი საათი და 5 წუთი.

კაჭანიძე (მდივანი) ყოფ. პოლკოვნიკი — სერიოზული სახით ზის მაგიდასთან. ზოგიერთს ეგონება — დიდი საქმით არის გართული, მაგრამ იგი ითვლის ქინძისთავებს კოლოფში და ასე ატარებს დროს.

ნიკუშა ჭარხალაშვილი (საქმისმწარმოებელი) არაფერს არ აკეთებს, გარდა არშიყობისა.

არის ერთი თანამშრომელი — ებრაელთა უბნის მშენებლობის გამგე — გვარად **სილიჩი**. იგი გამოცხადდა 9 საათსა და 30 წუთზე და 11 საათზე წავიდა სახლაც.

არის კიდევ ერთი თანამშრომელი —აგენტი **ალექსანდრე გორდაძე**. მას უყვარს ქეიფი და დროს ტარება „ლამაზ" ქალებთან. მუშაობის დროს იგი ესაუბრება თანამშრომელ ქალებს და ამით ირთობს თავს.

გადავიდეთ ეხლა განყოფილების თანამშრომელთა უმსგავსოებებზე:

ავალაპარაკოთ ისევ ფაქტები.

ბიუროკრატიზმს და საქმეზე მიმსვლელ მოქალაქეებისადმი უხეშ მოპყრობას მაგრად აქვს გადგმული ფეხები.

მესხეთიდან ჩამოსული გლეხი ქალი კუხიანიძე სოფიო განყოფილების გამგემ ამხ. **კალანდაძემ** დარაჯის საშუალებით გამოაგდო თავის კაბინეტიდან. კუხიანიძე საქმეზე იყო ჩამოსული და უნდა ენახა მოსალაპარაკებლად განყოფილების გამგე.

გამგის კაბინეტის კარებთან იდგა მტირალი ქალი — **ტყეშელაშვილი** (მცხოვრები ტბის ქუჩაზე)— ორი კვირის განმავლობაში დაიარებოდა კომუნალური განყოფილების გამგის სანახავად და 14 დღეში ვერ მოახერხა მისი ნახვა. გამგე არ იღებდა „უბრალო" მთხოვნელებს.

კიდევ მრავალი მოქალაქე უცდიდა მთელი კვირაობით კაბინეტის კარებთან ატუზული, მაგრამ ვერ ახერხებდნენ გამგის ხილვას და ლაპარაკს მასთან.

ეხლა გადავიდეთ პროტექციონიზმზე. აქაც მოვიშველოთ ფაქტები:

მახარაძის ქუჩაზე მდებარე № 31 სახლში მუშა სიხარულიძეს ჰქონდა ორი ოთახი. ვინმე **ამირეჯიბის** ქალმა მოისურვა ამ ოთახებში ცხოვრება და კომუნალური განყოფილების გამგის **კალანდაძის** უშუალო ჩარევით და მისივე ბრძანებით მუშა სიხარულიძე გამოსახლებულ იქნა ოთახებიდან. ეს ოთახები კალანდაძემ ჩააბარა ამირეჯიბის ქალს.

დამზღვევ სალაროს დარაჯი გამოსახლებული იქნა ბინიდან იმ მიზნით, რომ ეს ბინა ვითომ სჭირდებოდა სალაროს. დარაჯს ქუჩაში გამოუყარეს ბარგი, მაგრამ მეორე დღეს **კალანდაძის** განკარგულებით ამ ბინაში ჩასახლდა ლამაზი გოგონა. ეს გოგონა ეხლაც სცხოვრობს ამ ბინაზე.

ლიუქსემბურგის ქუჩაზე მოქ. კურცხალიას ჩამოერთვა დარაბა იმ მიზნით, რომ დარაბის ბინებად გადაკეთების შემდეგ იქ მოეთავსებინათ ელსადგურის მუშები. დარაბა გადაკეთდა ბინებათ, მხოლოდ მუშების ნაცვლად შიგ ჩასახლდნენ კალანდაძის ახლო ნათესავები.

კალანდაძე დიდად სწყალობს თავის ნათესავებს, იგი „გულჩვილი" კაცია და ვერ მოითმენს, რომ რომელიმე მისი ნათესავი დაიარებოდეს უადგილოდ. ამიტომ არის, რომ მის განყოფილებაში მრავლად არიან კალანდაძის გვარის წარმომადგენლები:

1) **ვერა კალანდაძე** — რეგისტრატორი,

2) **მარო კალანდაძე** — მოანგარიშე,

3) **ვალიკო კალანდაძე** — მუშების ზედამხედველი და

4) **ილია კალანდაძე** — ათისთავი.

განყოფილების გამგე კალანდაძე არ კმაყოფილდება ისეთ თანამშრომლების მიღებით, რომლებსაც აქვთ მასთან ნათესაური კავშირი, მას მოეწონა ბაკურაძის ქალი და ბრძანა: მონახულ იქნას მისთვის ადგილი შტატში, თუ ასეთი არ აღმოჩნდეს, შეტანილ იქნას შტატში მოანგარიშის თანამდებობა ბაკურაძის ქალისათვის.

ბრძანება მოყვანილ იქნა სისრულეში. ბაკურაძის ქალი მიღებულ იქნა სამსახურში.

კომუნალურ განყოფილებაში კალანდაძის მფარველობით მოკალათებულნი არიან ანტისაბჭოთა ელემენტები. ესენი არიან ვაჭარ **ფიჩხაძის შვილები**, გამფლანგველი **ფუტურიძე**, ყოფილი ვაჭარი **ფიჩხაძე**.

ყველა ზემო ნათქვამიდან ცხადია, რომ კომუნალური განყოფილება ვერ შეასრულებდა იმ დავალებებს, რომლებიც მას ჰქონდა მიცემული სათანადო ორგანოების მიერ.

საჭიროა ქუთაისის კომუნალური განყოფილების გაჯანსაღება —მისი განტვირთვით უცხო, გაბიუროკრატებულ და გადაგვარებულ ელემენტებისაგან.

კ—ტი.

ავადმყოფების მოვლაც ასეთი უნდა!

ქალ. თბილისის სამკურნალო - სასანიტარო დაწესებულებებმა ორი თვის წინად დასდეს ურთიერთ შორის სამეურნეო პოლიტიკური ხელშეკრულება იმ მიზნით, რომ აღმოეფხვრათ ძირიან - ფესვიანათ ის დეფექტები, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრებამდე გამეფებული იყო ამ დაწესებულებაში.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, საექიმო პერსონალი გულგრილად შეხვედრია ამ ხელშეკრულებას და არ ღებულობს არავითარ ზომებს ავადმყოფთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტთან (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) არსებულ ა.ლ.კ.კ. უჯრედის მიერ გამოყოფილმა მსუბუქმა კავალერიამ გამოიკვლია ხსენებულ დაწესებულებების მუშაობის პირობები და აღმოაჩინა შემდეგი:

1) 16 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, ფსიქონერვოლოგიურ ინსტიტუტის (ყოფ. საგიჟეს) ქალთა განყოფილების დათვალიერების დროს ავადმყოფები იწვნენ იატაკზე. შეკითხვაზე მორიგე ექიმი უპასუხებს— საწოლები დიდი ხანია გაგზავნილია შესაკეთებლად, ჯერ-ჯერობით არაა მზად და არც ვიცი—თუ როდის იქნება შეკეთებული.

საერთოდ საავადმყოფოში მწოლარე ავადმყოფს არა აქვს უფლება 12 საათზე ისეირნოს, ისიც ფსიქონერვოლოგიურ ინსტიტუტში. აქ, მამაკაცთა განყოფილებაში არც ერთი ავადმყოფი არ იყო თავის ადგილას და სეირნობდენ. ამის გამო ამავე ღამეს, ექიმ კუკულაძის მორიგეობის დროს, ერთი ავადმყოფი გაიქცა. აქ, როგორც გამოირკვა, ექიმები და ადმინისტრაცია მეთვალყურეობას არ უწევენ ავადმყოფებს. არც სისუფთავეს აქვს ყურადღება მიქცეული.

შემდეგ ახალგაზრდები ესტუმრენ ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტს. პალატაში შესვლის დროს აღმოჩნდა შემდეგი: ავადმყოფების სრული სიმშვიდე, ყველა მომვლელი თავის ადგილზეა, მხოლოდ მორიგე მოწყალების დამ, როდესაც მას შეეკითხნენ — თუ რამდენი ავადმყოფი ყავს, უპასუხა—არ ვიცი. ეტყობა, მოწყალე დები ისე იბარებენ ავადმყოფებს, რომ არც იციან—თუ რამდენი ყავთ ავადმყოფი და რამდენი გადააბარეს. მედიკამენტების მხრივ ხომ მდგომარეობა ძალიან ცუდია.

მეორე ღამეს „კავალერისტები" ეწვიენ თვალის სნეულებათა ინსტიტუტს. კარის კაცი მძინარე დახვდათ. გაალვიძეს და სთხოვეს მორიგე ექიმის ნახვა. მან უპასუხა: მორიგე ექიმი არ გახლავთ, სადღაც წავიდაო. შემდეგ მოვიკითხეთ მოწყალების და; კარის კაცი თვალების ფშვნეტით წაგვიძღვა წინ და შეგვიყვანა ბნელ ოთახში და უძახის მოწყალების დას, რომელსაც თავისუფლად გაუხდია და სძინავს არხეინად. ერთი საათი დასჭირდა მის გაღვიძებას. შემდეგ მან ჩაიცვა, „შეიპუდრა", „შეიპამადა" და ისე გამობრძანდა მთქნარებით. ვეკითხებით: სად არის მორიგე ექიმი.—დღეს, საღამოს 7 საათზე, მუსხელიშვილმა დაუძახა, მას შემდეგ არ დაბრუნებულა და არ ვიცი.— რისთვის არ არის სინათლე? — დიდი ხანია გაფუჭებულია, და თუ დაგვჭირდა — სპიჩკას ავანთებთ და ისე მივალთ ავადმყოფთან. არც უბრალო ლამპები აქვთ. სჩანს, რომ ინსტიტუტის ადმინისტრაცია არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს. მორიგე ექიმები არხეინად გრძნობენ თავს და დასეირნობენ. ალბად ფიქრობენ — საავადმყოფოში ყველას თვალები სტკივა და მაინც ვერაფერს დაინახავენო. ალბად, ამიტომ ადმინისტრაცია არ ზრუნავს სინათლეზე.

22 აგვისტოს მს. კავალერიამ „თავდასხმა" მოახდინა ჯ. ს. კ. ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტზე. მუშა - მოსამსახურეთა სრული რეგისტრაცია არ ტარდება, და ადმინისტრაციამ არ იცის, თუ ვინ რა დროს მოდის. საბურთალოზე ბაქტერ. ინსტიტუტს აქვს განყოფილება, სადაც მუშაობს შვიდი თანამშრომელი, მათ შორის ხუთი არის მუდმივი, ერთი მეეტლე და ერთიც შემცვლელი, რომელიც გამოსასვლელ დღეებში სცვლის სხვა თანამშრომელს. აქ ერთი თანამშრომელი წასულია, უფროსის ვითომ ნებართვით. უჯამაგირო შვებულებაში. ბაქ. ინსტიტუტის ადმინისტრაციამ ამის შესახებ არაფერი იცის. ოცი დღეა წასულია, ჯერაც არ გამოცხადებულა, ხოლო ჯამაგირის მიღებაზე ხელს აწერს. არც იციან, თუ როდის დაბრუნდება სამუშაოზე.

ბაქ. ინსტიტუტს აქვს ბაღი, რომელიც დასამუშავებლად მიცემული აქვს არტელს. ბაღი ამჟამად მოუვლელია და განადგურებული.

ასე ტარდება სოციალისტური შეჯიბრება სამკურნალო დაწესებულებებში!

„მსუბუქი კავალერისტი".

ნათესავების და კომბინატორების თაიგული

(ქალ. ზუგდიდი)

ზუგდიდში ჩაის საცდელ სადგურის გამგედ არის **იაკობ ნიკოლოზის ძე ლომია**, რომელიც არის უღირსი ამ თანამდებობისთვის და ამასთან თავის მდგომარეობას ბოროტად იყენებს. თვითონ ის ღებულობს თვეში 200 მან., ხოლო მისი ცოლი არის ამავე დაწესებულებაში ლაბორატორიის „სპეცად" და ღებულობს თვეში 150 მან. ეს კიდევ არაფერი, რომ ცოლ-ქმარი მსახურობს ერთ დაწესებულებაში და ერთი მეორესთან თანამდებობრივ დამოკიდებულებაში იმყოფება.

იაკობ ლომიას თუ რამ ახლობელი ნათესავები გააჩნდა, ყველას სადგურში მოუყარა თავი.

მისი ბიძაშვილი **ვასო ლომია** არის საცდელ მამულის მეთვალყურედ და ღებულობს თვეში 61 მანეთს დატვირთვით, ხოლო ვასო ლომიას ცოლი მსახურობს ამავე სადგურში დამლაგებელ ქალად, რომელსაც თვეში ეძლევა 36 მან. აგრეთვე დატვირთვით. საინტერესოა—რა აქვთ ამდენი საქმე, რომ ძირითად ჯამაგირზე მეტს ღებულობენ! ეს აიხსნება მხოლოდ იაკობის მზრუნველობით თავის ნათესავებზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ვასო ლომია ძველი მზარეულია და იაკობს ის უფრო აყვანილი ჰყავს თავისთვის სადილ-ვახშმის დასამზადებლად, რაც შეეხება მამულის მეთვალყურეობას, ამ მხრივ ვ. ლომია არაფერს აკეთებს.

ვასოს ძმა **სამსონი** არის უბრალო სოფლის დურგალი, რომელიც აქ იაკობის მეოხებით ითვლება პირველ ოსტატად. სადგურის გამგემ მას დაავალა ყაზარმის აგება 1.500 მანეთად და პატარა ფარდულის—800 მანეთად, მაშინ როცა პირველ დავალების შესრულება ადვილად შეიძლებოდა 500-600 მან., ხოლო მეორესი—კი 200-300 მანეთად.

გარდა ამისა, იაკობ ლომია სადგურის ხარჯზე ყიდულობს ცხენს თავის მოლარე ქუნჩა დადიანისაგან 600 მანეთად; ეს ცხენი კი არავითარ შემთხვევაში არ ღირს 300-400 მანეთზე მეტი.

ლომიას ყავს ერთი უფროსი „მუშა" — იონა ყარამანის ძე კედია — ყოფილი აზნაური, გაიძვერა და ხულიგანი, 1924 წ. ავანტიურის დროს აქტიური ბანდიტი. ის ლომიასთან შეთანხმებით სხვადასხვა ბნელ საქმეებს აჭახრაკებს, მაგალითად, 1928 წ. აგვისტოს რიცხვებში იონა კედიამ და ვასო ლომიამ აიღეს ნახევარი ქცევა პლანტაჟის გასაკეთებლად, კვადრატიული საჟენზე ღებულობდნენ 55 კაპ. როცა პლანტაჟი მოათავეს, იონა კედიამ თავის ამხანაგებთან ერთად იაკობ ლომიასთან შეხმატკბილებით ნახევარი ქცევის მაგიერ ქცევა ნახევრის ფული აიღო. ყველა ამის შემდეგ ცხადია, თუ როგორ იცავს მომჭირნეობას სადგურის გამგე.

იაკობ ლომიას **ძმის ცოლი** სადგურში ითვლება მოსამსახურედ, მაგრამ არაფერს აკეთებს. გარდა ამისა, იაკობ ლომიას ცოლის ძმაც სამსახურშია, ვითომ ქარხნის ტეხნიკოსად. სინამდვილეში — კი სრულიად უსაქმოდ ზის.

იაკობ ლომიას მარტო მოხუცებული მამა დაურჩა სამსახურის გარეშე, თორემ სხვა ახლობელი და ნათესავები მოაკალათა ზუგდიდის ჩაის საცდელ სადგურში. გვგონია, ზუგდიდში მოიპოვებიან უკეთესი მუშა-მოსამსახურეები, რომელთა მიღება შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ ამდენ ნათესავებს რა ეშველებოდა!

კიდევ: იაკობ ლომიამ იყიდა სახლი სადგურის საჭიროებისათვის 2.500 მანეთად იასონ კედიასაგან. უკანასკნელმა თავის მხრივ ყავარი და სხვა გამოუსადეგარი მასალა, რომელიც სადგურის კუთვნილებას შეადგენდა, იყიდა იაკობ ლომიასაგან 150 მანეთად. ეს 150 მანეთი, როგორც ეტყობა, იაკობ ლომიას შემოსავალში არ გაუტარებია და თვითონ გადაუყლაპავს. ამის დამტკიცება ადვილია, თუ აწი არ გაატარეს ანგარიშში რაც სიყალბე იქნება. ეს იყო ერთი წლის წინად.

ეს ბნელი კომბინატორები—იაკობ ლომია და მისი დამქაშები უნდა იქნან ალაგმული.

მცოდნე.

„კოოპერატორი" ბეს. ნადირაძე

(სოფ. ნატანები)

ადგილობრივი მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარემ ბესარიონ ნადირაძემ, „გაასაღა" ამ ახლო ხანში ოთხი ტომარა შაქარი — ორი ოზურგეთში და ორი კი ბათომში. სხვათა შორის, 105 კილო შაქარი კერძო მეკამფეტე ედუროვიჩმა შეიძინა მოქ. ბესარიონისაგან. გარდა ამისა, რამოდენიმე ფუთი პადოში ხელსაყრელ ფასებში ჩაუვარდა ხელში ქობულეთელ სპეკულიანტებს—კვაჭაძეს და ანდღულაძეს.

ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც კოოპერატივს არა აქვს საშუალება ერთი გირვანქა შაქარიც და გინდ პადოშიც მიაწოდოს მუშა-მოსამსახურეებს. ესეც რომ არ იყოს და კოოპერატივს კიდეც ჰქონდეს საქონელი, განა დასაშვებია მისი გაყიდვა სპეკულიანტებზე!

ნადირაძის „კოოპერატიული" მუშაობა აუტანელია საქონლის გაძვირების მხრივაც; ნატანების კოოპერატივს ამ დარგში ვერც ერთი სხვა კოოპერატივი ვერ შეედრება; აქ საქონელს დამატებით ედება ღირებულების 50-დან 100 პროცენტამდე, აი ერთი ფაქტი: კოოპერატივმა შეიძინა რამოდენიმე ასეული ფუთი ე. წ. „ტარანა". ჩვენ ვიცით, რომ ტარანას მომხმარებელი გლეხებია. მიუხედავათ ამისა, ნატანების კოოპერატივი კილოთ ტარანას ჰყიდდა 60 კაპ., მაშინ როცა სხვა კოოპერატივებში ის 40 კაპ. ფასობდა. ხშირია შემთხვევა, როცა ჩვენს კოოპერატივში ხდება საქონლის ძვირ ფასებში გადანიხვრა, თავმჯდომარე ნადირაძე ყოფილი ჩარჩ-ვაჭარია და ამ შემთხვევაშიაც ძველი, ჩარჩული თვალსაზრისით უდგება საკითხს, რაც იწვევს გლეხებში გულისწყრომას და მითქმა-მოთქმას.

ამასთან, კოოპერატივის თანამშრომლები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მოყვრობა-ნათესაობით, რაც ხელს უწყობს საქმეების შინაურულად მოჭახრაკებას.

ყოველივე ამაზე ადგილობრივი კედლის გაზეთი „წითელი ურო" მიუთითებდა კოოპერატივის მესვეურებს და მოუწოდებდა ამ უმსგავსოებათა აღმოფხვრისაკენ. მაგრამ ამას მოჰყვა სასტიკ ტერორის ქვეშ მთელი ოდ-კოლეგიის დაყენება. კატეგორიულად მოსთხოვეს გაზეთის ჩამოხსნა. ამ საქმესთან დაკავშირებით მოხსნეს კანდიდატურა ოდ-კოლეგიის წევრის ამხ. ნაკაიძისა, რომელიც სამუშაოდ წამოყენებული იყო ადგილობრივ ხე-ტყის ქარხანაში. დანიშნეს სასტიკი გამოძიება, რომელიც პურღვინოს გამოყენებით გაგრძელდა დილიდან შუაღამემდე.

მიუხედავათ იმისა, რომ კედლის გაზეთში მოთავსებული ცნობა მთელი 100 პროცენტით დამტკიცდა, მოქ. ბესარიონ ნადირაძე დღესაც არხეინად გრძნობს თავს. კიდევ მეტი: ახალ-ახალ შემოტევას აწარმოებს ჩვენი კედლის გაზეთის მიმართ.

დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამორკვეული მოქ. ნადირაძის და სხვათა მუშაობა. დამნაშავეებმა, ჩვენი კოოპერატიული პოლიტიკის უხეშად დამამახინჯებლებმა და მუშკორთა მდევნელებმა, სასტიკი პასუხი უნდა აგონ.

ადგილობრივი.

კულაკები და ვაჭრები პედაგოგების როლში

(წერილი ბორჩალოდან)

ბორჩალოს მაზრაში მასწავლებლობის კადრი ვერ არის სათანადოთ შერჩეული სკოლებში მოკალათებულნი არიან ანტისაბჭოთა ელემენტები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ისინი ბავშვებს კომუნისტურ საფუძველზე აღზრდის საქმეს კი არ ემსახურებიან, არამედ პირიქით—მათი „პედაგოგიური მოღვაწეობა" ძირფესვიანად ეწინააღმდეგება საბჭოთა განათლების პრინციპებს. ღარიბი გლეხობა ამის გამო დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს.

აი ეს მასწავლებლებიც:

1. სოფ. ყიზილქილისის 4 წლ. მასწავლებელი **მამედ ვალიევი**—ყოფ. „განთქმული" ვაჭარია; ამჟამად მას წართმეული აქვს საარჩევნო ხმის უფლება. ის არც ახლა ივიწყებს თავის ძველ პროფესიას.

2. სოფ. კარაბულახის 4 წლ. მასწავლებელი **იბრაგიმ ბაირამოვი** არის კულაკი და საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული.

3. სოფ. ამამლოს 4 წლ. მასწავლებელი **მამედ აბდულაევი** აგრეთვე კულაკია და საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული.

4. დაბა შაუმიანის 9 წლ. მასწავლებელი **ლეონ აბოვიანი**, არის ვაჭარი და საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული.

5. ამავე 9 წლ. მასწავლებელი **როზანა არშაკის ასული გრიგორიანი**—კულაკი—ვაჭარია და საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული.

6. სოფ. კირმიზი ქანთის 4-წლ. მასწავლებელი **ვენიამინ არშაკ. გრიგორიანი** (როზანა გრიგორიანის ძმა) აგრეთვე არის კულაკი—ვაჭარი და საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული.

7. სოფ. სარვანის 4-წლ მასწავლებელი **იბატ კაზიზბეკოვი** კულაკია და საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული.

გარდა ამისა, დაბა ლიუქსემბურგში სკოლების ადგილობრივ მცხოვრებ გერმანელი მასწავლებლებიდან, რომლების რიცხვი 40 კაცამდეა, 99 პროც. კულაკებია. თითეულ მათგანს ყოველწლიური შემოსავალი საკუთარი ბაღ-ვენახებიდან 5—10 ათას მანეთს უდრის. ყველასათვის ცხადია, თუ ასეთი პირები როგორ აღზრდიან ნორჩ თაობას, ან როგორ კულტურულ მუშაობას გასწევენ ღარიბ გლეხობაში.

ამრიგად, სოფლის კულტურული ძალების, კერძოდ მასწავლებლების კადრის მომზადების საკითხი ძალიან მწვავედ დგას. განსაკუთრებით ეს ითქმის ეროვნულ უმცირესობათა რაიონებზე. აქედან — მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ნამდვილად საბჭოთა კულტურულ მუშაკების შექმნას სოფლისათვის. კულაკები და ვაჭრები კი უნდა განვათავისუფლოთ მასწავლებლობის როლისაგან, რომელიც მათ ყველაზე ნაკლებად შეეფერება.

ჟანელი.

პენსია ვაჭარს

ზახარაშვილი სტაჟიანი დიდი ვაჭარია. ის ცნობილი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის ქალაქებშიაც. ზახარაშვილს ქუთაისში, იურიცკის ქ. № 66, ეხლაც აქვს სავაჭრო, აქვს შემოსავლიანი სახლი და სხვ.

ზახარაშვილი ამით არ კმაყოფილდება. მან შეაცდინა სოცდაზღვევის ორგანოები და პენსიაც მიიღო. დღეს პლატონ ზახარაშვილი კიდევაც ვაჭრობს და მასთან პენსიასაც ღებულობს, ჯიბეში უდევს საპენსიო წიგნაკი №10332. ეს ყოფილი ვაჭარი ძველ მოხერხებას არც ეხლა არის მოკლებული. მან აულო ალღო ცხოვრებას, ვაჭრობისათვის მას მგზავრობა ესაჭიროება. ამიტომ გადადის რკინის გზის პენსიონერად და უფასო ბილეთებსაც ღებულობს.

ხშირად მოგზაურობს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში.

დამზღვევ სალარომ, როგორც სჩანს, თავი არ შეიწუხა პ. ზახარაშვილის მიერ წარდგენილ მოწმობების შესამოწმებლად და ვაჭარს დაუნიშნა პენსია. ამის შემდეგ ზახარაშვილი უფრო გათამამდა და ის ეწევა აგრეთვე სპეკულიაციას კონტრაბანდითაც. პლატონ ზახარაშვილი დიდი ქონების პატრონია სოფ. დიმში

ეს მაგალითი მოწმობს, რომ დამზღვევი სალაროები ხშირად უყურადღებოდ ეკიდებიან დასაზღვევ პირების მიერ წარმოდგენილ საბუთებს, მაგრამ მეტი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ადგილობრივ ორგანოებს, რომლებიც საჭირო სიფრთხილეს არ იჩენენ მოწმობების გაცემის დროს, კერძოდ ამ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს ის, ვინც გაუწია დახმარება ვაჭარსა და კულაკ ზახარაშვილს და დამნაშავე სასტიკად უნდა დაისაჯოს.

გეტ.

უხეში ადმინისტრატორი

(ადგილობრივ ტრანსორტის სამმართველო)

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს უფროსად ითვლება ეს **ტატე ალექსანდრესძე მაღრაძე**. ამ კაცს, როგორც გამიგონია მისივე ლაპარაკიდან, დიდი რევოლიუციონური წარსული აქვს, მაგრამ დღესდღეობით ის ხშირად ვერ სდგას კომუნისტის მოწოდების სიმაღლეზე, ამპარტავნობს, მეტად უხეში ადამიანია. თუ რაიმე საქმეზე მიდი მასთან, ისეთი ტონით დაგიწყებს ლაპარაკს და სახის ისეთ გამომეტყველებას მიიღებს, რომ ყველაფერი რაც კი გქონდა სათქმელი, გავიწყდება.

ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ბორჯომში აქვს სახლი სახელმწიფო გზათა მშენებლობისათვის, ამ სახლში სცხოვრობს გზის ოსტატი ოჯახით. ერთი ოთახი გამოყოფილია საინსპექციოთ.

მაღრაძეც სარგებლობს თავისი ადმინისტრატორული მდგომარეობით და ცოლშვილით სახლდება თავის ინსპექტორის ოთახში.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს მუშაობას.

მეთვალყურე.

ხერხეულიძე დაპატიმრებულია

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას

ამით გაცნობებთ, რომ გაზეთ „კომუნისტში" (№ 161, ამა წლის 17 ივლისი) მოთავსებულ წერილში რკინის გზების 1-ლი რაიონის რაზმის უფროს ხერხეულიძის წინააღმდეგ წამოყენებული მთავარი ბრალდებები, წინასწარი გამოძიებით **დადასტურდა**.

ხერხეულიძე ამჟამად გადაყენებულია თანამდებობიდან, დაპატიმრებულია და მოთავსებული გამსახლში.

საქმე ამ დღეებში გადაეცემა სამხედრო ტრიბუნალს გასარჩევად.

სამხედრო პროკურორი
მ. სიმონგულოვი.

პურის დამზადება

ხორბლეულ ნათესების კონტრაქტაციის გეგმა არ არის მთლიანად შესრულებული.—ზოგან ამ მიმართულებით არაფერი არ გაკეთებულა.—სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ.-ბების ხელმძღვანელები სისუსტეს იჩენენ კონტრაქტაციის გატარების დარგში. ზოგს სრულებით არ ესმის კონტრაქტაციის მნიშვნელობა.--მიუხედავათ ყველა დაბრკოლებებისა, პურის დამზადების გეგმა მაინც მთლიანად იქნება შესრულებული.--ამის თავდებია სასწრაფოდ მიღებული გადამჭრელი ღონისძიებანი.

რა უშლის ხელს პურის დამზადებას

ადგილობრივ სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს დიდი როლი ეკისრებათ პურის დამზადების კამპანიის უნაკლოდ ჩატარების საქმეში. თავისუფალ დამზადების გარდა, მათ უსათუოდ უნდა აკრიფონ როგორც შარშან შემოდგომის და გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების დროს დარიგებული სათესლე ხორბლეული, ისე საშემოდგომო და საგაზაფხულო კონტრაქტაციით მისაღები ხორბლეული.

1928 წ. შემოდგომაზე კონტრაქტაცია ჩატარებული იყო კახეთის, თბილისის, გორის, ბორჩალოს და ახალციხის მაზრებში. სულ კონტრაქტაცია ჩატარებული იქნა 6732 ჰექტარ ხორბლის და 799 ჰექტარ ქერის ნათესებზე. კონტრაქტაცია ტარდებოდა როგორც კოლმეურნეობებში და ჯგუფურ გაერთიანებებში ისე ინდივიდუალურ მეურნეობაში

ავანსი მთესველებს ეძლეოდათ შემდეგნაირად: მწკრივზე მანქანებით მთესველს ეძლეოდა ყოველ ჰექტარზე 10 მან. ხორბალზე, 8 მან. ქერზე; ჩვეულებრივ ნათესებზე კი ჰექტარ ხორბალზე 6 მანეთი. მთესველს თავის მხრივ, თანახმად ხელშეკრულებისა, უნდა ჩაებარებია ჭირნახული მიღებულ ავანსზე ორჯერ მეტი, ე. ი. 200%. მაგალითად თუ მთესველმა მიიღო ერთ ჰექტარზე 10 მანეთი, მან უნდა ჩააბაროს ჰექტარზე 20 მანეთის ღირებულების ხორბლეული. ამასთანავე მხედველობაში მიღებულია ღარიბი გლეხობის მდგომარეობა და ღარიბი მეურნეობა იხდის არა 200%-ს მიღებულ ავანსისას, არამედ 150%-ს, ე. ი. თუ მეურნეობამ მიიღო ათი მანეთი, უნდა ჩააბაროს 7 მან. 50 კაპ. ღირებულების ხორბლეული. ამის და მიხედვით ადგილობრივმა საკრედიტო ამხანაგობამ უნდა მიიღოს საშემოდგომო კონტრაქტაციით ხორბლეული ქვემოთ აღნიშნულ ცხრილის მიხედვით.

მაზრა	პური ფუთი	ქერი ფუთი	სულ ფუთი
1. კახეთის	20.190	2.550	22.740
2 გორის	10.348	2.570	12.918
3. თბილისის	17.957	1.210	9.167
4. ბორჩალოს	1.864	611	2.475
5. ახალციხის	883	13	896
ჯამი	41.242	6.954	48.196

1929 წ. გაზაფხულზე კონტრაქტაცია ჩატარებული იყო ექვს მაზრაში—კახეთის, გორის, თბილისის, ბორჩალოს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში, ქვემოთ აღნიშნულ ცხრილის მიხედვით.

მაზრა	პური ჰექტ.	ქერი ჰექტ.	სულ ჰექტ.
1. კახეთის	169	95	264
2. გორის	37	327,5	364, 5
3. თბილისის	152	488,5	640, 5
4. ბორჩალოს	—	210	210
5. ახალციხის	113,75	356,5	470,25
6. ახალქალაქის	60	269	329
ჯამი	531,75	1.746,5	2.278,25

კონტრაქტაციის ასე სუსტად გატარება აიხსნება იმით, რომ საქართველოს კლიმატიური პირობები ისეთია, რომ გაზაფხულის ნათესები ნაკლები რაოდენობისაა შემოდგომის ნათესებთან შედარებით, მთესველებს, რომლებიც აწარმოებდნენ გაზაფხულის კონტრაქტაციას, ავანსი ურიგდებოდათ შემდეგნაირად: მწკრივზე მანქანით დასათესად ყოველ ჰექტარზე ეძლეოდათ 9 მანეთი ხორბალზე და 8 მანეთი ქერზე. მთესველებს ხელშეკრულების ძალით უნდა ჩაებარებიათ ჭირნახული მათ მიერ მიღებული ავანსის 250%-ტის რაოდენობით, ე. ი. თუ ჰექტარზე მთესველმა მიიღო 8 მანეთი უნდა ჩააბაროს 20 მანეთის ღირებული ხორბალი, ხოლო ულარიბეს გლეხმა კი მიღებულ ავანსის 150%, ე. ი. თუ მიიღო ჰექტარზე 10 მან. უნდა ჩააბაროს 15 მანეთის ღირებულების ხორბალი. ამრიგად, ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობამ საგაზაფხულო კონტრაქტაციით უნდა მიიღოს ჭირნახული ქვემოდ ნაჩვენებ ცხრილის მიხედვით.

მაზრა	პური ფუთი	ქერი ფუთი	სულ ფუთი
1. კახეთი	1.766	1.452	3.218
2. გორის	263	5.778	6.041
3. თბილისის	1.499	6.715	8.214
4. ბორჩალოს	—	2.995	2.995
5. ახალციხის	1.851	8.243	10.094
6. ახალქალაქის	969	6.589	7.558
ჯამი	6.348	31.772	38.120

მაშასადამე ადგილობრივმა საკრედიტო ამხანაგობამ პურის დამზადების კამპანიის ჩატარების დროს საშემოდგომო და საგაზაფხულო კონტრაქტაციით უნდა აკრიფოს ხორბლეული ქვემოთ მოყვანილ ცხრილის მიხედვით.

მაზრა	პური ფუთი	ქერი ფუთი	სულ ფუთი
1. კახეთის	21.956	4.002	25.958
2. გორის	10.611	8.348	18.959
3. თბილისის	9.456	7.925	17.381
4. ბორჩალოს	1.864	3.606	5.470
5. ახალციხის	2.734	8.256	10.990
6. ახალქალაქის	969	6.589	7.558
ჯამი	47.590	38.726	86.316

როგორც აღნიშნული ცხრილი გვიჩვენებს, საშემოდგომო და საგაზაფხულო კონტრაქტაციით უნდა აკრეფილიყო პური და ქერი 86.316 ფუთი. ეს რაოდენობა მთელი 100% უნდა დამზადდეს ა/წ. სექტემბრის ბოლომდე. ამისათვის შემუშავებული იყო სათანადო გეგმა, რომელიც გაყოფილია სამ თვეთ: ივლისი, აგვისტო და სექტემბერი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია, თუ რომელ თვეში რამდენი უნდა ყოფილიყო დამზადებული.

	ივლისი		აგვისტო		სექტემბერი	
მაზრა	პური	ქერი	პური	ქერი	პური	ქერი
1. კახეთის	5.000 ფ.	1.000 ფ.	11.000 ფ.	3.002 ფ.	5.956 ფ.	—
2. გორის	3.000 ფ.	3.000 ფ.	7.000 ფ.	5.000 ფ.	611 ფ.	348
3. თბილისის	3.000 ფ.	2.000 ფ.	5.000 ფ.	4.000 ფ.	1.456 ფ.	1,925
4. ბორჩალოს	500 ფ.	1.000 ფ.	1.000 ფ.	2.000 ფ.	364 ფ.	606
5. ახალციხის	500 ფ.	2.000 ფ.	2.000 ფ.	4.000 ფ.	234 ფ.	2.256
6. ახალქალაქის	—	—	600 ფ.	4.000 ფ.	369 ფ.	2.589
ჯამი	12.000 ფ.	9.000 ფ.	26.600 ფ.	22.002 ფ.	8.990 ფ.	7.724

როგორც ზემო ცხრილებიდან დავინახეთ საშემოდგომო და საგაზაფხულო კონტრაქტაციით საქართველოში უნდა აკრეფილიყო პირველ სექტემბრამდე 38.600 ფუთი ხორბალი და 31.000 ფუთი ქერი, ე. ი. სულ პური და ქერი 69.600 ფუთის რაოდენობით. მაგრამ მიღებული ცნობების თანახმად, პირველ სექტემბრამდის აკრეფილია:

მაზრა	პური ფუთი	ქერი ფუთი	სულ ფუთი
1. კახეთის	14.056	2.640	16.696
2. გორის	7.762	855	8.617
3. თბილისის	1.800	846	2.652
4. ბორჩალოს	487	213	700
5. ახალციხის	300	—	300
6. ახალქალაქის	—	—	—
ჯამი	24.411	4.554	28.965

ამრიგად, ხორბალი 38.600 ფუთის ნაცვლად აკრეფილია 24.411 ფუთი, ე. ი. გეგმა შესრულებულია 63,24%; ქერი 31.000 ფუთის მაგივრად აკრეფილია 4.554 ფუთი, ე.ი. გეგმა შესრულებულია 14,69%; სულ პური და ქერი დამზადებულია 28.965 ფუთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინეულ 69.600 ფუთისა ე. ი. გეგმა შესრულებულია 41,61 პროცენტით.

საშემოდგომო და საგაზაფხულო კონტრაქტაციით მისაღებ ჭირნახულის ასეთი მცირე რაოდენობით აკრება პირველ სექტემბრამდე აიხსნება შემდეგი გარემოებით:

ა) ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობების მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ როგორმე თავისუფალი დამზადების გეგმა, რომელიც მათ ჰქონდათ დავალებული, შეესრულებინათ მთელი 100 პროცენტით და კონტრაქტაციით ხორბლეულის აკრეფას ისეთი დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ.

ბ) ბორჩალოს მაზრაში გლეხობა დიდი სიცხეების გამო მთაში წავიდა მთელი თავისი ოჯახობით და დაბრუნდა მხოლოდ სექტემბრის შუა რიცხვებში; კონტრაქტაციით ან თავისუფალი დამზადებით თუ რამე დამზადებული, ისიც მანამდი, სანამ გლეხობა მთაში წავიდოდა.

3) ზოგიერთ ადგილებში ძალიან გვიან დაიწყო გალეწვა (მაგალითად, ახალციხის, ახალქალაქის მაზრებში ნაწილობრივ თბილისის მაზრაშიაც და შირაქის ველზე) ზოგან კი ახლად არის დაწყებული (მაგალითად, თიანეთის, ერწოს, დუშ კაკაბეთის, კაჭრეთის და არაშენდის რა ნებში).

გ) კახეთის მაზრაში ახმეტის, აფენის და ძველი გავაზის რაიონებში ტრაქტებული ნათესები დასეტყვილია.

დ) კოლექტივები არ აბარებს კონ ტაციით განსაზღვრულ რაოდენობის ხულს (მაგალითად მუხრანის და ნატახ რაიონის კოლექტივები).

ზ) შარშან კონტრაქტაცია ვერ ჩა ისე, როგორც წინასწარ იყო გათვალის ბული. მაგალითად, კოლექტივ „წ ვარსკვლავს" კონტრაქტაცია უნდა ჩაე ბია 40 ჰექტარზე, ჩაატარა კი 3 ჰექტ კოლექტივ „ნაპერწკალს" კონტრაქტაც უნდა დაეთესა 60 ჰექტარი, დათესა კი ჰექტარი. გურჯაანის რაიონში კონტრაქ ციით უნდა დათესილიყო 100 ჰექტარი, ოესა კი 8 ჰექტარი. ერწოს არტელს ჯილს" და „ძმურ უღელს" კონტრაქტაც უნდა დაეთესა 30 ჰექტარი და არაფერი დაუთესია.

ე) ადგილობრივი სას. სამ. საკრ. ამხ ხელმძღვანელები ზოგიერთ ადგილ ძალიან სუსტი აღმოჩნდნენ. ზოგს სრულ არ ესმის კონტრაქტაციის მნიშვნელ ზოგი კი არ ატარებს მას ცხოვრებაში (მა ლითად, ალბულაღის საკრედიტო ამხანა ბის თავმჯდომარე ვინმე ფეოდოროვი).

მიუხედავათ ყველა ზემოთ ჩამოთვლ დაბრკოლებებისა, პურის დამზადების გე მაინც შესრულებული იქნება, რადგან ზოგან აქამდის არ იყო პური გალეწ ეხლა გაილეწება, თუ აქამდის ბორჩ გლეხები მთაში იყვნენ, ეხლა ისინი ჩამო დნენ და შეუდგებიან ხორბლეულის ჩაბა ბას. თუ კოლმეურნეობანი და არტელ აქამდი არ აბარებდნენ საჭირო რაოდენ ხორბლეულს, ეხლა ჩააბარებენ, რადგან მი ღებულია სათანადო ზომები კოლმეურნ ბათა ცენტრის მიერ. მიღებულია აგრე სხვა ზომებიც, რომლებიც საფუძველს გვ ძლევს ვიფიქროთ, რომ გეგმით გათვა წინებული აკრეფა 69.600 ფუთის რაოდ ბით შესრულებული იქნება მთლიანად ს ტემბრის განმავლობაში.

ელიზ. ჩხიკვაძე.

კულაკები ვერ შესძლებენ პურის დამზადების შეფერხებას

(მარტყოფის თემი, თბ. ოლქი)

პურის დამზადების კამპანია დღემდის ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ვინაიდან მოსავლის გალეწვა დაგვიანდა, მოსავლის მოხიდვის შემდეგ გლეხობა პურის გალეწვას შეუდგა.

კოოპერაცია და სას.-სამ. საკ. ამხანაგობა შეუდგა პურის დამზადებას. ამჟამად დამზადებულია 1400 ფუთი ხორბალი. მხოლოდ საჭიროა აღვნიშნოთ ჩვენი კოოპერაციის ერთი არა სწორი პოლიტიკა. კოოპერატივს აქვს მოტანილი საქონელი, ე. ი. ფართალი რომელიც უნდა გაიცვალოს პურზე. მიაქვს ღარიბ გლეხს ორი ფუთი პური ფართალზე გადასაცვლელად, აძლევენ მას ფართალს ერთი ფუთის ღირებულებისას და ერთი ფუთის ფულს. ამაზე გლეხობა გამოსთქვამს უკმაყოფილებას და პურის დამზადებაც ფერხდება. საჭიროა ულარიბეს და ღარიბ გლეხს, რომელიც ორ-სამ ფუთ პურს ჰყიდის, მისი ღირებულების მთლიანად ფართალი მიეცეს. საშუალო გლეხობას და შეძლებულს კი 50 პროც.

რაც შეეხება თემში არსებულ სას- არტელებს, ისინი 100 პროცენტით უწყ ხელს პურის დამზადებას.

მოკულაკო, ბობოლა მიწის მომუშ თუმცა არიდებენ თავს და ცდილობენ ლი შეუშალონ პურის დამზადების საქ მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლებაც ენ ლად მუშაობს. იმ კულაკებს, რომელ ადგილობრივი ხელისუფლება სცნობს, მას პური გასაყიდი აქვს, გამოყოფილ კო სიის მიერ შეწერილია ასეთებზე რამდ ფუთი პური, რომელიც უნდა ჩააბარონ კო ოპერაციას და საკრედიტო ამხანაგობას ხელმწიფო ფასებში.

საერთოდ პურის დამზადების საქმეში საშემოდგომო თესვის მიმდინარე კამპა აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ღარი ბი გლეხობა, მოჯამაგირეები, პროლეტ ბა, საბჭოთა და კოოპერატიული დაწ ლებები.

ალ მიგრიაული.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

დამხმარე კომისიები აგვიანებენ ცნობების წარმოდგენას

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გამოშვების დროს გამოქვეყნებული იყო, რომ სესხი გამოდის ორ გამოცემად (პროცენტიანი და უპროცენტო), და რომ გამოცემული იქნება როგორც მთლიანი, აგრეთვე დანაწილებული ობლიგაციები. ამასთანავე გამოქვეყნებული იყო, რომ ყოველ ხელის მომწერს უფლება აქვს ხელის მოწერის ანგარიშში მოითხოვოს თავისი სურვილისამებრ პროცენტიანი ან უპროცენტო, მთლიანი ან დანაწილებული ობლიგაციები.

სახელმწიფო სესხების ხელის შემწყობ კომისიებს ევალეოდათ გამოერკვიათ თვითოეული ხელისმომწერის სურვილი და ამის თანახმად წაეყენებიათ მოთხოვნილება ამ საკრედიტო დაწესებულებაში, სადაც ჩამოყალიბებული აქვთ ხელის მოწერა.

ეს დავალება კომისიებმა მთლიანად ვერ შეასრულეს, რის გამოც ობლიგაციები ხელის მომწერთ შორის განაწილებული იქნა არა მათი დაკვეთის მიხედვით, არამედ როგორც მოხვდა (ზოგს მისცეს მთელი თანხის უპროცენტო ობლიგაციები, როდესაც მათ მოთხოვნილი ჰქონდათ ნაწილი პროცენტიანი და სხ.).

ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, სესხის დამხმარე კომისიები მიმდინარე კამპანიაშიაც აგვიანებენ ამ ცნობების წარმოდგენას. საჭიროა დამხმარე კომისიებმა დროზე წარადგინონ საჭირო ცნობები, რომ ადგილი არ ექნეს გასული კამპანიის შეცდომებს.

სატირაჟო კომისიაში

ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის მეოთხე ტირაჟის სატირაჟო კომისიის სახელზე ჭიათურის მაღაროების მუშებისაგან (12.000-დე მუშა) მიღებულია წერილი, რომელშიაც ისინი მოითხოვენ სატირაჟო კომისიაში შეყვანილი იქნეს მათი სამი წარმომადგენელი.

საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენლად ტირაჟზე დანიშნულია ამხ. გუსეინოვი

საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარ ამხ. ბრიუხანოვისაგან ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატმა მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოუცლელობის გამო საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარი ვერ დაესწრება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეოთხე ტირაჟს თბილისში და თავის წარმომადგენლად ნიშნავს ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარს ამხ. გუსეინოვს.

შუამავალთა ინსტიტუტი

სახელმწიფო ბანკის მასებთან დაახლოვების მიზნით, სახელმწიფო ბანკის ა. კ. კანტორა ახლო მომავალში წარმოება-დაწესებულებებში მოაწყობს შუამავალთა ინსტიტუტს. შუამავლებად არჩეული იქნებიან წარმოება-დაწესებულებების თანამშრომლები (თითო წარმოებაში თითო შუამავალი). მათ დაევალებათ ამ წარმოების მუშა-მოსამსახურეთა ყოველგვარი საფონდო ოპერაციების (ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება და სხ.) შესრულება.

მოხსენებები.

15 სექტემბრიდან მუშათა კლუბებში მოეწყობა მოხსენებები მომავალ ტირაჟის და საერთოდ სახელმწიფო სესხების შესახებ.

დამხმარე კომისიების კონფერენცია

16 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება სახელმწიფო სესხების დამხმარე კომისიების კონფერენცია, რომელზედაც მოსმენილი იქნება საინსტრუქციო მოხსენება სახელმწიფო სესხების და ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მეოთხე ტირაჟის შესახებ. დამხმარე კომისიებს ევალებათ თავის კოლექტივში გააკეთონ საინფორმაციო მოხსენებები ამავე საკითხებზე. ამიტომ კომისიების წევრები აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ კონფერენციაზე.

გლეხკორის დევნა

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დამტკიცებულად ჩასთვალა გლეხკორ **იაკიმიდის** დევნის ფაქტი. დევნას აწარმოებდნენ ახალქალაქის მაზრის, ბარალეთის თემის მუშაკნი: ს. კ. პ. (ბ) თემკომის მდივანი—**პოლოსიანი**, თემსაბჭოს ყოფილი მდივანი— ნაზარეთიანი, ბარალეთის რაიმილიციის უფროსი და თემაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად ახალქალაქის სამაზრო მილიციის უფროსი— **ფროიანი**. დევნა გამოიხატა იმაში, რომ გლეხკორი იაკიმიდი გამოძახებული იქნა თემკომში და რაიონულ მილიციაში, სადაც მას მუქარით წინადადება მისცეს თავი დაენებებია გაზეთებში წერისათვის, მოხსნეს იგი თანამდებობიდან ბარალეთში და გადაიყვანეს სოფ. ოკამში, რომელიც ბარალეთიდან 35 კილომეტრითაა დაშორებული. გადაყვანა მოხდა მიუხედავად იმისა, რომ იაკიმიდი თემის მიერ არჩეული იყო თემსაბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ.

ამის გამო საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაადგინა საქ. კ. პ. (ბ) ბარალეთის თემკომის მდივნის— **პოლოსიანის** და ახალქალაქის სამაზრო მილიციის უფროსის —**ფროიანის** მოქმედების საკითხი დასვას საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმზე სათანადო ზომების მისაღებად. თემსაბჭოს მდივანი—ნაზარეთიანი მოხსნილია თანამდებობიდან. ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ აღადგინოს თავის ძველ თანამდებობაზე გლეხკორი **იაკიმიდი**.

ახალწვეულთა და შვებულ წითელარმიელთა შეკავშირების საღამო

გუშინ საღამოს თბილისის წითელი არმიის ბაღში შესდგა 1907 წელში დაბადებულ ახალწვეულთა და 1905 წელში დაბადებულ უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთა შეკავშირების საღამო.

საზეიმო სხდომა გახსნა გაზ. „კრასნი ვოინი"-ს რედაქტორმა ამხ. ლევინმა, რომელმაც გამოაქვეყნა ალბულაღის ოლქის ახალწვეულთა მისალმების დეპეშა. დეპეშაში ნათქვამია, რომ ალბულაღის ახალწვეულები იქნებიან სამაგალითო მებრძოლები და მტკიცედ დაიცავენ ოქტომბრის მონაპოვარს.

ამხ. ავქსენტიევსკის სიტყვა

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა კავკ. წით.-დროშოვან არმიის სარდალი ამხ. ავქსენტიევსკი, რომელიც ახალწვეულებს და შვებულ წითელარმიელებს მიესალმა არმიის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს სახელით.

თავის სიტყვაში ამხ. ავქსენტიევსკი შეეხო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას და კერძოდ კონფლიქტს ჩინეთთან და სთქვა:

საბჭოთა კავშირი მუდამ მზად არის თავიდან აიცილოს კაცობრიობას ახალი სისხლის ღვრა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულხელდაკრეფილი უყურებთ ბანდიტების თარეშს. ჩვენ ყოველთვის, დაუღალავად ვადევნებთ თვალს მათ და საჭირო დროს მივიღებთ შესაფერ ზომებს.

დასასრულ ამხ. ავქსენტიევსკიმ დაუმარტა შვებულთ და ახალწვეულებს მათ წინაშე მდგომი ამოცანები და თავისი სიტყვა დაამთავრა მტკიცე იმედის გამოთქმით, რომ შვებულები იქნებიან სოფლად და წარმოებაში ცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნის საუკეთესო ორგანიზატორები, ხოლო ახალწვეულები კი სოციალისტური სამშობლოს მედგარი გუშაგები.

შემდეგ მისალმებებით გამოვიდნენ შვებული წითელარმიელები და ახალწვეულები. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

მეტი სიფრთხილე მუშათა ჯანმრთელობისადმი

დარიშხანი ფეხსაცმელების საღებავ ნივთიერებაში

საჭიროა მასალების ქიმიური ანალიზი მათ გამოყენებამდე წარმოებაშ

ტყავტრესტის ფეხსაცმელების ქარხანაში ქ. თბილისში ძირების შეღებვაზე და გაკრიალებაზე მომუშავეებმა ამ ბოლო ხანებში ცუდად იგრძნეს თავი. მათი დაკვირვებით, ეს უნდა ყოფილიყო ახალი საღებავების ხმარების შედეგი.

უკანასკნელ დროს ფეხსაცმელების ქარხანაში წინად ხმარებულ საღებავების მაგიერ მართლაც შემოიღეს ახალი საღებავები („რუსეტ ბრაუნ" და „რუსეტ"), ამ საღებავების გამოკვლევამ საქ. შრომის სახ. კომისარიატის შრომის ჰიგიენის ლაბორატორიაში აღმოაჩინა, რომ მათ შემადგენლობაში შედის დარიშხანა, რომელიც გაკრიალების დროს გამოყოფილ წვრილ მტვერის ნაწილაკების სახით შეიძლება შესუნთქული იქნეს და მავნედ იმოქმედოს მომუშავეთა ჯანმრთელობაზე.

საკრიალებელ მანქანის ნაწილებზე და ჰუშის ტახსაცმელზე დამჯდარ მტვერის გამოკვლევამ დარიშხანა მტვერის შემადგენლობაშიაც აღმოაჩინა. **დარიშხანა კი წარმოადგენს მეტად ძლიერ საწამლავს.**

ამის გამო ხსენებულ საღებავების ხმარება აკრძალულ იქნა.

ამგვარ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად საჭიროა წარმოებებმა წინასწარ გამოიკვლიონ ყველა სახმარი მასალები, რო მიზანშეწონილი იქნებოდა, რასაკვი ლია, რომ ასეთ საღებავებს და სხვა მოო მასალებს, რომლებიც შეიცავენ ჯა რთელობისთვის მავნე ნივთიერებას, ლიად არ ამზადებდნენ და არ უშვებ გასაყიდათ, გარდა ისეთ შემთხვევებისა, დესაც საწარმოო პირობების გამო ასეთ ვნე ნივთიერებების შეცვლა შეუძლებ

უკანასკნელი ძალიან იშვიათ შემთხვ გში უკვე საჭირო ხდება თვით წარმო ში მუშაობის დროს ყოველგვარ დამ ზომების მიღება.

როგორც ამ მაგალითიდან სჩანს, სამ ნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელიც ტ დება საქ. შრომის სახკომის შრომის ჰიგიე ლაბორატორიაში, მეტად მნიშვნელოვ საწარმოო პირობების მავნე გავლენის ზების გამოძებნების და ყოველგვარი მაფრთხილებელ და დამცველ საშუალებ დამუშავების თვალსაზრისით.

ამ საქმის მნიშვნელობა კი მრეწველობ განვითარების და მუშათა ჯანმრთელობ დაცვისათვის ხომ თავის თავად აშკარაა.

პროფჰიგიენისტი.

პროფესიონალური ეკზემით დაავადება ლიტოგრაფიის მუშებს შორის

ბოლო ხანებში პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიაში (ბროსეს ქ., № 2), მუშებს შორის, რომლებიც მუშაობდნენ საბეჭდ და გადასაღებ განყოფილებებში, შემჩნეულ იქნა ერთ და იმავე ხასიათის ხელების დაზიანება: მომუშავეებს ავადმყოფი კანი უწითლდებოდა, შემდეგ ხდებოდა კანის შეშუპება; სჩიოდნენ წვასა და ქავილზე. ამის გამო ბევრ მათგანს აღარ შეეძლო მუშაობის გაგრძელება. ეს დაზიანება ზოგიერთ შემთხვევაში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ საჭირო შეიქნა ამ მუშების სრულიად განთავისუფლება სამუშაოდან. ზოგიერთი მათგანი საექსპერტო კომისიამ ინვალიდებშიც კი გადარიცხა. ამ გარემოებამ მიიქცია ყურადღება პროფესიონალურ დაავადებათა ინსტიტუტმა და შეუდგა ლიტოგრაფიის მუშების შრომის პირობების გამოკვლევას. გამოკვლევა ჯერ დამთავრებული არ არის, მაგრამ მისი წინასწარი შედეგებიდან სჩანს, რომ დაავადებულთა რიცხვი საკმაოდ დიდია (უდრის მუშების 28.6 პროც.), იმ განყოფილებებში, სადაც ხსენებული პროფესიონალ. დაავადება აღმოჩნდა, მუშაობის დროს ხმარობენ აზოტის მჟავას, მაგრამ აღსანიშნავია, რომ აზოტის მჟავათი უწინაც მუშაობდენ, მაგრამ ასეთ შემთხვევებს ად ლი არ ჰქონდა, ამიტომ შრომის ჰიგი ლაბორატორიას გადაეცა ყველა ნივ მათი სიწმინდის გამოსაკვლევად. გამოკვლ ვა ჯერ არ არის სავსებით დამთავრებ მაგრამ უკვე გამოირკვა ფრიად საგულ გარემოება; ამჟამად ლიტოგრაფიაში რებული აზოტის სიმჟავე არ არის სუფ იგი, სხვათა შორის, შეიცავს ნიტრო- ზოლებს, გოგირდ-მჟავა და აზოტის ქვ გებს, რომლებიც უმთავრესად წარმოა ნენ დაავადების მიზეზს, ამისდამიხედვით შრომის დაცვის განყოფილებამ, რომ უკვე აქვს აღნიშნული ცნობები, ტრესტ ცა მთელი რიგი მითითებანი: ლიტოგ ფიამ უნდა იხმაროს მხოლოდ წმინდა აზ ტი, რომელიც ხმარების წინ საჭიროა შ წმენდილი იქნეს (სიწმინდის დადასტურ მიზნით).

გარდა ამისა, საჭიროა, რომ ლიტოგრაფ ში, მომუშავენი ხმარობდნენ რეზინის ხე თათმანებს; მუშაობის დროს ხელი უნდა ხშ რად იბანონ წმინდა წყლით; დაავადებუ მუშები უნდა გაიგზავნონ სისტემატ მკურნალობისათვის ინსტიტუტში კანის და ავადებათა სპეციალისტთან.

ორშაბათს, 16 სექტემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე მბეჭდავთა კლუბში (კომინტერნის ქ. № 5) გაგრძელდება

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი

უჯრედების სააგიტ.-საპროპ. კომისიების, სკოლის დამხმარე საბჭოების ფრაქციების თავმჯდომარეებსა და ქალაქის რაიონის პედაგოგ-კომუნისტებთან ერთად.

დღის წესრიგში: სახალხო განათლების თბილისის განყოფილების მოხსენება—სასწავლო წლის შედეგებისა და სახალხო განათლების პერსპექტივების შესახებ.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი—**ლომიძე.**

ოთხშაბათს, 18 სექტემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება

საბჭოთა უჯრედების ბიუროების კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა აპარატის წმენდა და ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ (გ. დევდარიანი).
2. საბჭოთა უჯრედების მუშაობის მორიგი ამოცანები (ბ. შოგირაძე).

აუცილებელია საბჭოთა უჯრედების ბიუროების ყველა წევრთა დასწრება დაუგვიანებლად.

შემოდგომის თესვა

დავრაზმოთ გლეხობა სასოფლო-მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხების გარშემო

თესვის კამპანია გამოვიყენოთ გლეხობაში სას.-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად, მისთვის მეურნეობის კულტურულად გაძღოლის შესათვისებლად, კოლმეურნეობათა მშენებლობის გასაძლიერებლად და მსხვილი სამანქანო სადგურების შესაქმნელად

მოსამზადებელი მუშაობა სუსტად ჩატარდა

სოფლის მეურნეობაში უდიდესი რევოლიუცია ხდება. სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, მისი კოლექტიური ნიადაგზე გადაყვანა, მეურნეობის მექანიზაცია და ამ გზით მოსავლიანობის აწევა იმ დონემდე, როგორც ამას ითვალისწინებს ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა, აი საერთოდ ის ამოცანები, რომელთა გადაჭრაში მუშაობს დღეს მუშურ-გლეხური სახელმწიფო და მთელი მშრომელი მასა. უდაოა, რომ ამოცანა არამც თუ შესრულებული იქნება ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული რაოდენობის 100 პროცენტით, არამედ გადაჭარბებითაც კი. ამის დამამტკიცებელი განვლილი მუშაობის ფაქტები ჩვენ ხელთ არის.

ავიღოთ, მაგ., ჩაის კულტურა. გეგმის პირველი ვარიანტი ითვალისწინებდა საქართველოში ჩაის კულტურის გაშენებას 20.000 ჰექტარზე, შემდეგ სინამდვილემ დაგვანახა, რომ აღებული ტემპი არ იყო საკმარისი და ის შეიცვალა 40.000 ჰექტარით. უკვე დადასტურებულია, რომ მეორე ვარიანტით აღებული რაოდენობა გადაჭარბებით იქნება შესრულებული. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს თითქმის სხვა კულტურების მიმართაც. რაც შეეხება მარცვლეულის სივრცის გადიდებას და მოსავლიანობის აწევას, ამ მხრივაც დასახული გეგმა მტკიცედ იქნება შესრულებული.

ჩვენს განკარგულებაში უკვე გადმოდის დიდი რაოდენობით მელიორაციის საშუალებით მომზადებული — წარსულში უვარგისი მიწები; ყოველ-წლიურად ასეთი მიწები უფრო მეტი და მეტი მოგვემატება. ძიწის კავის მაგიერ სოფელში მასიურად შედის იარაღ-მანქანები და ტრაქტორები, მთელი რიგი ღონისძიებები — აგრო-მინიმუმის სავალდებულოდ შემოღება, თესლის შერჩევა და, რაც უმთავრესია, დაქუცმაცებული ინდივიდუალური მეურნეობიდან კოლექტიურად მიწის დამუშავებაზე გადასვლა — ყველაფერი ეს იძლევა სრულ გარანტიას, რომ გადაჭარბებით შევასრულებთ სასოფლო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის უდიდეს პროგრამას.

რასაკვირველია, როდესაც ასეთ გრანდიოზულ მშენებლობას ვეწევით, ვიცით, რომ მომზადებული სრული 100 პროცენტით არა ვართ, რომ ჩვენს მუშაობას მრავალი დეფექტები ახლავს თან. საჭიროა ისეთი საშუალებების და მეთოდების გამონახვა, რაც შეიძლება მოკლე დროში ისეთი პირობების შექმნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას ნაკლები დაბრკოლებები ეღობებოდეს წინ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თესვის კამპანიების წარმატებით ჩატარებას. ამიტომ ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანს შეადგენს მას ყოველმხრივ შეუწყოთ ხელი. საჭიროა შევამოწმოთ მიმდინარე თესვის კამპანია, გამოვაშკარავოთ არსებული ნაკლოვანებანი და გადამჭრელი ზომები მივიღოთ მათ აღმოსაფხვრელად.

პირველ ყოვლისა, დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ ორგანიზაციების, როგორც ცენტრალურის, ისე ადგილობრივის, მუშაობის პრაქტიკა, როცა თესვის კამპანია იწყება თუ არა, ისინიც ფაცურდებიან და მხოლოდ მაშინ ახსენდებათ ყველაფერი, რაც საჭიროა თესვისათვის. გათავდება თუ არა თესვის კამპანია, ერთგვარი დასვენების პერიოდი დგება მათთვისაც და სოფლის მეურნეობის საკითხები თითქო მივიწყებას ეძლევიან. ასეთი მოვლენა, ვიმეორებთ, შეუწყნარებელია და ლაპარაკი იმაზე, რომ ყველაფრის გაკეთება შეიძლება თესვის კამპანიის დროს, უდიდესი შეცდომაა. საკითხისადმი ასეთ მიდგომას გამოუსწორებელი ვნება მოაქვს. სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენს წინაშე დასმული ამოცანები, რომ გადაიჭრას, აუცილებელია ამაზე განუწყვეტლივ ზრუნვა და ყოველგვარ საშუალების მაქსიმალურად გამოყენება. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში სულ სხვას ვხედავთ. ჩვენ მოუმზადებლად ვიწყებთ თესვის კამპანიას და ვერ ვახერხებთ იმ რესურსების სათანადოდ გამოყენებასაც, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია. აი ამის დამადასტურებელი ფაქტებიც:

ჩვენში სხვადასხვა რაიონებში 300 ტრაქტორზე მეტი არის, ბევრი მათგანი საჭიროებს შეკეთებას, მაგრამ ამაზე მხოლოდ ზრუნავს ის, ვისაც ეს ევალება. სათადარიგო ნაწილები ტრაქტორებისათვის და სხვა მანქანებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ასეთები კი ძალიან ნაკლებათ მოიძებნება ყველა რაიონში. რომ ყოფილიყო დროზე შემოზიდული საჭირო ნაწილები და აქაც ჩვენს სახელოსნოებს დაემზადებინათ ასეთები, ამაზე „სოფლის კავშირი" დღეს ზრუნავს, თუმცა სახელოსნოების გასახსნელად საჭირო სახსრები გაღებულია, „სოფლის კავშირი" ჯერ იმის ფიქრშია, თუ სად მოეწყოს ეს სახელოსნოები. არ ვიცი, როდის შეუდგებიან ამ საკითხის მოგვარებას.

ყველასათვის გასაგებია, რომ ტრაქტორებს და მანქანებს ესაჭიროებათ არა წყალი, არამედ ნავთი და ზეთი, რა მდგომარეობაშია ამ მხრივ ჩვენი ტრაქტორები და მანქანები? — მეტის-მეტად ცუდ მდგომარეობაში. **ცეკავშირი მხოლოდ დღეს ფიქრობს ცისტერნები იშოვოს და საწვავი მასალა მიაწოდოს ადგილებს, თესვა კი ყველგან დაწყებულია.**

იარაღ-მანქანები შეზიდულია სოფელში გეგმის მინიმალური პროცენტით დანარჩენი მოდის. მაგრამ როდის მიიღებს მთესველი, ეს გამოურკვეველია.

საკმარისია ეს მაგალითები, რომ დავასკვნათ. ბევრი ჩვენი ორგანიზაცია მოუმზადებლად შეხვდა თესვის კამპანიას. მოსამზადებელი მუშაობის წარმოება თვით თესვის დროს დაუშვებელია და ის მთელს გეგმას არღვევს. თესვის კომისიები ამ შემთხვევაში უძლურნი არიან, თუ გინდ ჩვენ მათ უფართოესი უფლებები მივანიჭოთ თუ თესვის კამპანიას სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა არ უდევს საფუძვლად, სურათი ყოველთვის ასეთი გვექნება, როგორც დღეს გვაქვს წარსულშიაც ჰქონდა ადგილი. ამიტომ კამპანიიდან კამპანიამდე საქმის მივიწყებას კი არ უნდა ჰქონდეს ადგილი, არამედ სისტემატიურ მუშაობას იმაზე, თუ როგორ დავძლიოთ ის ამოცანები, რომელნიც დასმულია დღეს სოფლის მეურნეობის წინაშე.

მეორე საკითხი. მუშა-საქონლის დეფიციტის შენელების შესახებ მოუწესრიგებელია. სახელმწიფო საკრედიტო ორგანიზაციებს აძლევს განსაზღვრულ თანხას სოფლის მეურნეობისათვის (მიმდინარე თესვის კამპანიისათვის გახსნილი კრედიტები ჯერაც არ მიუღიათ ადგილებს), რომ შეძენილ იქნას მუშა-საქონელი. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა სურათია. გაცემული თანხით მუშა-საქონელს იძენს მეურნე ადგილობრივ ბაზარზე, ასე რომ მუშა-საქონელი ერთი მეურნის ხელიდან მეორეზე გადადის, დეფიციტი კი რჩება უცვლელად. საკითხის ასე დატოვება შემდეგისათვის შეუძლებელია. სახელმწიფო, როდესაც სახსრებს აბანდებს საზიდავ საშუალებათა გასაძლიერებლად, ფიქრობს, ამით დეფიციტი მოსპოს და არა ერთისაგან იყიდოს და მეორეს სესხად მისცეს. აქ შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ ვითომ ჩვენ კულაკისაგან ვყიდულობდეთ საქონელს და მას ვაძლევდეთ ღარიბს. —სწორია, რომ შეძენილ მუშა-საქონელს ვაძლევთ უმთავრესად ღარიბებს და კოლექტივებს, მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომ საქონელს ჰყიდდეს კულაკი, შემცდარი იქნებოდა. მუშა-საქონელს ყიდის უმთავრესად საშუალო გლეხი, რომელიც გაყიდვის შემდეგ თვითონ განიცდის გაჭირვებას. ადგილობრივი ბაზრის გარეშე საქონლის შეძენა ძნელია, ვინაიდან რუსეთიდან შემოყვანილი საქონელი იშვიათად გამოდგება ჩვენში, და შემდეგ—არც იქ არის ზედმეტი საღი და მუშაობისათვის ვარგისი საქონელი. მეჯოგეობა საკმარისი რაოდენობით არაა ჯერ გავრცელებული.

საჭიროა ამ საკითხის ყოველმხრივ შესწავლა. მიღებულ უნდა იქნას ყოველგვარი საშუალება, რომ საქონლის დეფიციტი მინიმუმამდე დავიყვანოთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშა-ცხენის გაშენებას, როგორც ამას მოითხოვს საქ. კომ. პარტიის უკანასკნელი ყრილობის რეზოლიუცია.

რაც შეეხება სათესლე მასალის მიწოდებას, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჯერ-ჯერობით არც სახელმწიფოს და არც საზოგადო ორგანიზაციების განკარგულებაში თესლი არ მოიპოვება. რასაც სახელმწიფო სესხად აწვდის მთესველებს, განსაკუთრებით ღარიბებს და კოლექტივებს, ეს არაა სათესლე მასალა, ეს არის სამომხმარებლო, მაგრამ სამაგიეროდ თვითეული მეურნე და კოლექტივი, მიიღებს თუ არა ის სახელმწიფოსაგან ხორბალს სესხად, ვალდებულია თვითონ იზრუნოს ვარგისი თესლის შოვნაზე. ამ საკითხს რეალურად ჭრის ამ დღეებში უმაღლეს ორგანოების მიერ მიღებული დადგენილება — თესლის ფონდის შექმნის შესახებ.

მიმდინარე თესვის კამპანიის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დღემდე ვერ მოხერხდა კომისიის განკარგულებაში მყოფ სათესლეს მაგიერ მარცვლეულის დარიგება მთესველებზე. ამასთან, ნაკლად უნდა ჩაეთვალოს მიწსახკომის საცდელ ორგანიზაციებს, ის გარემოება, რომ ისინი უძლური არიან კატეგორიული პასუხი გასცენ საკითხს, თუ რამდენად კლიმატიური თვალსაზრისით ჩრდილოეთ კავკასიიდან მისაღები ჭვავი გამოსადეგია, როგორც სათესლე მასალა დასავლეთ საქართველოში.

სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი ტემპი ითხოვს, რომ საფუძვლად დაედოს მეცნიერების მიღწევები - დაკვირვებები, ცდები. მაგრამ ამისათვის ჩვენი მეცნიერები, დაწესებულებები, სამწუხაროდ, საკმარისად ვერ არიან მომზადებული, ამიტომ უახლოეს ამოცანას შეადგენს ეს ნაკლი დაძლეული იქნას.

ყოველივე თქმული უდაოდ ადასტურებს, რომ, როგორც წარსულ, ისე მიმდინარე თესვის კამპანიას ბევრი ნაკლი აქვს. რაც გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა სუსტათ იყო წარმოებული.

ჩვენს წინაშე მდგარ უდიდესი ამოცანების შესრულებას ესაჭიროება სისტემატიური, თავ-დადებული მუშაობა, მაშინ უსათუოდ შედეგებიც უფრო ნაყოფიერი იქნება ისეთი დიდმნიშვნელოვანი კამპანიის დროს, როგორიცაა თესვის კამპანია. ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსავწოროთ და მივიღოთ ზომები, რომ შემდეგში ასეთი რამ არ განმეორდეს.

ა. კაჭარავა.

როგორი არ უნდა იყოს ხელმძღვანელობა

(წერილი ზუგდიდიდან)

ზუგდიდის მაზრის მშრომელ გლეხობას განსაკუთრებული გამოცდები დაიჭირა წელს მოსავლიანობის გადიდების მიზნით თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში.

ზუგდიდის სამაზრო ხელისუფლებამ ადრევე დაამუშავა ცეკას დირექტივა ამ მნიშვნელოვან საკითხის შესახებ და თავის დროზე დაუგზავნა სათემო, სასოფლო საბჭოებს, პარტიის და კომკავშირის უჯრედებს და ყველა სახელმწიფო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამ დირექტივების ცხოვრებაში გასატარებლად მშრომელ გლეხობაში. ადგილებზე კარგათ შეხვდნენ ამ მოწოდებებს და გლეხობა უცვლელად ატარებდა ცხოვრებაში ხელისუფლების გეგმებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სოფლის ბობოლა კულაკების პროვოკაციას თესვის კამპანიის წინააღმდეგ. გლეხობამ მარტიდან უკვე დაიწყო თესვა როგორც ამის შესახებ სამაზრო ხელისუფლება მოუწოდებდა, რადგან დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით ზუგდიდის მაზრაში მაისი და ივნისი გვალვის თვეებია.

15 მარტიდან 15—16 აპრილამდე მაზრაში დაითესა რამოდენიმე ასეული ჰექტარი მიწა, ხოლო ზოგიერთებმა უცადეს მაისს 17—18 და 19 აპრილს მოვიდა თოვლი და დაიჭირა ყინვები, რომელმაც ძლიერ შეუშალა ხელი თესვის კამპანიის მიმდინარეობას. 27—28 აპრილიდან დაიწყო გვალვები და ერთი კვირის განმავლობაში გვალვამ შეაჩერა ხვნა-თესვა, რომელმაც თვე ნახევარი გასტანა და შეჩერდა მთელი სახნავი მიწების დამუშავება. ისმის საკითხი: ვინ მოიგო, ვინც ადრევე დათესა, თუ ვინც მაისს თვეს უყურებდა? რა თქმა უნდა ვინც ადრევე გამოეხმაურა ხელისუფლების მოწოდებას და ადრევე დაიწყო თესვა. მარტ-აპრილის ნათესებმა უნაყოფოთ არ ჩაიარა, ჭან თავი არ დაიკარგა, მიუხედავათ იმისა, რომ თოვლი, ყინვები და შემდეგ გვალვა განიცადა, მაგრამ 11 ივნისიდან 14 ივნისამდე მაზრაში მოსულ წვიმებმა საგრძნობლად გააუმჯობესა ნათესების მდგომარეობა. მხოლოდ დაუთესავი დავვრჩა თითქმის გეგმაში აღნიშნულის 50 პროც. ამით გლეხობამ დიდი გამოცდა დაიჭირა და 100 პროც. დარწმუნდა, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გეგმიან დირექტივებით შესძლებენ ისინი გადალახონ ყოველგვარი ასეთი სიძნელენი.

ასეთი გამოცდილებით დარწმუნებული გლეხობა რა თქმა უნდა ხალისით ეგებებიან ხელისუფლების მოწოდებებს და შემოდგომის თესვისათვის სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. გლეხობა დაინტერესებულია, რომ შემოდგომის თესვის კამპანიის მიმდინარეობაში 100 პროც. შეასრულონ ხელისუფლების გეგმები და ამით შეამსუბუქონ მიმდინარე წლის მოუსავლიანობა. მაგრამ სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ არა ვართ საამისოთ სავსებით მომზადებული.

საშემოდგომო თესვისათვის ჭვავის თესლი მეოთხედადაც არ გვყოფნის, რასაც ეხლავე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ზუგდიდის მაზრაში, სადაც პირველი ადგილი უჭირავს და საუკეთესოთ ხარობს ჩაის, თამბაქოს, მევენახეობის, კენაფის, მანდარინის და ხორბლეულობის კულტურები, ამასთან ერთად ორი წლის განმავლობაში ჩამოყალიბებულია 169 ისეთი კოლექტივი და ჯგუფური განაერთი, სადაც ზოგიერთ თემებში თითქმის მოსახლეობის 35—40 პრ. გლეხობაა გაერთიანებული, ასეთ მაზრას ტრაქტორის რიცხვი სულ მცირე ყავს და თუ ყავს ისიც უვარგისი. ამ საკითხის შესახებ მე მინდა მოვიყვანო ორი მაგალითი, რასაც სჩადიან ზოგიერთი ცენტრალურ სამეურნეო ორგანოების ქვედა აპარატში მოკალათებული ბიუროკრატები. აი მაგალითიც: ახალ-ხიბულის რაიონის სას.-სამ. საკ. ამხანაგობამ მარტში ცენტრიდან გამოგზავნილი ტრაქტორის ნაწილი მიიღო, ხოლო ერთი თვის შემდეგ ახალ-ხიბულაში გამოგზავნილ ტრაქტორის ბორბლები მიიღო ხობის საკრედიტო ამხანაგობამ. მარტის ბოლო რიცხვებში დარჩელის რაიონმა მიიღო ტრაქტორის ნაწილი, ხოლო 15 მაისს ტრაქტორის ბორბლების ნაცვლად ველოსიპედის ბორბლები მიიღეს. განა შეიძლება აქ ტრაქტორის გამოყენება? რა თქმა უნდა არა. რა არის ეს? ეს არის აშკარა ბოროტმოქმედება და ალბათ პასუხიც მოეთხოვება ასეთ ბიუროკრატებს.

აგრო. დახმარების საკითხი

აგრონომები მაზრას არა ყავს საკმარისი, ხოლო ცენტრიდან გზავნიან სპეციალურ ინსტრუქტორებს მაზრის ყველა კუთხეებში მდგომარეობის გამოსარკვევად, რომლებმაც რაიმე უნდა შეასწავლონ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს, მაგრამ მათი იმედით ჩვენ შორს ვერ წავალთ. ცენტრი გზავნის ინსტრუქტორებს, და აძლევს მათ ხელფასს და სამივლინებოს, იმიტომ, რომ რაიმე ნაყოფი მოიტანონ, მაგრამ ისინი ჩამოდიან ძველი ჩინოვნიკივით, ,თუ იკადრეს და მიიდნენ რომელიმე თემში, ისეთ მკაცრ შეკითხვებს აძლევენ ადგილობრივ ამხანაგებს, რომ ის შიშით დაიბნევა და რაც გაკეთებული არის იმაზედაც ვერ უპასუხებს ხეირიანათ. ამის შემდეგ ინსტრუქტორები საჩქაროთ ბრუნდებიან ისევ ცენტრში, მიუხედავათ იმისა, რომ ცოტა ხანი ჩაჯდენ იქ და შეასწავლონ რაიმე ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ისინი გამოდიან ცენტრში და სტოლუმბაზე სტყუებით აკეთებენ მოხსენებას. აი ამ მაზრაში, ან რაიონში არაფერი გაკეთებულა, ხოლო თვით რა გააკეთეს, ამის შესახებ სდუმან.

მაგალითისათვის მომყავს ერთი შემთხვევა, თუმცა ასეთები ხშირია: „სოფლის კავშირის" ინსტრუქტორი ვ. კვირკველია მივლინებული იყო ზუგდიდის მაზრაში, მაგრამ გარდა ქ. ზუგდიდისა მას არც ერთი რაიონი არ იცნობს. კვირკველიას თურმე ქ. ფოთში ჰყავდა ახლად დანიშნული საცოლე. ის წამოვიდოდა თბილისიდან, აიღებდა ერთი თვის ხელფასს მივლინებისას და ჩამოვიდოდა ფოთში თავის საცოლესთან, აქ ირთობდა თავს 15—20 დღე და შემდეგ წამოვა ზუგდიდში, გაიარ-გამოიარს ქალაქში, ბრუნდება ისევ ფოთში და შემდეგ თბილისში ადგენს „სოფლის კავშირში" საგზაო ხარჯებს და მივლინებებს, ვითომ ერთი თვე ზუგდიდში და მის რაიონებში მუშაობდა.

კვირკველიას გამოუძახეს პარტკომში და დაავალეს მოხსენების გაკეთება მისი მუშაობის გარშემო, მაგრამ მას ისედაც არ დაუთვალიერებია რაიონები და რა მოხსენება უნდა გაეკეთებინა?

აი უმთავრესად, რაც ხელს უშლის ჩვენ საქმიან აღმშენებლობას, რასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება და უნდა გაიწმინდოს არა საიმედო ელემენტები, რომელნიც დახმარების ნაცვლად ხელს გვიშლიან ჩვენს მუშაობაში.

ა. კოდუა.

ენერგიულად ვემზადოთ შემოდგომის თესვისათვის

(მარტყოფის თემი, თბილისის ოლქი)

მარტყოფის თემში მშრომელი გლეხობა დაუღალავი ენერგიით შეუდგა საშემოდგომო ხნულების დამზადებას და გაფართოებას წრევანდელ კარგ მოსავალმა წაახალისა [illegible] მოსახლეობა. წახალისებული გლეხობა ლამობს მიწის ახალი წესით დამუშავებას, არ რჩება არც ერთი ნაკვეთი მიწა, რომელიც კი მოსავლისათვის გამოსადეგია. ის რიცხვი, რომელიც მარტყოფის თემის მოსახლეობას უნდა მოეხნა. (წარსულ წელთან შედარებით 10 პროცენტით მეტი), საერთო გეგმას გადააჭარბა 15 პროცენტით. მშრომელი გლეხობა გასულია ბარით და ურაქვით ხნულების დასამზადებლად ისეთ ადგილებშიც, სადაც ვერ უდგება გუთანი,

საერთოდ გლეხობას გადაწყვეტილი აქვს არ დატოვოს დაუთესავი არც ერთი ნაკვეთი მიწა.

ალ. მ—ლი.

ამხ. რუძუტაკი ქუთაისში

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 14 სექტემბერი. დღეს სვანეთიდან ქუთაისში ჩამოვიდა გზათა მიმოსვლის სახ. კომისარი ამხ. რუძუტაკი, რომელმაც დაათვალიერა რიონჰესის საშუშაოები და აგარაკი წყალტუბო.

ამხ. რუძუტაკს საჩივრით მიმართა ბაღდათის გლეხობამ. გლეხები ჩივიან, რომ ბაღდათის თემის 11 სოფლის მოსახლეობის თხოვნა ზეკარის გზაზე მდ. ყვირილაზე ხიდის აგების შესახებ, უშედეგოთ რჩება, ხიდის პროექტი 2 ნახევარ წელიწადია უძრავად ძევს საქართველოს, ამიერ-კავკასიის და საკავშირო გზატკეცილთა სამმართველოებში.

უხიდობის გამო მთელი რაიონი მოწყვეტილია სამრეწველო და კულტურულ ცენტრს.

გლეხობამ სთხოვა ამხ. რუძუტაკს უშუალოდ ჩაერიოს ამ საკითხის მოგვარებაში და დააჩქაროს ხიდის გეგმის საქმე.

ამხ. რუძუტაკი ძალიან დაინტერესდა ინჟ. **ფოლდტის** პროექტით ჭიათურიდან ახალსენაკამდე ფართოლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანის შესახებ. ეს რკინისგზა ჭიათურიდან გადმოვა ოჯალეთზე, გაივლის ქუთაისზე, ჩაუვლის წყალტუბოს, ხონს და აგრეთვე ძევრსა და ჩხარს, სადაც მარგანეცის ახალი ბუდობებია აღმოჩენილი. გზა ჭიათურიდან ფოთამდე მოკლდება 34 კილომეტრით. ამჟამად ინჟ. ფოლდტი იმყოფება ქუთაისში და ადგილობრივ ეცნობა იმ რაიონებს, სადაც უნდა გაიაროს ამ გზამ, რის შემდეგ ქუთაისის საოლქო აღმასკომი ვრცელ და დასაბუთებულ მოხსენებას გაუკეთებს ამხ. რუძუტაკს.

რამდენიმე შეკითხვა სახელგამს და განსახკომს

ჩვენი პრესა არა ერთხელ შეხებია კლასიკური მწერლობის გამოცემის საკითხს. გაზ. „კომუნისტში", „ახ. კომუნისტში", „ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში", „მნათობში" და სხვაგან რამოდენიმეხელ დაიბეჭდა წერილები, სადაც ავტორები ამ სფეროში კატასტროფიული მდგომარეობის შესახებ მიუთითებდენ სახელმწიფო ორგანოებს.

მაგრამ სახელგამი და განსახკომის სათანადო ორგანოები, როგორც სჩანს, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საკითხს.

კულტურულ რევოლიუციის პერიოდში გაიზარდა მშრომელი მასების ინტერესი საერთოდ ლიტერატურისა და კერძოთ კლასიკური ლიტერატურისადმი. ეგ. ნინოშვილის კიდევ ორი გამოცემა რომ გამოსულიყო —უეჭველად გავრცელდებოდა.

მეორე მხრივ, ჩვენი მრავალრიცხოვანი სასწავლებლები ყოველწლიურად მოითხოვენ კლასიკური მწერლების წიგნების დიდ რაოდენობას.

კლასიკურ მწერლობაზე ასეთი დიდი მოთხოვნილების დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე და ენერგია, რომ მკითხველს თავის დროზე მივაწოდოთ საჭირო გამოცემები, მაგრამ საქმე მხოლოდ იმაში არ არის. ამას გარდა **საჭიროა მათი ისე გამოცემა, როგორც ჩვენი ეპოქის იდეურ მოთხოვნილებებს შეეფერება.**

მოკლედ რომ ვსთქვათ, საჭიროა კლასიკური ლიტერატურის კომუნისტური თვალსაზრისით შერჩევა და ასეთივე კომუნისტური კომენტარიებით გამოცემა.

ვხედავთ თუ არა რაიმე ამის მსგავსს სინამდვილეში?

არა! საქმე ამ მხრივ გაყინვის წერტილზეა, თუმცა სახელგამს შეუძლია გვიპასუხოს, რომ მან ამდენი და ამდენი კლასიკური მწერლების ნაწარმოები გამოსცა.

მაგრამ გამოიცა კი იმდენი, რამდენიც საჭირო და შესაძლებელი იყო ან და ისე, როგორც საჭირო იყო? არა!

ისეთი დიდი და სადაო მწერლის ნაწარმოებთა სრული კრებული როგორიცაა ილ. ჭავჭავაძე — გამოიცა კერძო გამომცემლების („ქართული წიგნი"-ს) მიერ. ორბელიანიც მათ გამოსცეს. აროდაზიანი. აგრეთვე კერძო ორგანიზაციამ გამოსცა. საერთოდ პირველი ნაკლი აქ ის არის, რომ კლასიკოსების გამოცემა კერძოების ხელშია. მაგრამ მეორე და მთავარი შეცდომა ის არის, რომ არც ერთ ამ გამოცემათაგანს მარქსისტული კომენტარიები და წინასიტყვაობანი არ აქვს დართული.

რა საჭიროა იმაზე ლაპარაკი აქ, რომ სულ სხვა შთაბეჭდილებას და გავლენას ახდენს მკითხველზე ჩვენი კომენტარიებით გამოსული კლასიკური ნაწარმოები. ყოველი კლასიკოსის იდეათა მარაგი თავისებურია და მრავალი მათგანი პირდაპირ მავნეც. კომუნისტურად განიარაღებული და შესწავლილი კლასიკოსი სულ სხვა ეფექტს ახდენს. ამიტომ დიდი გაკვირვება უნდა გამოვსთქვათ, როცა **არამც თუ კერძო** გამოცემებში, არამედ სახელმწიფო გამოცემების წინასიტყვაობებს ისეთი „მარქსისტები" სწერენ, როგორიცაა ტ. ტაბიძე, ვ. კოტეტიშვილი, ალ. აბაშელი, გ. ქიქოძე და სხვ. (იხ. აკ. წერეთლის, ლომაურის, ვ. ფშაველას და სხვათა გამოცემები):

სახელგამს შეუძლია გვიპასუხოს რომ ყოველივე ეს წარსულში იყო.

თუ ყოველივე ეს მხოლოდ წარსულში იყო, მაშინ რა ზომებია მიღებული აწმყოსა და მომავლისათვის?

ჩვენ ვეკითხებით სახელგამს და განსახკომს:

პირველი: არის თუ არა დასმული და გადაჭრილი კლასიკოსების გამოცემის სახელმწიფოს ხელში მონოპოლიზაციის საკითხი. ჩვენი ცნობების თანახმად, ეხლაც კი, ისეთი საინტერესო და ქართული ინტელიგენციის მიერ ათვალისწინებული კლასიკოსის ნაწერები, როგორიცაა გიორგი წერეთელი, იბეჭდება და იცემა „ქართული წიგნის" მიერ. ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია და არ უნდა განმეორდეს.

მეორე: მიღებული აქვს თუ არა სახელგამს, რაიმე ზომები მომავლისთვის, რათა შეიქმნეს სახელგამთან კლასიკური მწერლობის მარქსისტულ კომენტატორების კადრი?

მესამე: მიიღო თუ არა განსახკომმა რაიმე სერიოზული ზომები იმისათვის, რათა ბოლოს და ბოლოს სკოლებისთვის შექმნილ ყოფილიყო მთლიანი მარქსისტული სახელმძღვანელო ლიტერატურის შესასწავლად.

მეოთხე: რატომ არ არის განსახკომის მიერ სკოლების სასწავლო პროგრამაში შეტანილი თანამედროვე პროლეტარული მწერლები და ჰფიქრობს თუ არა მეთოდბიურო რაიმე სახელმძღვანელოს შემუშავებას ამ დარგში? მხოლოდ კლასიკოსების შესწავლა სკოლებში არ არის საკმარისი, მით უმეტეს ისეთ პირობებში, როგორიც ეხლაა.

და ბოლოს, **მეხუთე: ჰფიქრობს, თუ არა სახელგამი გამოსცეს ძველი და ახალი მწერლობის სრული, კარგი და სათანადო კომენტარიებით აღჭურვილი ანთოლოგია.** ამ სფეროშიაც ხომ კერძო პირმა (ია ეკალაძემ) დაასწრო ჩვენ სახელგამს, ისე, როგორც ილია ჭავჭავაძის გამოცემის საკითხში. ია ეკალაძის ანთოლოგიას ჩვენი, მეცნიერულად შედგენილი, ანთოლოგია უნდა დაუპირისპირდეს.

ყველა ამ საკითხებზე ველით სახელგამის და განსახკომის პასუხს.

პლ. ქიქოძე.

სახელოვან ალპინისტის ხსოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ს. ჯაფარიძე

მთასვლელობის, კლდოვან ორწოხების და ყინულოვან ლაბირინტების იშვიათი ოსტატი, საუკეთესო ამხანაგი, თავისი საყვარელი საქმის დაუღალავი ერთგული მუშაკი— აი ვინ იყო **სიმონ ჯაფარიძე.**

სიმონის მოღვაწეობა ალპინისტურ ასპარეზზე სავსებით დამახასიათებელია მისი იშვიათი პიროვნებისათვის. 5 წელი ისეთი ახალი საქმისათვის, როგორიც არის მთასვლელობა, უმნიშვნელო ხანია. აი ამ მცირე ხნის განმავლობაში თავისი უშუალო მოწოდებასთან—უმაღლეს ტექნიკურ ცოდნის მიღებასთან ერთად, სიმონმა შესძლო ახალ სფეროშიც შეეტანა თავისი წვლილი. სიმონი თავიდანვე ერთ-ერთი დამაარსებელი და სულის ჩამდგმელთაგანია მთასვლა-მგზავრობანული განყოფილებისა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებასთან.

1924 წელს სიმონი რაჭა-ოსეთის ექსპედიციაში მონაწილეობდა. აქ მან შეაგროვა და ტვირთით წამოიღო მადნეულ სიმდიდრეთა მრავალი ნიმუში. ჩვენი განყოფილების კოლექციებში ეხლაც ნახავთ იალბუზის მყინვარის და სხვა მაღალ ადგილებიდან შეკრებილ იშვიათ ნიმუშებს, ყველაფერი ეს სიმონის მხრებით არის ჩამოტანილი.

1925 წელს სიმონი ბალკარეთ-სვანეთ-აფხაზეთის ექსპედიციის აქტიური წევრი და ექსპედიციის უფროსის, გიორგი ნიკოლაძის მარჯვენა ხელი იყო. ამავე ზაფხულს მან კავკასიის უმაღლეს მწვერვალზე—იალბუზზე, ალპინისტური ნათლობა მიიღო.

1926 წელი. სიმონი უკვე ექსპედიციის უფროსია. ამ წელს ორჯერ ადის მყინვარწვერზე და საფუძველს უყრის სისტემატიურ მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა წარმოებას ატმოსფერის მაღალ ფენებში.

1927 წელი, სიმონი კვლავ უფროსია მყინვარზე და იალბუზზე 4 საპასუხისმგებლო ასვლისა. სამი კვირის განმავლობაში მან სამი მწვერვალი აიღო; 8 აგვისტოს—მყინვარწვერი, 15-ს იალბუზი და 27-ს ისევ მყინვარწვერი.

ზოგიერთ ასვლებში ის მარტოკაა. იაგორ კაზალიკაშვილი, ცნობილი გამყოლი, მყინვართან შეზრდილი მოხევე, განცვიფრებული რჩებოდა სიმონის გადამეტებულ სიყოჩაღით, ზოგჯერ იაგორსაც კი უარი განუცხადებია მსვლელობის გაგრძელებაზე. მაშინ სიმონი ღირსეულად სცვლიდა მას და თვითონ ჰკაფავდა ძნელსა და სახიფათო გზას.

1928 წელში სიმონი განაგრძობს მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს მწვერვალზე, სადაც სდგამს ახალ მეტეოროლოგიურ ქოხს და ამგვარად საბოლოოთ აძლევს ამ საქმეს სისტემატიურ ხასიათს.

მაგრამ მარტო ეს სფერო არ აკმაყოფილებს სიმონს. მას სურს მყინვარის მწვერვალი სხვა მხრივაც გამოიყენოს. და აი, ჩვენ მას ვხედავთ რადიო ექსპედიციის სათავეში იმავე მყინვარ წვერზე.

ამას, მოჰყვა კინო ექსპედიცია, როდესაც მწვერვალზე, კინო-აპარატის ირგვლივ სიმონის მეთაურობით 44 კაცი იმყოფებოდა, 8 ჯერ მყინვარწვერზე და 2 ჯერ იალბუზზე—აი სიმონის ასვლების საერთო ჯამი.

29 წლისათვის ჩვენმა განყოფილებამ ფართოდ გაშალა თავისი სამოქმედო გეგმა, მოსამზადებელ მუშაობაში უშუალო ახლო მონაწილეობას იღებდა სიმონი.

დადგა საბედისწერო ზაფხული, სიმონი იგვიანებს პრაქტიკიდან ჩამოსვლას და ექსპედიციასთან ერთად ვეღარ გადის თბილისიდან. მაგრამ დიდხანს ვეღარ ითმენს მისი დაუდგრომელი ბუნება და კახეთიდან, სადაც იგი სახურავ ფიქალებზე მუშაობდა, მიეშურება მისთვის უკვე ნაცნობ სვანეთში, იმ სპეტკა ყინულოვან საშჭანაგისკენ, რომელზე ასვლა ცნობილ ინგლისელ ალპინისტმა **დუგლას ფრეშფილდმა** უანდერძა...

პირდაპირ წარმოუდგენელი იყო, რომ სიმონი ასეთი უაზრო შემთხვევის მსხვერპლი გახდებოდა.

როდესაც 29 აგვისტოს მესტიიდან კატასტროფის ადგილისკენ მივეშურებოდით, მე აღსავსე ვიყავი იმედით, რომ სიმონისთანა ალპინისტი შემთხვევით დაგორებით არ დაიღუპებოდა.

მაგრამ ადგილზე დათვალიერებამ, მაშინვე დამანახვა, თუ რა განსაკუთრებულ არახელსაყრელ პირობებთან ექნებოდა საქმე სიმონს თავის ცხოვრების უკანასკნელ წუთებში.

სიმონმა გმირულათ და რაინდულათ გასწირა თავი, ამხანაგის სიცოცხლის გადასარჩენად. მეტად დიდი და მასთან მძიმეა დანაკლისი, რომელიც ჩვენ ახალგაზრდა მთასვლელთა ორგანიზაციას ხვდა წილათ. ჩვენს მცირერიცხოვან რიგებს გამოაკლდა უეჭველად სახელოვანი მთასვლელი, რომლისგანაც მრავალ საპასუხისმგებლო და ძნელ ამოცანების შესრულებას მოველოდით და მოვითხოვდით.

დევი მიქელაძე.

ამხ. კ. გამეზარდაშვილის გამოგონება



ამხ. კ. გამეზარდაშვილი

—:—

მარგანეცის მრეწველობაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი სახით მიდის მარგანეცის მადანი ქარხნებში გასარეცხად.

მარგანეცის მადანი სხვადასხვა ხარისხისაა და თვისების. ზოგ ადგილას მადანი მაგარია და საჭიროა გარეცხვამდე მისი დამტვრევა, დანაწილება პატარა ნაჭრებად.

რაც უფრო პატარა ნაჭრებად იმტვრევა მადანი, მით უფრო ადვილი ხდება მისი გარეცხვა.

შავი ქვის მადნის დამტვრევა დღევანდლამდე ხდებოდა ჭიათურაში სხვადასხვა საშუალებებით, რომლებიც არ იძლეოდნენ დადებით შედეგებს, ქვა სარეცხ ქარხნებში მიდიოდა მსხვილ ნაჭრებათ და აზიანებდა მანქანებს.

არის ხმარებაში აგრეთვე ბლეკის სისტემის ქვის სამტვრევი ხელსაწყოები, რომლებიც არ არიან კარგი ხარისხის და რომლების შეძენა ჯდება ძლიერ ძვირად.

ჭიათურის შავი ქვის ტრესტის მმართველის მოადგილემ, დაწინაურებულმა მუშამ, ამხ. კ. გამეზარდაშვილმა გამოიგონა ქვის სამტვრევი ახალი მანქანა, რომელიც საცდელად დადგმული იქნა № 4 ქარხანაში.

ეს მანქანა შეამოწმა სამთო აკადემიის პროფესორმა ა. ტერპიგორევმა, რომელმაც შემდეგი სთქვა ახალი მანქანის შესახებ: „ქვის სამტვრევი მანქანის კონსტრუქცია არის ორიგინალური და ამავე დროს ფრიად მარტივი. სამტვრევი მანქანა გამძლეა და მისი დამზადება შეიძლება ადგილობრივი საკუთარი საშუალებებით. მუშაობის დროს გამოაშკარავდა მანქანის დადებითი მხარეები: მადანის დიდი და მაგარი ნაჭრები ადვილად იმსხვრეოდნენ და იმავე დროს ადვილად ირეცხებოდნენ წყლით. მანქანის ნაყოფიერება იქნება დიდი და მას ასამუშავებლად არ დასჭირდება ბევრი ხალხი.

მანქანის დასამზადებლად არ არის საჭირო დიდი თანხები. ამ მანქანას შეუძლია თამამად გაუწიოს კონკურენცია ჩვენში გავრცელებულ ბლეკის სისტემის სამტვრევ მანქანას. ამხ. გამეზარდაშვილის გამოგონება ღირსია ყურადღების და მან უნდა მოიპოვოს სათანადო ადგილი ჩვენს სამთო მრეწველობაში".

საჭიროა, რომ ჭიათურის შავი ქვის ტრესტი დაუყოვნებლივ შეუდგეს ხსენებულ მანქანების მასიურად დამზადებას, ვინაიდან ჭიათურაში დიდი მოთხოვნილებაა ქვის სამტვრევ მანქანებზე.

ე. ხ.

ვაჭრები და ანტისაბჭოთა ელემენტები

შრომის ბირჟის აღრიცხვაზე

თბილისის შრომის ბირჟის გასაწმენდათ გამოყოფილი იყო 14 კომისია. კომისიების ნაწილმა წმენდა დაამთავრა, ბირჟის წმენდა სავსებით დამთავრდება ნოემბრის პირველ რიცხვებში.

ერთ-ერთმა კომისიამ გაარჩია 900-მდე უმუშევარის საქმე. ამ რაოდენობიდან აღრიცხვიდან მოხსნილ იქნა 10 პროცენტამდე. მიმდინარე წმენდამ ნათლად გამოააშკარავა, რომ შრომის ბირჟაში აღრიცხულ უმუშევართა შორის მრავლად მოიპოვებიან ძველი ვაჭრები, მემამულეები, ყოფილი გენერლები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც ამ გზით ახერხებენ დახმარების მიღებას და სარგებლობენ მუშა-მოსამსახურის ყოველგვარი შეღავათებითა და უფლებებით.

საილუსტრაციოთ მოვიყვანთ ერთ მაგალითს

ბირჟაში აღრიცხული აღმოჩნდა პრასკოვია აწყურის ასული სვანიძე, ცოლი ცნობილ მიკიტან სვანიძისა, რომელიც ამხანაგად არის ყველა ქალაქ-გარეთ არსებულ სამიკიტნოებში (ჩოფურაშვილთან, კოჯრის გზაზე მდებარე სამიკიტნოებში, თეთრ დუქანში და სხვ.)

წმენდის დროს გამოირკვა, რომ მიკიტან სვანიძეს რადაც ხრიკებით სოციალურზრუნველყოფის განყოფილებიდან მიუღია მოწმობა, რომ იგი ინვალიდია და იმყოფება უმწეო მდგომარეობაში. ამ მოწმობის საშუალებით მისმა ცოლმა მოახერხა შრომის ბირჟაში ჩაწერა.

წმენდის დროს მან კომისიას განუცხადა, რომ ისინი (ცოლი და ქმარი) მოკლებულნი არიან საარჩევნო ხმის უფლებას და სთხოვა კომისიას აღედგინა ისინი ამ უფლებაში.

სვანიძე ქალი გარიცხული იქნა ბირჟიდან რაც შეეხება სოც. უზრუნველყოფის განყოფილებიდან გაცემულ ყალბ მოწმობას, ამ საქმის შესახებ სწარმოებს გამოძიება. დამნაშავე სათანადო პასუხს აგებს.

ასეთივე მახინაციების საშუალებით აღრიცხულ აღმოჩნდა ნატალია სუხანვაიანი (ვაჭრის შვილი) და მრავალი სხვა. ერთი სიტყვით წმენდამ გამოააშკარავა, რომ შრომის ბირჟაში უმუშევართა აღრიცხვის საქმე საჭიროებს უფრო მტკიცე სისტემის შემოღებას.

წმენდის დროს სხვათა შორის აღმოჩენილი იქნა შრომის ბირჟაში აღრიცხული კავშირის წევრები, რომლებმაც არ იციან, თუ რომელი კავშირის წევრებად ირიცხებიან ისინი.

ქუთაისის ოლქში

საქ. ს. მ. უ. ს. კონსულტანტების ჩამოსვლა

ქუთაისი, 14 სექტემბერი. (საკ. კორ.) ქუთაისში ჩამოვიდნენ საქ. ს. მ. უ. საბჭოს კონსულტანტები—პროფ. კედენი და დ—რი ინჟინერი ვერნაუ. მათ დაწვრილებით დაათვალიერეს და შეისწავლეს რიონჰესის სამუშაოები და სავსებით კმაყოფილი დარჩნენ, როგორც ჩატარებული მუშაობით, ისე მუშაობის ახლანდელი ტემპით.

კომისიების გამოყოფა სასოფლო საბჭოებთან

ქუთაისი, 14 სექტემბერი. (საკ. კორ.) ყველა სოფლის საბჭოებს დაევალა სასოფლო აღმასკომებთან გამოჰყონ კომისიები სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის შესასწავლად და მოსაწესრიგებლად.

სწავლის გადადება

ქუთაისი, 14 სექტემბერი. (საკ. კორ.) რადგან ქალაქში ამჟამად ადგილი აქვს სხვადასხვა ეპიდემიურ ავადმყოფობებს, მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სწავლის დაწყების გადადება 20 სექტემბრამდე.

კომისიების გამოყოფა

ქუთაისი, 14 სექტემბერი. (საკ. კორ.) საოლქო აღმასკომმა გამოჰყო საოლქო საბიუჯეტო კომისია ამხ. სხვერიან მინდაძის თავმჯდომარეობით. ამხ. ი. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით გამოყოფილია კომისია მეორე ხარისხოვან საქონლის დამზადებას და რეალიზაციის მოსაწესრიგებლად.

—:—

გვალვის და სეტყვის შედეგები

თქვენი თანამშრომელი ესაუბრა ქუთაისის ოლქის აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ე. ლვამიჩავას, რომელიც დაბრუნდა რაჭაში მოგზაურობიდან.

ამხ. ლვამიჩავას გადმოცემით, ზემო-რაჭაში სეტყვამ სავსებით გაანადგურა ვენახები და ხეხილი.

სეტყვა იმდენად ძლიერი იყო, რომ არც ერთ სახლს არ შერჩენია მთელი ფანჯრები. ზარალი დიდია.

რაც შეეხება ნათესებს, უნდა ითქვას, რომ გვალვამ მთლიანად გაანადგურა ისინი. იშვიათია ისეთი გლეხი, რომელსაც ჰქონდეს ორი-სამი თვის სარჩოზე მეტი.

მართალია, გვალვამ დაზიანა ოლქის სხვა რაიონებიც, მაგრამ ამ მხრივ რაჭა განსაკუთრებულ მდგომარეობაშია.

მოსალოდნელ სიმშილის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ეხლავე იქნეს მიღებული სასწრაფო ზომები სეტყვისაგან და გვალვისაგან დაზარალებულ მეურნეობების დასახმარებლად და აღსადგენად.

დარაიონება

დარაიონება ქუთაისის ოლქში წარმატებით მიმდინარეობს. შორაპნის მაზრაში ჩამოყალიბებულია ხარაგოულის, ზესტაფონის და საჩხერის რაიონები. შექმნილია როგორც რაიაღმასკომები, ისე სასოფლო საბჭოები.

ხარაგოულის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. თხელიძე, ზესტაფონის — ამხ. მ. შარიქაძე, საჩხერის — ამხ. თ. თარსაიძე.

სამივე რაიონში ჩამოყალიბებულია რაიპარტკომებიც. რაიპარტკომების მდივნებად გამოყოფილნი არიან — ხარაგოულში ამხ. მ. გოგიაძე, ზესტაფონში — ამხ. შ. პაატაშვილი, საჩხერეში — ამხ. გ. კიკნაძე.

ქუთაისის მაზრაში ამ დღეებში შოთავდება დარაიონება ქუთაისის, ხონის, სამტრედიის, ოკრიბის და ბაღდათის რაიონებში.

პელაგრა და მალარია

საქ. წითელი ჯვარის მიერ წყალტუბოს რაიონში მივლინებული იყო ექიმი **მდივანი** იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად არის მოსახლეობა დაავადებული მალარიით.

გამოირკვა, რომ წყალტუბოს რაიონის მოსახლეობის მთელი 100 პროცენტი შეპყრობილია მალარიით.

აღმოჩენილ იქნა აგრეთვე პალაგრით დაავადების 8 შემთხვევა.

ავტომობილის კატასტროფა

13 სექტემბერს, დილით ქუთაისიდან შოვში მიმავალი სახ. პოლიტსამმართველოს ქუთაისის განყოფილების მსუბუქი ავტომობილი ქუთაისიდან მე-53-ე კილომეტრზე გადავარდა კლდიდან მდინარე რიონში. ავტომობილი დაიმსხვრა. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

მსუბუქად დაშავდა პოლიტსამმართველოს ერთი თანამშრომელი და შოფერი.

წვიმები

ერთი კვირაა, რაც ქუთაისში განუწყვეტლივ წვიმს. მიმოსვლა აგარაკებთან თითქმის შეწყვეტილია.

მეცნიერება და ტექნიკა

არის თუ არა ხილეული მავნებელი მალარიით ავადმყოფისათვის

როგორც ცნობილია, გლეხობაში გავრცელებულია აზრი, რომ მჟავე ხილის ჭამა იწვევს ციებ-ცხელებას. გლეხობას შესაფერის სიაც კი აქვს შედგენილი ამგვარი ხილის: მაგ.. ნესვი, ატამი, ტყემალი და სხვა მედიცინაში ეს საკითხი საკმარისად არ არის გაშუქებული და არამც თუ გაშუქებული, ბევრ ექიმს ამ საგანზე ლაპარაკიც ზედმეტად მიაჩნიათ, რადგან მათი აზრით, მჟავე ხილისაგან მალარიის გამოწვევა სხვა არ იყოს რა—სასაცილოა, ცხადზე უცხადესია, ვერავითარი ხილის ჭამა მალარიას ვერ გამოიწვევს. მისი გამომწვევი მიზეზები კარგად არის შესწავლილი და გაშუქებული, მაგრამ ხილის ჭამა და განსაკუთრებით მჟავე ხილის ჭამა, რომ ხელს უწყობს და აძლიერებს მალარიას, ეს ეჭვს გარეშე უნდა იყოს, ამის დასტური მომცა ჩემმა პატარა ცდამ, რომელიც ჩავატარე გასულ წლის ზაფხულზე.

მე ვმსახურობ წითელი ჯვრის ერთ-ერთ სამალარიო პუნქტში და შეძლება მომეცა თვალყური მედევნებინა და მცირეოდენი ცდა ჩამეტარებინა ამ დარგში. ჩემის დაკვირვებით მალარია უფრო სასტიკად მძვინვარებდა მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც ეწეოდა მეურნეობას, განსაკუთრებით მებოსტნეობას, ხოლო მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც მისდევდა მესაქონლეობას, მალარიას ნაკლებად ჰქონდა ფესვები გადგმული, გარდა ამისა, ის შეძლებული მოსახლეობა, რომელიც უფრო ხშირად იკვებებოდა ხორცეულობით ან სულ არ [illegible], ან და ძლიერ იშვიათად. წინააღმდეგ,—ვინც უფრო მცენარეულობით საზრდოობდა, მათ შორის, მალარია ხშირი იყო, მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული და კლიმატიური პირობები ერთნაირი იყო ყველგან. უფრო რომ დავრწმუნებულიყავი შენიშნული ფაქტის სისწორეში, ავადმყოფების ნაწილს დაუნიშნე ხორცეულობით კვება, მეორე ნაწილს კი მხოლოდ მცენარეულობით, შედეგი მეტად აშკარა შეიქნა. მცენარეულობით ნაკვები ავადმყოფები, მიუხედავად გაძლიერებული ქინაქინით წამლობისა, უძალვე ბრუნდებოდენ უკან ჩივილით, რომ მათზე წამლობამ არ იმოქმედა და სხვა, ხოლო ვინც ხორცეულობით იკვებებოდა, გარდა მცირედი გამონაკლისისა, ყველასი კარგად გრძნობდა თავს და წამლობის გაძლიერებას აღარ ითხოულობდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს კვებას, ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: ცნობილია, რომ ავადმყოფობის გამომწვევი ბაცილები თუ ბაქტერიები უმთავრესად ვითარდებიან ტუტა ნივთიერებაში მალარიის პლაზმოდებიც უნდა ვითარდებოდენ სწორედ ტუტა რეაქციის ხსნარში. (სისხლის ტუტოვნობა მალარიის დროს კარგად არის გაშუქებული თანამედროვე საექიმო ლიტერატურაში).

მაშასადამე ხორცით კვებას ამ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან ხორცით კვების დროს სისხლი ღებულობს მჟავე რეაქციის ხასიათს, რაც ხელს უშლის მალარიის პლაზმოდიების გამრავლებას, პირიქით მცენარეულობით და ხილეულობით კვება სისხლს აძლევს აშკარა ტუტოვან ხასიათს, სადაც უფრო იოლად და ადვილად მრავლდება მალარიის გამომწვევი მიზეზები. რაც უფრო მჟავეა ხილი, იმდენად მეტ ტუტოვნობას აძლევს სისხლს, რადგან ყოველგვარი ორგანიული სიმჟავე კუჭში სათანადო ცვლილების შემდეგ გადაიქცევა ტუტათ. მაშასადამე რამდენსაც უფრო მეტს შეჭამს ადამიანი მჟავე ხილს, იმდენად უფრო მეტად უწყობს ხელს თავის სისხლს ტუტოვან რეაქციის ხასიათის გადაყვანაში და თუ ასეთ ადამიანის სისხლში ფარულად ან აშკარად აქვს მალარიის პლაზმოდები, რა თქმა უნდა, ეს იქნება ხელის შეწყობა მათი უფრო განვითარებისათვის. დასკვნა ერთია: ხილეულობა უსათუოდ მავნებელია მალარიით ავადმყოფთათვის

ექიმი შ. შარვაძე.

კალენდარის რეფორმა

შეერთებულ შტატებში კალენდარის რეფორმის ჩასატარებლად დანიშნულმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კალენდარის გამარტივებას და შეერთებული შტატების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ამ საკითხის განსახილველად იქნება მოწვეული. კომიტეტი შეეკითხა მრავალ სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებს, მთავრობის დაწესებულებებსა და კერძო პირებს, რომელთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კომიტეტის მიერ შემუშავებულ კალენდარის პროექტს—13 თვიან წელიწადს, ფინანსიურ-ეკონომიური სტატისტიკის შეუჩერებელი ზრდა დაბეჯითებით მოითხოვს წლის დაყოფას თანაბარ დღიან თვეებათ. შეერთებულ შტატების მრავალ დაწესებულებაში უკვე შემოღებულია 13 თვე 12-ის ნაცვლად. ამ დაწესებულება-ორგანიზაციების რიცხვს ეკუთვნის: კოდაკის ფირმა, რომლის ხელმძღვანელი—ისტმენი—სათავეში უდგას კალენდარის რეფორმის ჩამტარებელ კომიტეტს, იუნაიტედ-პრესის სააგენტო და სხვ.

ნავთის ფეჩი—სამზარეულო

მუშა გ. მაღრაძის გამოგონება

მუშამ გიორგი ქაიხოსროს ძე მაღრაძემ გამოიგონა ფეჩი-სამზარეულო, რომელშიც საწვავ მასალათ ნავთი იხმარება. უკვე ეს გარემოება აშკარავებს მის მნიშვნელოვან უპირატესობას დღემდე არსებულ ფეჩების წინაშე. ყველამ იცის, რომ გათბობისა და სამზარეულოების საჭიროებაზე აურაცხელი შეშა იხარჯება და ამის გამო ჩვენი ტყეები მიზანშეუწონლად ნადგურდება. ამხ. მაღრაძის ფეჩი, როგორც აღვნიშნეთ, ნავთით თბება. უკანასკნელიც ძლიერ მცირე რაოდენობით არის საჭირო: სულ ორი ლიტრა დღე-ღამეში. საათის განმავლობაში ფეჩი 30 კვ. მეტრ სივრცეს ათბობს და სპეციალური კომისიის დასკვნით მისი შემოღება სავსებით მიზანშეწონილია. ფეჩის დამზადება მეტად იაფი ჯდება.



გამომგონებელი გ. მაღრაძე

—:—



ამხ. მაღრაძის მიერ გამოგონებული ფეჩის სქემა

—:—

ინჟ. ა. ლამბარაშვილი, რომელმაც შეადგინა ფეჩ-სამზარეულოს ნახაზები ამხ. მაღრაძის პროექტის მიხედვით, შემდეგს სწერს ამ გამოგონების შესახებ:

„ეს გამოგონება უდიდეს სარგებლობას იძლევა, რადგან მეტად ეკონომიურია: იგი ერთდროულად შენობასაც ათბობს, ხარშავს და სწვავს საჭმელს, ათბობს წყალს და ამავე დროს სრულიად უშიშარია ხანძრის გაჩენის მხრივ. გარდა ამისა, ეს ფეჩი არავითარ მავნე გაზებს არ წარმოშობს შენობაში".

საჭიროა სათანადო ორგანიზაციები დაეხმარონ ამხ. მაღრაძეს და ხელი შეუწყონ მას მისი გამოგონების პრაქტიკულად განხორციელებაში.

ნ—ი.

საერთაშორისო რადიო-კონფერენცია

მორიგი საერთაშორისო კონფერენცია რადიო საკითხებზე შესდგება ჰააგაში 18 სექტემბერს. შეერთ. შტატებმა მიაღწია იმას, რომ კონფერენციის დღის წესრიგიდან მოხსნეს საკითხი მოკლე ტალღების განაწილების შესახებ იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებმაც ხელი მოაწერეს საერთაშორისო რადიო-კონვენციას (1927 წ.). როგორც მკითხველს ესხომება (მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილებაში ამ საკითხზე მოთავსებული ცნობიდან), შეერთებულ შტატების ხელშია მოკლე ტალღების ნახევარზე მეტი (800-დან).

უკანასკნელ ხანებში მოკლე რადიოტალღებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცნობების შორ მანძილზე გადაცემისათვის. პირველად განზრახული იყო, რომ ევროპის ქვეყნები შეთანხმებულად გამოვიდნენ შეერთ. შტატების წინააღმდეგ და წაართმევდნენ მას მოკლე ტალღების განსაზღვრულ რაოდენობას. კენჭის ყრას დროს შეერთებული შტატები უმცირესობაში დარჩებოდა, რადგან ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, რომლებიც ვაშინგტონის კონფერენციაზე მხარს უჭერდნენ შეერთ. შტატებს, კონვენცია მხოლოდ მექსიკას აქვს დამტკიცებული და, მაშასადამე, მხოლოდ მას შეუძლია დელეგატების გაგზავნა ჰააგაში. ერთიანი ევროპიული რადიო-ფრონტის შექმნის მოლოდინში, შეერთ. შტატებმა ზეგავლენა მოახდინა გაიტიზე, ვენეცუელაზე და სან-დომინგოზე და ამ სახელმწიფოებმა დაამტკიცეს ვაშინგტონის კონვენცია.

დე-სირვას აეროპლანი

ესპანელმა ინჟინერმა დე-სირვამ (დე-სირვა) გამოიგონა აეროპლანი, რომელსაც თავისუფლად შეუძლია დაშვება ვერტიკალური ხაზით, ე. ი. ყველგან, სადაც კი მფრინავი საჭიროდ დაინახავს. ამ აეროპლანისათვის საჭირო არ არის სპეციალურად დასაშვები და ასაფრენი მოედნები, რომლებიც აუცილებელია ჩვეულებრივი აეროპლანისათვის.

ცვლილება, რომელიც დე-სირვამ აეროპლანების კონსტრუქციაში შეიტანა, გამოიხატება ვერტიკალური ღერძის გარშემო მბრუნავი ფრთების გამოყენებაში.

აეროპლანის ფრენის სისწრაფე შემდეგია: ჰორიზონტალურათ ფრენის დროს—170 კილომეტრი საათში, ვერტიკალურად აფრენის დროს—3,3 მეტრი წამში, დაშვების დროს—4,5 მეტრი წამში.

დე-სირვას აეროპლანის მრავალრიცხოვანმა გამოცდამ მშვენიერი შედეგები გამოიღო. აეროპლანმა დამაკმაყოფილებელი სისწრაფით გაიარა რამდენიმე ათასი კილომეტრი და სავსებით გამართლა მასზე დამყარებული იმედები.

ინჟინერ დე-სირვას გამოგონებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც სამხედრო, ისე კომერციული ავიაციისათვის. დე-სირვას აეროპლანი უფრო უშიშრად და მისაწვდომათ ხდის ფრენას აპარატის მართვის სიადვილის გამო. თანამედროვე აეროპლანებზე მფრინავისათვის საჭიროა სპეციალური ფიზიკური და მორალური თვისებები—მოხერხება, გამბედაობა, სიმამაცე, მანძილის და სისწრაფის განსაზღვრა და სხვ. დე-სირვას აპარატის მართვა შეუძლია ყველას—ხანგრძლივ სწავლისა და დიდი გამოცდილების გარეშე.



დე-სირვას აეროპლანი ფრენის დროს

—:—

დე-სირვას აეროპლანების დამზადება ერთდროულად სწარმოებს ინგლისში, საფრანგეთში და შეერთ. შტატებში.

ვ. კ.

განუწყვეტელი ფრენის ახალი რეკორდი

შეერთებული შტატები განთქმულია ფრენის ხანგრძლივობის რეკორდებით, რომელთა დამყარება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც პრაქტიკულად გადასჭრეს აეროპლანებისათვის საწვავი მასალის ჰაერში მიწოდების ტეხნიკა.

უკანასკნელი ასეთი სენსაციური გაფრენა მოეწყო ამა წლის 13—30 ივლისს ქ. სენ-ლუიში. ორმა მფრინავმა, რომლებიც რიგ-რიგობით მართავდნენ აეროპლანს, ჰაერში დაჰყო 420 საათი და 21 წუთი (ე.ი. 17½ დღე-ღამე).

ფრენის ამ ზღაპრულ ხანგრძლივობას ორგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი ერთის მხრივ არკვევს მოტორის გამძლეობის საკითხს და მეორე მხრივ—ფართო შესაძლებლობებს შლის სამხედრო-საჰაერო საქმეში. აეროპლანების ფრენის რადიუსი საგრძნობათ ფართოვდება. აეროპლანი—ცისტერნის საშუალებით შესაძლებელი გახდება სამხარ აეროპლანების საწვავი მასალის შევსება ჰაერში.



საწვავი მასალის მიწოდება ჰაერში

ჯიბის ელექტრო-ლამპა

სამთო საქმეში, მრავალ საწარმოებში და აგრეთვე, ზოგჯერ, ოჯახშიც, ხშირად საჭიროა ელექტრონის ლამპა, რადგან ხშირად, ნავთის ლამპის გამოყენება არ შეიძლება, ელექტრო-ხაზის სასწრაფოდ გაყვანა კი შეუძლებელია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გერმანიაში გასაყიდათ გამოუშვეს ჯიბის ელექტრო-ლამპა, რომელიც ელექტროდენს იღებს მასში მოთავსებულ მთელ რიგ მაგნიტებიდან, რომლებსაც საათის მექანიზმი ამოძრავებს. ლამპას მომართვა უნდა ყოველ [illegible] წუთში, იწონის—1200 გრამს, სიგრძე უდრის—20 სანტიმეტრს, განი—7,5 სანტიმეტრს.

ქრონიკა

აპარატის წმენდა და რაციონალიზაციის ბიუროები

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ წინადადება მისცა საქართველოს რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებს საბჭოთა აპარატის წმენდასთან დაკავშირებით ადგილობრივი რაციონალიზაციის ბიუროებს დაავალონ აპარატის სისტემის და მუშაობის ხარისხის გამოკვლევა.

ამავე ბიუროებს ევალებათ ხელი შეუწყონ სოციალისტურ შეჯიბრებაში დასახულ მიზნების განხორციელებას.

სტუდენტთა კონტრაქტაციის ჩასატარებლად

საქ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებს და წარმოებებს შეიტანონ 1929-30 წლ. ხარჯთ-აღრიცხვაში სტუდენტთა კონტრაქტაციის ჩასატარებლად საჭირო თანხები კანონით გათვალისწინებულ ნორმების ფარგლებში.

მედიკო-სანიტარული საქმის გასაუმჯობესებლად

საქ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად ჩასთვალა რკ. გზის ტრანსპორტზე მედიკო-სანიტარული საქმის ჯანმრთელობის რესპუბლიკანურ ორგანოებზე გადაცემა.

მცირეწლოვან დამნაშავეთა კომისიაში

განათლების კომისარიატთან არსებულ მცირეწლოვან დამნაშავეთა უფლებრივ დაცვის კომისიაში, აგვისტოში შემოვიდა 48 საქმე. ბრალი ედებოდა 58 ბავშვს, მათ შორის 2 ქალია. მათი შემადგენლობა ასეთია: ასაკის მიხედვით—9 წლის—1, 11 წლის—8, 12 წლის—4, 13 წლის—4, 14 წლის—15, 15 წლის—15, 16 წლის—11. ეროვნების მიხედვით: ქართველი—15, რუსი—13, სომეხი—22, სხვა ეროვნების—8. დამნაშავეთა საერთო რიცხვიდან 22 რეციდივისტია.

პროფესორ რაზმაძის ავადმყოფობა

როგორც პროფესორი ძინძლვარიშვილი იტყობინება ბორჯომიდან, პროფესორი ან. რაზმაძე, რომელიც ავად გახდა მუცლის ტიფით, უკანასკნელ დღეშია. ექიმებს საეჭვოდ მიაჩნიათ მისი გადარჩენა.

ამ ცნობის მიღებისთანავე თბილისიდან ბორჯომში გაემგზავრენ პროფ. ალადაშვილი, ექ. ასპისოვი და მიქელაძე. ავადმყოფის სანახავად გაემგზავრენ აგრეთვე პროფესორები: შ. ნუცუბიძე, კ. კეკელიძე და სხვ.

„მიწა და ფაბრიკა"-ს საგიტაციო გადაფრენა

დღეს „მიწა და ფაბრიკა" მოახდენს რამოდენიმე ფრენას თბილისზე და თან აიყვანს 200-მდე კაცს, რომლებსაც აქვთ გაფრენის უფლება.

ხვალ, ორშაბათს, დილის 10 საათზე ჰაეროპლანი გაფრინდება კახეთისაკენ და დაეშვება წნორის წყლის ჰაეროდრომზე. კახეთში ჰაეროპლანი დაჰყოფს 2 დღეს.

საცეკვაო სკოლების დახურვა

ხელოვნების მთავარ სამმართველოს განკარგულებით დღემდე არსებული ყველა საცეკვაო სკოლები დახურულია. ცეკვის სკოლის გახსნის ყველა მსურველი მომავალში უნდა გატარდეს შრომის ბირჟასთან არსებულ საკვალიფიკაციო კომისიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სკოლის გახსნის უფლება არ მიეცემათ.

თბილისი აღმასკომში

◆ **ბაზრის მოწყობა.** სადგურთან მდებარე (ყოფ. „დეზერტირკა") ბაზრის მოსაწყობათ აღმასკომმა გადასდო 20.000 მან.

◆ **თბილისის აგეგმვა.** თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა ქალაქის ასაგეგმავათ გადასდო 100.000 მან.

ჯანსახკომში

◆ **სურამის საავადმყოფოს გაფართოება.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა სურამის საავადმყოფოსათვის შეიძინა ახალი შენობა.

საავადმყოფოსათვის სხვადასხვა ხელსაწყოების შესაძენათ ჯანსახკომმა გადასდო 3.000 მან.

◆ **სასტუმრო ბორჯომში.** საკურორტო სამმართველო შეუდგა ბორჯომში დიდ სასტუმროს აგებას. ამჟამათ სწარმოებს ადგილის გაწმენდა შენობის ასაგებათ, სასტუმროს აგება 700.000 მან. დაჯდება.

სხვადასხვა

◆ **მოჯამაგირეთა კურსები.** მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობა ხსნის მოჯამაგირეთა მოსამზადებელ კურსებს.

◆ **ქარხნის ლიკვიდაცია.** საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, მოხდა აფხაზეთის ბამბის ქარხნის ლიკვიდაცია. საწარმოვო იარაღები გადაეცა ადგილობრივ აღმასკომს.

იწყება პურის წიგნაკების გამოცვლა

17 სექტემბრიდან იწყება პურის წიგნაკების გამოცვლა. გარდა ორი კატეგორიის წიგნაკებისა, რომლებიც ამჟამად არსებობს, შემოღებულია მესამე კატეგორიის—„ბ" წიგნაკები, რომელიც ეძლევა მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებს 8 წლის ჰასაკამდე. პურის წიგნაკების გამოცვლა იწარმოებს იმ წესით, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში. პურის გამომცვლელი პუნქტები იმ რაოდენობითა და იმ ადგილებზე არის გამოყოფილი, რომ, თუ მოსახლეობა დაიცავს გამოცხადებულ წესს, ადგილი არ ექნება რიგებს.

მოსახლეობას უკვე დაურიგდა ანკეტა—სამ-სამი ცალი. ეს ანკეტები სამ ცალად დარიგდა იმიტომ, რომ ზოგ ოჯახში მსახურობს ერთი ან ორი წევრი, ხოლო თვითეული მოსამსახურე ვალდებულია თავის და მის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრების შესახებ ცნობა დაადასტუროს იმ წარმოება-დაწესებულებაში, სადაც იგი მუშაობს. შემდეგ არის შემთხვევები, რომ დაქირავებული შინა-მოსამსახურე ოჯახის მეთაურს შეყვანილი ყავდა თავის კმაყოფაზე მყოფთა სიაში და მაშასადამე პურს ღებულობდა ერთი წიგნაკით. ხოლო, თუ მოსამსახურეს დაითხოვდა, ოჯახი სარგებლობდა მისი ულუფით, თვით მოსამსახურე კი რჩებოდა უწიგნაკოთ. ამ გარემოების თავიდან აცილების მიზნით, ახალი წიგნაკების მიღების დროს ყველა ოჯახი, რომელსაც ყავს დაქირავებული შინა-მოსამსახურე, ვალდებულია მოსამსახურისთვის მიიღოს ცალკე წიგნაკი. ამრიგად ერთი ანკეტა საჭირო იქნება ცალკე მოსამსახურისთვის. ანკეტის დარიგების დროს გათვალისწინებული იყო აგრეთვე ამ ანკეტის დაკარგვის შესაძლებლობა.

თუ ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მოხდა რაიმე ცვლილება, წიგნაკის პატრონი ვალდებულია მიმართოს პურის წიგნაკების სექციას (ქორესის ქუჩა № 19) და არა წიგნაკების გამომცვლელ რაიონულ კომისიას.

პურის წიგნაკების გამომცვლელ კომისიების მუშაობას ზედამხედველობას გაუწევენ მუშკოოპის პურის სექციის წევრები და თბილისის საბჭოს კოოპერატიულ-სავაჭრო სექციის წევრები, რომლებიც მიმაგრებული არიან კომისიებზე.

ხელოვნება

ჭიათურის დრამის 1929—30 წლის სეზონი

ჭიათურის დრამის სეზონი გაიხსნება მიმდინარე წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში.

რეჟისორად მოწვეულია მსახიობი პ. ფრანგიშვილი, რომელმაც უკვე შეადგინა დასი. დასის შემადგენლობა ასეთია: ქალები— თ. აბაშიძე, ა. სიბილა, ნ. ჩიხლაძე, თ. მაჭარაშვილი, დ. მელიქიშვილი, ნ. კაკაბაძე, ბ. სიხარულიძე. ვაჟები — შ. ბეჟუაშვილი, გ. როსება, მ. ჯუღელი, შ. გოცირელი, ნ. სვანელი, ძ. ციციაშვილი, გ. აბაშიძე, მ. ვაშაძე, ვ. ჩალთისპირელი, ქ. გურული, შ. დარჩიველიძე, გ. ტყაბლაძე, ურუშაძე ზაქრო.

მსახიობთა გარდა თეატრში იმუშავებს 15 თანამშრომელი— კომკავშირელი.

წელს შემოღებულიიქნება სააბონემენტო სისტემა. მიღებული იქნება ზომები, რომ თეატრი დაუახლოვდეს მუშებს, ამ მიზნით თეატრი გამართავს წარმოდგენებს მაღაროებთან არსებულ მუშათა კლუბებში.

რუსთაველის თეატრმა იკისრა შეფობა ჭიათურის თეატრზე. შეფობა სხვა დახმარებათა შორის გამოიხატება პიესების მიწოდებაში.

ჭიათურის დრამას განზრახული აქვს დადგას შემდეგი პიესები: „დავიწყებული ბაქანი", „რღვევა", „მგლის ბილიკი", „იშვიათი შემთხვევა", „ბრაზი", პროდუქცია" და სხვა რეპერტუარი მთლიანად რევოლიუციონურია.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

— **საღამო-კონცერტი.** ორშაბათს, 16 სექტემბერს, საზაფხულო ბაღში (ყოფ. არტო) გაიმართება ეტნოგრაფიული საღამო-კონცერტი. გურულ მომღერალთა გუნდი მახარაძის ხელმძღვანელობით შეასრულებს სხვადასხვა ხალხურ სიმღერებს.

— **ლუნაჩარსკის ლექცია.** ორშაბათს, 16 სექტემბერს ა. ვ. ლუნაჩარსკი, სახ. ოპერაში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ყოფა-ცხოვრება და ოჯახი".

— **ქუთაისის სახ. დრამაში.** ქუთაისის სახ. დრამის მთელი დასი რეჟ. კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით სეზონის გახსნის წინ მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს აგარაკ მწვანე კონცხზე.

სასამართლო

ქარხნის ადმინისტრაციის დაუდევრობით

ლითონის ტრესტის 26 კომუნარის სახელობის ქარხნის საწოლების საამქროში ა. წ. 19 თებერვალს ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას.

როდესაც მუშა **ნიკოლოზ ხახვიაშვილი** გადადუღებულ თუჯს ასხამდა ფორმაში, თუჯი აფეთქდა, ნამტვრევი ხახვიაშვილს მოხვდა მარჯვენა თვალში. ხახვიაშვილი ცალი თვალით დაბრმავდა, მან დაჰკარგა შრომის უნარი.

ეს სამწუხარო ამბავი არ მოხდებოდა, ხახვიაშვილი უვნებლად გადარჩებოდა, რომ ვინმეს თავის დროზე ეზრუნა საამქროში უშიშროების წესების დაცვაზე, რომ ვინმეს ყურადღება მიექცია მუშების შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

ვის ევალებოდა ამაზე ზრუნვა? ცხადია, ადმინისტრაციას, პირველ ყოვლისა ყველა საამქროს გამგეს **პეტრე გურშტეინს**, რომელსაც ამავე დროს დავალებული ჰქონდა უშიშროების ტეხნიკის წესების დაცვისათვის თვალყურის დევნება, და აგრეთვე საწოლების საამქროს გამგეს მიხეილ გრიგორიევს, რომელსაც უშუალოდ ებარა საწოლების საამქრო.

ეს უბედური შემთხვევა პირველი არ არის. ასეთივე უბედურობა ამავე ქარხანაში შეემთხვა მუშა ჰელიქეს იანვარში, მუშა ფერაძეს—მარტში, მაგრამ ამან არ იმოქმედა ადმინისტრაციაზე, ამან არ გამოაფხიზლა ის.

გამოძიებით დადასტურდა, რომ ადმინისტრაცია ვალდებული იყო საამქროში მომუშავე მუშებისათვის შეეძინა სათვალეები. ეს სათვალეები იხსნიდა ხახვიაშვილს დაბრმავებისაგან. სათვალეები არ ჰქონია არა მარტო ხახვიაშვილს, არამედ არც ერთ სხვა მუშას.

ასეთი დაუდევრობისათვის შრომის სასამართლოში აღიძრა საჩივარი გრიგორიევისა და გურშტეინის წინააღმდეგ.

გრიგორიევი და გურშტეინი სასამართლოში ერთმანეთს წაეკიდნენ—არა შენი ბრალია, არა შენიო.

— შენ უნდა გეზრუნა, როგორც საამქროს გამგეს,—ეუბნება გურშტეინი.

— შენ რას მიკეთებდი, უშიშროების ტეხნიკურ წესების „დამცველო",—ირონიით უპასუხებს გრიგორიევი.

შრომის სასამართლომ ორივე დამნაშავედ სცნო და ორივე დააჯარიმა ას-ასი მანეთით.

ზერ.

შემთხვევები

დაჭრა

კოჯრის გზაზე ქეიფის დროს დანით დასჭრეს შოფერი ვლადიმერ ნიკოლოზისძე რუხაძე. თავდამსხმელნი სარქის არაქელოვი, მიხეილ აკოფოვი და იოსებ შორაშვილი დაპატიმრებული არიან.

მოკვლის ცდა

მეჯიდ აზანისძე ქინქარაძემ მოკვლის მიზნით რევოლვერით დასჭრა კოტე ზაქრიასძე მეძმარიშვილი (მცხ. კლასიკური ქ., 20).

დაჭრილი გადაიგზავნა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

ცეცხლი

13 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე, ქალაქის პირველ საავადმყოფოში იმ ბარაკს, სადაც მოთავსებულნი არიან საექიმო გამოცდაზე გადაგზავნილი გასაწვევი ახალგაზრდები, მოულოდნელად ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლის მქრობელთა რაზმის დახმარებით ცეცხლი მალე იქნა ჩაქრობილი, ზარალი უმნიშვნელოა.

ჯიბგირობა

თედორე თედორესძე ფროლოვს, ცენტრალურ ბაზარში ჯიბიდან ამოაცალეს 27 მან. და პირადობის მოწმობა.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

რკინის გზელთა სექციიდან—მიხეილ ჩისნიკოვი, გრიგოლ სოგრატოვი, ვასილ ბაგიშვილი, იაკობ ოდილავაძე, ნიკოლოზ ავერინი, ექვთიმე მახარაძე, მიხეილ ბარქაია, ილიკო სალუქაშვილი, გიორგი ძიძიშვილი, ანდრია გაბუნია, ნიკოლოზ გაჩეჩილაძე, მელიტონ სირბილაძე, ალექსანდრე კილასონია, ვასილ ღამბაშიძე, ვლადიმერ ღამბაშიძე, მიხეილ მარიამიძე, სიმონ ცხოვრებაძე, დავით ჯუღელი.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან—ელენე სმიჩკოვა, აგნესა კუნცეორკი, ნატალია კაკაურიძე, ანა რევაზიშვილი, არტემ მარგალიტაძე, მარიამ არუთინოვი, ტიციან ღომინაძე, არამ კაროიან, რაფერ გალონჯიანი, ალექსანდრე ვოსლოვსკი, აკაკი პერტენავა, ნინო ნინოშვილი, ქეთევან ყიფიანი, თამარ დარახველიძე, თამარა ხარაძე, სათენიკ განჯუმოვა, ალექსი არუთინოვი.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან—ევგენი სუნდუკიანცი, ვენიამინ ბელნიკოვი, ალექსანდრე მესხიძე, პეტროს ყაზაროვი, ევგენი სოხაძე, სპირიდონ თვაური.

მშენებელთა სექციიდან — გარეგინ ანდრიასოვი, გრიგოლ ყაზარიანი, დავით გოლგიშვილი, აკოფ აკოფოვი, მხითარ მხიტარიანი, ილია მგალობლიშვილი, ნიკოლოზ ბელნოვიჩი, აშოტ მელიქიანი, სიმონ ტაკევი, გრიგოლ აკოფოვი, ზაქარია ავანოვი, მიხეილ ზამბახიძე, გრიგოლ შევარდნოვი, სურენ კარაპეტოვი, ირაკლი გოგელია, ვასილ უმეკოვი, მოსეს დერზიანც, ოჰანეზ ბეგიჯანოვი, ივანე მარტიროზოვი, სარქის ბიბილოვი, საак ვართანოვი, ალექსი ტომსოვი, ნიშან გრიგოლიანი, მიხეილ გოცირიძე, ვასო აწყარუნაშვილი, ასლან გულაშვილი.

შავ-მუშათა სექციიდან—მიხეილ გვეტრქოვი, სერგო ელიავა, გიორგი მოდრეკელიძე, კონსტანტინე კირაკოზოვი, ივლიტა გაწერელია, ანა სურპიცინა, მიხეილ ტატუნაშვილი, აკაკი ნიკოლეიშვილი, ვლადიმერ კეკელაშვილი, პავლე სულტონი, ავეტიკ მარტიროსოვი, იპოლიტე კობიძე, ილია კობიშვილი, ივანე სპერნოვი, გიორგი მოსესოვი.

უმუშევართა საყურადღებოთ

ის უმუშევრები, რომლებიც უნდა გამოცხადებულიყვნენ წმენდაზე ა.-წ. 15 სექტემბერს უნდა გამოცხადნენ 16 სექტემბერს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 16 სექტემბერს, დილის 9 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ამხ. შავერდოვა (ამ.-კავკ. სოლქო კომიტეტი), ჯაფარიძე (ცენტრალური საკონტროლო კომისია), შიუკაშვილი, მგელაძე (საქართველოს ცაკი), ჭყონია, ჩერქეზიშვილი, ჭკვიანოვა, ჩარკვიანი (პროფსაბჭო), მამულია (თბილისის კომიტეტი), შერმადინი (ლენინის რაიკომი), მატინიანი (26 კომუნარის სახელობის რაიკომი), ჯიქია (ქალაქის რაიკომი), კაპანაძე (მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი), ჯალაღანია (განათლების სახალხო კომისარიატი), ქართველიშვილი (სარეწაო კოოპ. კავშირი), არუთიუნოვი (სოფლად მუშაობის განყ.) ბელოზეროვი სიამაშვილი (ცეკას სააგ.-საპროპ. განყოფ.) და საქართველოს კომკავშირის ცეკა.

—:—

საქართველოს კ. პ. (ბ) ლენრაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 16 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, ტრამვაის მუშათა კლუბში შესდგება უჯრედთა მდივნების თათბირი სამეურნეო დარგის მუშაკებთან და პროფორგანიზაციებთან ერთად. დღის წესრიგშია: ამხ. ყურულაშვილის და პოზდეევის მოხსენება განუწყვეტელი საწარმოო კვირაზე გადასვლის შესახებ.

ორშაბათს, 16 სექტემბერს შესდგება სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მექ. ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს კრება. ბიუროს წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. კრებაზე უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ამხ. ქორქია, სალუქვაძე და შარაშენიძე.

—:—

ორშაბათს, 16 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი იწვევს საშეფო საზ-ვის და [illegible] უჯრედების ბიუროების სხდომას. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის სააღრიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. მელიქაძე კაპიტ., სიჭინავა იოს., იარალოვს გიორგ., ცხაკაია დომენტის, დუგლაძე შალ. და მამულია ილ. —გამოცხადდნენ ორშაბათს, 16 სექტემბერს დილის 10 საათისათვის ც. კ.-ში, ამხ. ჩარკვიანთან (ოთახი № 22).

—:—

ორშაბათს, 16 სექტემბერს, დაიწყება მეცადინეობა საღამოს კომუნისტურ უნივერსიტეტში. საღამოს 6 საათისათვის ამ.-კავკასის კომუნისტური უნივერსიტეტის შენობაში უნდა გამოცხადდნენ მე-2 კურსის სტუდენტები და ის ამხანაგები, რომელნიც მისაღებ გამოცდებს იჭერდნენ.

რადიო-გადაცემა

კვირა, 15 სექტემბერი

დღეს თბილისის რადიო-ცენტრი თბილისის 4 კილოუატიან რადიო-სადგურის საშუალებით 1060 მეტრიან ტალღაზე გადასცემს:

პიონერის რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე, საბავშო კონცერტი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება „საბჭოთა აპარატის წმენდა სოფლად"—ქართულ ენაზე, რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე, საგლეხო კონცერტი, პიონერის რადიო-გაზეთი—რუსულ ენაზე, აგრონომის საუბარი „საუკეთესო თესლ"-ის საკითხზე—ქართულ ენაზე, საუბარი „ფიზკულტურელთა ლაშქრობა სოფლად"—რუსულ ენაზე, კომკავშირელთა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე, დროის და ამინდის შემოწმება, რადიო-მოყვარულთა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია), აღმოსავლური საცეკვაო მუსიკა სიმფონიური კონცერტის ტრანსლიაცია მედსანშრომის მუშაკთა ბაღიდან.

ორშაბათი, 16 სექტემბერი

პიონერისა და მოწაფის საათი—ამხ გავრიშის საუბარი „პიონერ-შეკრების ანგარიში"—რუსულ ენაზე; რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; გაზეთი „წითელ არმიელი"—ქართულ ენაზე; საქ. სახელმწ. საგეგმო კომისიის მოხსენება „საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა"—ქართულ ენაზე; დროის და ამინდის შემოწმება; რადიო-გაზეთი—რუსულ ენაზე; კონცერტი: 1 განყოფილება—პროლეტარული კომპოზიტორები, 2 განყოფილება—ბეტჰოვენი; ახალი ამბები.

გულდამწვარი მშობლები ლიდა და ბიჭია, დები ალექსანდრა და ივდიტორი, ძმები ალიოშა და ნოე ჯაფარიძეები და სიძე იოველ ტარიელის ძე საყვარელიძე აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ მათთვის ძვირფასი

სიმონის

ცხედრის დაკრძალვა მოხდება დღეს, კვირას, 15 სექტემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება მოსკოვის შეს. № 6-დან დღის 3 საათზე. (შ)

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება მთასვლა—მგზავროსნობის განყოფილების გამგეობის წევრის

სიმონ ჯაფარიძის

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა დღეს, 15 სექტემბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. 3238

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების მთასვლურ განყოფილება ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, განყოფილების გამგეობის აქტიურ წევრის და სახელოვან მთასვლელის

სიმონ ჯაფარიძის

ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (მოსკოვის შეს. 6), დღეს 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (შ)

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ცნობილი ალპინისტის, სხვადასხვა მწვერვალებზე ასვლის დროს ობსერვატორიის სამეცნიერო დავალებების დაუღალავად შემსრულებლის

სიმონ ჯაფარიძის

ტრაგიკულად დაღუპვას 27 აგვისტოს მთა თეთნულდზე ასვლის დროს. 3230

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას გამოცდილი ალპინისტის

სიმონ ჯაფარიძის

ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება 15 სექტემბერს საკუთარ ბინიდან, მოსკოვის შესახვევი № 6, დღის 3 ნახ. საათზე. 3231

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სინოპტიური განყოფილების თანამშრომლები ცხარე ცრემლებით დასტირიან ძვირფას თანამშრომლის ალექსანდრა ჯაფარიძის ძმის საყვარელი

სიმონის

ცხედარს. 3232

პოლიტგანათლების მთავარმმართველობა და საზ-ბა ტურისტი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ თეთნულდზე ასვლის დროს ა. წ. აგვისტოს 27-ს დაიღუპა სახელოვანი მთასვლელი და ძვირფასი მუშაკი

სიმონ ჯაფარიძე

რომლის გვამიც უკვე ჩამოასვენეს სვანეთიდან. (ე)

ქისტიბის და შრომის გეოლოგიურ სამუშევრებზე მომუშავე სტუდენტი ამხანაგები, მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას სახელოვან ალპინისტის და ძვირფასი მეგობრის

სიმონ ჯაფარიძის

ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება საკუთარი ბინიდან მოსკოვის შესახვევი № 6. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს. (ე)

ღრმათ დამწუხრებული ქართველი მთასვლელები იუწყებიან, რომ მათ რიგებს უდროოდ გამოაკლდა ძვირფასი თანამგზავრი, საყვარელი ხელმძღვანელი და იშვიათი მთასვლელი

სიმონ ჯაფარიძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, (მოსკოვის შეს. № 6) კვირას, 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (შ)

გულდაწყვეტილი მეგობრები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას გულითადი ამხანაგის, იშვიათ ადამიანის და სახელოვან მთასვლელის

სიმონ ჯაფარიძის

ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (მოსკოვის შესახვევი № 6) დღეს 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (შ)

დევი და შოთა მიქელაძენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მათი საყვარელი მეგობარი, უბადლო მთასვლელი

სიმონ ჯაფარიძე

გადაიჩეხა თეთნულდის კლდეებზე ამა წლის 27 აგვისტოს. (შ)

მატრონა, იოაკიმე, მინადორა, მაშო და ლადო წერეთლები; ვარინკა და [illegible] ლექაველები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ საყვარელი ნათესავის

სიმონ ჯაფარიძის

ტრაგიკულად დაღუპვას.

უახლოესი მეგობრები: ლადო აბაშიძე, კოკი ჭეიშვილი, ბესიკო მიქელაძე, გრიშა ხვიჩია. ჟორა მიქელაძე, გოგი ლაზრიშვილი და შალვა სირაძე გულისტკივილით აღნიშნავენ ძვირფასი მეგობრის, საქართველოს საუკეთესო ალპინისტის და თბილისის პოლიტ ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტის

სიმონ ჯაფარიძის

ტრაგიკულად დაღუპვას მწვერვალ თეთნულდზე ასვლის დროს. დაკრძალვა ქალ. თბილისში ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს, კვირას, 15 სექტემბერს, 3 ნახ. საათზე.

მასწავლებლები დავით დონდუა და მავრა გეგეჭკორი აუწყებენ თავიანთ მოწაფეებს, რომ თეთნულდზე ასვლის დროს რაინდულად დაიღუპა სახელოვანი ალპინისტი, მათი სიყრმის მეგობარი

სიმონ ჯაფარიძე

დაკრძალვა—ვერის ახალ სასაფლაოზე სექტემბრის 15, 3 ნახ. საათზე.

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ოლღა, შვილები მალია, ვალია, ვალოდია და ოლიჩკა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი

კირილე კონსტანტინეს ძე ჭყონია

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე, საღ. 7 საათზე, საკუთარ ბინაზე, ყუბანის ქ. № 4 (ლენინის რაიონი) გამოსვენება კვირას, სექტემბრის 15, შუადღის 12 საათზე კუკიის სასაფლაო. 2—2

ღრმათ დამწუხრებულნი ლიზა და ოლღა ჯაფარიძეები შვილებით, ამბროსი და ქეთო ამირეჯიბი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი ძვირფასი სიძის

კირილე კონსტანტინეს-ძე ჭყონიას

უდროოდ გარდაცვალებას.

გულდათუთქულნი: ლიზა, კოწია და ტატუ ჭუბაბრიები, მარო, პარმენ, გიგი და ჟუტუ ჭანიშვილები, საშა სპირიდონის ასული ჯაფარიძე, ჟორჟი, ელენე და ვენერა ვოლსკები აუწყებენ ნათესავებსა და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

კირილე (ყირიმი) კონსტანტინეს-ძე ჭყონია

გამოსვენება ბინიდან, ყუბანის ქ. № 4, დღეს, სექტემბრის 15 შუადღის 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ნინა და დათიკო ვოლსკები შვილით თინიკოთი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი ბიძა

კირილე კონსტანტინეს-ძე ჭყონია

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის გაერთიანებული ადგილობრივი კომიტეტი აუწყებს საზოგადოებას, ამავე კომისარიატის თანამშრომლის, უფროსი ინსპექტორ-ინსტრუქტორის

კირილე კონსტანტინეს-ძე ჭყონიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 15 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე.

საქართველოს ფინსახკომის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ამავე კომისარიატის თანამშრომლის, უფროს ინსპექტორ ინსტრუქტორის

კირილე კონსტანტინეს-ძე ჭყონიას

გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარი ბინიდან ყუბანის ქუჩა № 4, კვირას, 15 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე კუკიის სასაფლაოზე.

კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის ცენტრალური სკოლის მასწავლებლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მათი ამხანაგი ვარლამ ჩოფიკაშვილის მამის

სვიმონ ჩოფიკაშვილის

გარდაცვალების გამო

გულმოკლული მშობლები მათე და ივლიტე, ძმა რაჟდენ, ძმისშვილები: რამაზ, ნოდარ, ბაადურ და ზაზა გვეტაძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ დაუვიწყარ

ნიკოლოზ გვეტაძის

უდროოთ გარდაცვალებას .დაკრძალვა ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე. სამშაბათს, 17 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე.

ღრმად დამწუხრებული ძმა ილია, რძალი ლიზა ნებიერიძეები, სიძე სერგო, დაი ტერეზი მაღლაკელიძეები, სიძე სიმონი, დაი ლიდა ნასყიდაშვილები, სიძე ნესტორი, დისწული სონა სანიკიძეები აუწყებენ ყველა ნაცნობ-მეგობრებს

პელაგია ხუციშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 სექტემბერს დღის 3 საათზე. გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. 24.

მცხეთის კოოპერატივის გამგეობა თანამშრომლებით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძეგვის კოოპერატივის დარაჯის

ვასილ ფირუზ ს-ძე სოლოღაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 15 სექტემბერს, ს. ძეგვში.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ორშაბათს, 16 სექტემბერს,
ანატოლი ვასილ-ის-ძე ლუნაჩარსკი
წაიკითხავს ერთად-ერთ ლექციას თემაზე—ბრძოლა ახალი ადამიანისათვის— „ოჯახი და ყოფა-ცხოვრება"
პასუხები წერილობით შეკითხვებზე. დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 10 ს. 2 ს. და საღამოს 6 ს.—8 ს.-მდე. დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე. ბ. 3221

სააქციო საზოგადოება
„ზაკკნიგა"
სახელმძღვანელოები სკოლებისათვის
ძიძიგური და გვახარია—პირველი წიგნი 1-ლი ნაწილი 90 კაპ. | ორივე I და II ნ.
ძიძიგური და გვახარია—პირველი წიგნი მე-2 ნაწილი 90 კაპ. | ყდაში 1—70 კაპ.
შაფაქიძე, მგელაძე და კვინიკაძე—არითმეტიკა შრ. 1-ლ სკოლაში 1-ლი ნაწ. 90 კაპ.
დევიძე, ლორთქიფანიძე და ხარაბაძე—არითმეტიკული ამოც. კრებული 3 ჯ.
ოცხელი და წულუკიძე—არითმეტ. ამოცანათა კრებული 3 ჯ. 60 კაპ.
მიხაილევსკი—პოლიტეკონომია 1—70.
პოკროვსკი—რუსეთის ისტორია მე-3 ნაწ. 1—40.
ლუკინი—დასავლეთ ევროპის უახლოესი ისტორია 2 მან.
მოტილიოვი—პოლიტიკონომიის მოკლე კურსი 80 კაპ.
გეხტმანი—საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია 1—50 კაპ.
ვოლფსონი—საზმეცნიერების მოკლე კურსი 55 კაპ.
გორევი—პოპულიარული ისტორია სოციალიზმისა 1—50 კაპ.
გომელაური—ქართველი მწერლები მე-3 ნაწ. 2—50 კაპ.
სტუჩკა—კონსტიტუცია 45 კაპ.
კოვალენკო—პოლიტანბანი 75 კაპ.
სტანჩინსკი—პოლიტანბანი 2 მან.
სორინი.—ლენინის მოძღვრება პარტიისადმი, 26 კაპ.
სამოსწავლო რუქები
საქართველოს რუქა საშვ. 85 კაპ.
საქართველოს რუქა, პატარა 15 კაპ.
ნახევარ სფეროები, პატარა 60 კაპ.
ნახევარი სფეროები, დიდი 1—75 კაპ.
ამიერ კავკასიის რუქა (იბეჭდება)
ევროპის რუქა 60 კაპ.
კოოპერაცია
ვარიაში—კოოპერატიული დანია 48 კაპ.
ლიუბინსკი და დიკანსკი—სამომხ. კოოპ. ისტორია დასავლეთ ევროპაში 2 მან.
ცაგარეიშვილი—ფინანსებისა და კოოპ. კრედიტის ორგანიზაცია და პრაქტიკა 1—50 კაპ.
ვ. ხიჟნიაკოვი—კოოპერატიული ამხანაგობის კაპიტალები 60 კაპ.
მაკეროვა—ს. ს. რ. კ. სამომხმარებლო კოოპ. ისტორია 1—30 კაპ.
ლეონიძე—მეფუტკრეობა 1—30 კაპ.
ლიტერატურა
ჯონ-რიდი—ათი დღე რამაც შესძრა ქვეყნიერება 25 კაპ.
ვ სოროკინი—დიადი ოქტომბერი 10 კაპ.
ჯ. სკოტ-ტაგარიტი—რადიო დამწყებთათვის 65 კაპ.
ი. ვაკელი—მეწისქვილე (პოემა) 20 კაპ.
ნ. ზომლეთელი (ონისიმე)—სიცილ-ტირილი 40 კაპ.
ნ. ლორთქიფანიძე—ნანგრევთა სურნელება 1—25 კაპ.
დ. სულიაშვილი—ნაღვერდალი (რომანი) 1 მ.
პროლეტარული პოეზიის ანტოლოგია 1 მან.
ბუაჩიძე—ლიტერატურა და თანამედროვეობა 1—50 კაპ.
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, პროვინციაში წიგნები იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე ფასდადებით.
დაკვეთა და ფული გადმოგზავნილ უნდაიქნეს მისამართით: თბილისი, კომინტერნის ქ. № 5 „ზაკკნიგა". ბ. 3203 2—2

ორშაბათიდან, 16 სექტემბრიდან, კინო-თეატრებში
დარბაზი
უცხოეთის მხატვრული სურათი
დედაბერი № 99
პალასი
რენე ნოვარრო სურათში
ვიდოკი
1 და 2 სერია ერთად.
ეთერი
ძველი ნიუ-იორკი
მარიონ დევისის მონაწილეობით
3220

საქართველოს სახკინმრეწვი
პარასკევს, 20 სექტემბერს,
მოხდება საზამთრო კინო-თეატრების აპოლოს და მინიონის
გახსნა კაპიტალური შეკეთების შემდეგ. ეკრანზე უცხოეთის ნაწარმოები
აპოლოში ღენერალი ბასტერ კიტონის მონაწილეობით
მინიონში ბოქსერის საცოლე მთავარ როლში ქსენია დესნი
სეანსების დაწყება: I საღ. 6 ს. და 30 წ.
II 8 ს. და 10 წ.
III 9 ს. და 50 წ.
IV 11 ს. და 20 წ.
სეანსებს გარეშე შესვლა დაუშველია. „მინიონში" ადგილები დანომრილია.

რადიოცენტრის რადიო-გადაცემის რედაქცია აცხადებს
დიდ შეჯიბრებას დიქტორებზე
(მიკროფონთან წამკითხავებზე) ქართულ და რუსულ გადაცემებისათვის.
შეჯიბრების პირობების და დროს გაგება შეიძლება რადიო გადაცემის რედაქციაში, აღმასკომის ქ. № 8 (ყოფ. სოლოლაკის) მეორე სართული—დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე ყოველ დღე გარდა ხუთშაბათისა. ბ. 3219 3—1

თბილისის 1-ლი პროფ-სკოლა
(ყოფილი გაბაშვილის სახელობის) გადავიდა გაბაშვილის შეს. № 3-დან ჭავჭავაძის ქუჩა № 10-ში განცხადებების მიღება გრძელდება დილის 9-12 საათამდე კანცელარიაში. 3194 3—3

დაკარგა სამხედრო საღრიცხვო ბარათი მოცემული ქუთაისის სამხედრო ომისარიატის მიერ აფთონ ალექსის-ძე კალანდაძის სახელზე, ჩ. გ. 3229

დაკარგა: პურის წიგნაკების შემომსვლებ კომ-სიიდან გაცემული პურის წიგნაკის ტალონები 3 სულზე ამბროსი ზაქარეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3225

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი ვალარშაკ სანდროიანცის სახელზე, ჩ. გ. 3233

დაკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი სერგო მოსეს ძე სტურუას სახელზე, ჩ. გ. 3237

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკაში
(პირის ღრუს, ყბების და კბილების სნეულებანი)
ავადმყოფების მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდან. პლეხანოვის ქ. № 126. 13—1 3176

საზაფხულო აპოლო (დარბაზის ბაღში)	ძველი ნიუ-იორკი ორშაბათიდან, 16 სექტემბრიდან „დედაბერი № 99"
საზაფხულო ეთერი	ჯალმა ორშაბათიდან, 16 სექტ. „ძველი ნიუ-იორკი"
საზაფხულო პალასი	ბოქსერის საცოლე ორშაბათ., 16 სექტ., „ვიდოკ" 1 და 2 სერია ერთად

0—13

განათლების სახ. კომისარიატი
საფინანსო-საანგარიშო (საბუღალტრო) მეცნიერებათა სახელმწიფო
კურსები ქართული და რუსული სექტორი
ზოგადი (ძირით.) და სპეციალური (მაღალი ტიპის) დარგები ბუღალტერიის. ახლი ფორმები საბარათო აღრიცხვისა.
ცნობების მიღება და ჩაწერა ყოველდღე საღამოს 6—8 საათ. კეცხოველის ქ. (ყ. ლორის-მელიქოვის), სამრეწვ. ეკონ. ტეხნიკუმის შენობა № 12.
Народный Комиссариат Просвещения
ГОСУДАРСТВЕННЫЕ СЧЕТНО-ФИНАНСОВЫЕ (БУХГАЛТЕРСКИЕ)
КУРСЫ
Секторы: грузинский и русский. Общий (основной) и специальный (повышанный) цикл бухгалтерии. Новейшие формы карточного копировального учета. Запись и справки от 6—8 час. веч. ул. Кецховели (о. Лорис-Меликовская) № 12, помещ. промышленно-экономического техникума. Б 3205 3—

ქ. ქობულეთში
ბავშვების ექიმი
ალ. მაღალაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათამდე. მესხეთის ქ. № 14. 2838 25—25

ექიმი
არჩილ ვადაჭკორია
დაბრუნდა და ღებულობს ქალთა ავადმყოფებს დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათ. მდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღა'ს). 3219 13—1

დაიბეჭდა და იყიდება
სახელგამის მაღაზიებში:
1. მ. კახიანი —სოციალისტური მშენებლობა და საქართველოს კომუნისტური (ბ) პარტიის ამოცანები (მოხსენება ს. კ. პ. მე-6 ყრილობაზე) შინაარსი: ინდუსტრიალიზაციის გზით, როგორ მუშაობს ჩვენი მრეწველობა, სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და ჩვენი ამოცანები, ნაციონალური პოლიტიკის საკითხები, იდეოლოგიური ფრონტი, წითელი არმია, კომკავშირი, ქალთა შორის მუშაობა, პარტიული მშენებლობა, სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის. საბოლოო სიტყვა.
2. М. КАХИАНИ —იგივე—რუსულად.
3. ა. ურუშაძე —პარტუჯრედების მუშაობა სოფლად და დაწესებულებებში. შინაარსი: რა უნდა აკეთონ პარტუჯრედებმა სოფლად, რა უნდა აკეთონ პარტუჯრედებმა დაწესებულებებში, ბრძოლა „მემარჯვენე" და „მემარცხენე" გადახრების და მათთან შემარიგებლების წინააღმდეგ. წიგნს დართული აქვს შემდეგი დამატებები: პარტკონფერენციის დადგენილებები ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ, ცეკას მოწოდება კრიტიკის და თვითკრიტიკის შესახებ, სტალინის და კუიბიშევის წერილი მომჭირნეობის შესახებ და პარტუჯრედების დებულება.
4. ზ. ჩხეიძე Социально - экономическая структура грузинской деревни. შინაარსით: Имущественое расслоение крестьянского хозяйства Грузии, Классовое расслоение грузинской деревни.

ქ ლ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ სამშაბათს 17, ოთხშაბათს 18, შაბათს 21 და კვირას 22 სექტემბერს სასახლის ქ. № 3 დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად გაიყიდება პიანინო, როიალი, შიფონერკები, კამოდები, ხალიჩები, [illegible] გარდერობები, პირისაბანები, ბუფეტები, სარკეები და მრავალი სხვა საოჯახო ნივთები. ბ. 3222

ექ. თოდაძე
დაბრუნდა
სპეციალ ქირურგია და უროლოგია. თირკმელების, ბუშტის და სასქესო ორგანოების დაავადებანი. ბელგიის ქ. № 1. 4—6 საათამდე 3080 25—8

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი სპეციალ. კუჭის და ნაწლავების დაავადებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქ. (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 — ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02. 3086 25—

დაკარგა ქ. ლანჩხუთის 9 წლედის დამთავრების მოწმობა აპოლონ ივანეს ძე კვახაძის სახელზე ჩ. გ. 3242

დაკარგა პურის წიგნაკი 1 სულის გიორგი ფანცულაიას სახელზე, ჩ. გ. 3234

პროფესორი
მუხაძე
დაბრუნდა.
3163 13—

ტირაჟი—44.742

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.